

25258  
2

ალ. ბარებულიშვილი.

# ვეზეის-ტყაოსანი

და

რუსთველის გნეოგრაფი იდეოლოგია

«ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა,  
ზოგჯერ თქმითაც დაშედების ».  
რუსთველი.



1933

899.362.1(092 ჩესოვავილი), სტუდია

ნორა.

ას. მაცხოვიშვილი.

რიადი 1/17 33

# ვეზეუს-ტყაოსანი

ვ 5

რუსთაველის გნეოგრიფი იღეოღოვის

ЖК25252  
2

« ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმას,  
ზოგჯერ თქმითაც დაშავდების » .

რუსთაველი .

მინ არ გაიცემა



1933



დანუმრული 20 ცალი ამ გამოცე-  
მისა დაბეჭდილია განსაკუთრებულ  
ქალალდზედ.

## ავტორისაგან

წინამდებარე წიგნაკი წარმოადგენს მოხსენებას, რომელიც  
წავიკითხეთ პარიზის ქართველ საზოგადოებაში 10 აპრილს 1932  
წელს.

მოხსენება იბეჭდება უცვლელად. თუმცა აქ აღძრული წო-  
გიერთი საკითხები მოითხოვდენ უფრო ვრცელ დასაბუთებას, და  
მოხსენების შემდეგ, დაბეჭდვისათვის სასურველი იყო მისი და-  
მუშავება, მაგრამ, რადგან ერთის მხრით არც ერთი პირობა  
ამისთვის ხელს არ გვიწყობდა, შეორეს მხრით რადგან საკისხი  
მხოლოდ ბ. ზ. ავალიშვილის ერთი დებულების (\*) გარშემო პო-  
ლემიკას წარმოადგენს და სხვა საკითხების ვრცელი დამუშავებით  
პირდაპირ მიზანს გადავცდებოდით, ამიტომ, გზა და გზა სადაც  
რაიმე აზრების გამოთქმა დაგრძინდა, უმრავლესობისათვის დავ-  
კმაყოფილდით მხოლოდ მცირე განმარტებით, რადგან თქმულიც  
საკმარისად მიგვაჩნია ნათელსაკოდად ბ. ზ. ავალიშვილის დე-  
ბულების მცდარობისა.

დასასრულ მოვალეობად მიმაჩნია ულრმასი მაღლობა გამო-  
ვუცხადო მ. შ. ვარდიძეს, რომელმაც იკისრა ამ წიგნაკის სრუ-  
ლი გამოცემა.

პარიზი, 1 მაისი 1933 წ.

ა. ბ.

(\*) იხ. ზ. ავალიშვილის „ ვეუპის ტყიანსის საკითხები “ შეოთხე თა-  
ვი. (პირველი სამი თავის შესახებ იხ. გაზ. „ თეთრი გიორგი „ № 43-44 ).

# 30 3601 - ტყაოსანი

## საქართველოს კულტურულ-ზნობრივ გარემოცვაში

### I

1. საქართველოს  
კულტურული ურ-  
თიერთობა მეზობელ  
ერებთან.

ჩვენ მეცნიერებაში აქამდე გაბატონე-  
ბული იყო ის აზრი, რომ მთელი ჩვენი  
კულტურა არის შედეგი რაღაც „გა-  
ვლენების“: ჩან სპარსეთის, ჩან  
არაბეთის, ბიზანტიის, ევროპის და სხ-  
ხოლო ფიქრად არავის მოსდიოდა ჩაეხედა საკუთარ სულში, გა-  
დაეთვალიერებინა ეროვნულ-კულტურული შემოქმედება, და ნა-  
ხავდა რომ ქართველ ურმა ყოველ სფეროში თავისი საკუთარი  
კულტურაც შექმნა. უცხო ელემენტები კი ისე გარდაქმნა, რომ  
ის სავსებით ეროვნულ გეზსა და მიმართულებას დაუმორჩილა.  
ქართველურ მეცნიერებათა დღევანდელი განვითარების დაბა-  
ლი დონეც კი ყველა სფეროებში ამ დასკვნებს აკეთებს.

ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ამ თვალსაზრისით თუ მივალთ  
ვეფხის-ტყაოსანთან, იქ ვნახავთ აკლდამას საუნჯეთა; იქ ინახე-  
ბა ჩვენი ეროვნული სული ამაცი; სიყვარულის, მიჯნურობის, სი-  
მართლის, მეგობრობის, სიმამაცის, ძლიერი ნების ყოფის—უმაღ-  
ლესი ფორმების შემცნება; ქართველთა მრავალ-საუკუნოვანი  
კულტურისა და ციცილიზაციის დაწმედილი და განსპეტაკებული  
სახე: ქართველი ერის ღვერისისტური სული; მისი ესთეტიკა, მის  
მიერ ამ ქვეყნისური არსებობის და დანიშულების უმშვენიერესი  
გაგება . . .

რომელ დროის ნაშთებსაც კი გაღავლებთ თვალს, ერთი რამ ცხადია: აროდეს უცხო კულტურასა და ზელოვნებას, მორალსა და ჩრუ-ჩვეულებებს, ძლიერი კვალი არ დაუტოვებიათ ჩვენს ცხოვრებაზედ. იგინი ვერ ჩასწვდენიან ეროვნული შემოქმედების სულას ხილრმეს.

შემოსწრებულ სტუმარს უკეთეს შემთხვევაში თავისი გავვლენით ისტუმარებდა უკან, უარდს შემოქმედები, თუ კი უცხო გავლენის რაიმე კვალი რჩებოდა ჩვენში, ის ჩვენი შემოქმედების პრიზმაში იმსხვრეოდა და საკუთარ მოთავსნლებასა იცრულები იბნეოდა ხოლმე.

ეს არც შეიძლება ასე არ ცოდილიყო, რადგან ქრ. წ. მე-Х-ვ საკუუნის აქეთ აროდეს არ გვქონია საქმე ისეთ ერთან, არ განგვიცდია გავლენა ისეთი ერის, რომელიც თავისი თანამედროვე კულტურით ჩვენზედ მაღლა მდგარიყოს, რომელსაც ჩვენზედ დიდი წარსული ქონებოდეს საკუთარი კულტურითა და ცივილიზაციით, ნივთიერი თუ გონებრივი კულტურით, შემოქმედებრთო ნიჭითა და პოტენციით. ის კი, რასაც ფიზიკურად ძლიერი რეალია და თავს გვაჩვენდა, მის მოცილებასთან ერთად ქრებოდა წოლმე.

ოდნავ თვალი გადავავლოთ ისტორიის გასწვრივ ცივილიზაციურ სამყაროთ და ზემოდ გამოთქმული აზრი ნათელი შეიქმნება.

## 2. პელაზა, ბიზანტია და საქართველო.

დავიწყოთ საბერძნეთითვან: ძველი კულტურის ცხოველმცოდნელი სხივები აღმოსავლეთის ქვეყნებს უხვად ეფინებოდენ. გავლენა ძლიერი იყო, რათგან, თვით ბერძნთა კულტურის პირველი სამშობლო ისევ აღმოსავლეთია და კერძოდ მცირე აზია. შემთხვევით კი არ მომხდარა, რომ ბერძნთა კულტურის უპირველესი და უმთავრესი ცენტრი მცირდი აზიის ნაპირებზედ და კუნძულებზედ გაჩნდა.

აღზეც და მეზეც, განსაკუთრებით ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის დროს, ელინიზმი უხვად ვრცელდებოდა აღმოსავლეთში.

მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ჯერ კიდევ ჰულადის გაფურჩქვნის ხანაში ქართველებს თავისთ პირველ სამშობლოში საკუთარი კულტურა და ძლიერი პოლიტიკური ცხოვრება პქონდათ (\*). ხოლო გარეშე ძალების მიერ სახელმწიფო ებრივი ცხოვრების დანგრევის და ქართველ ტომთა პირველ სამშობლოთვან განდევნის შემდეგ მათზედ რაიმე კულტურული გავლენის შესახებ ლაპარაკი ზედმეტია, რათვან ჯველა არსებული ცნობების მიხედვით ქ.წ. მე-VII სა-თვან მე-III — II ს. ს-მდე ქართველობა კულტურულად დაცუმულია; მან მთელი ეს საუკუნოები მოგზაურობაში გაატარა, სანამ დამკვიდრდებოდა კავკასიაში (\*\*).

(\*) იმ ღროინდელ ქართველთა კულტურული ცხოვრება თვით ელინთა-თვის ძალიან საინტერესო იყო. მაშინ ქართველებს სულიერი კულტურისა და აზროვნების დარგში შეუქმნიათ თუ არა რაიმე, თუმცა ეს დღეს კიდევ უცნობია, მაგრამ ნივთიერი კულტურის დარგში ისინი თვით ბერძნების ყურადღებას იქცევდენ. ქართველთა დამზადებულ სპილენძს ბერძნებში დიდი გასაყალი პქონდა. ფოლადის მზადება კ ბერძნებს ქართველთაგან უსწავლიათ. ხოლო უმრავლეს ლითონთა აღმოჩენასა და დაუშავებას ქართველებს მიაწერენ. ეს სჩანს თვით ლითონთა საკუთარი სახელების ეთიმოლოგიითვან.

ქართულ კულტურაზე და ხელოვნებაზე მოგვყავს ზოგიერთ მეცნიერთა შეხედულებანი: 1) ე. შანტრის აზრით ძველი კავკასიის ხელოვნების მცირე აზის და ხეთების ხელოვნებასთან აქვს კავშირი. 2) პროფ. ჭირა ხოვიც პრტკიცებს რომ კავკასიაში აღმოჩენილი მაღნეულობის ხელოვნების ნაშთები კავკასიის ადგილობრივ ხალხს უნდა ეკუთვნოდეს. 3) გ. ბლანკენბირნი გამოსთხვა ის აზრი, რომ რკინის დამუშავებას მე-XXX საუკუნეებში ქ.წ. უნდა მომხდარიყო სხვა და სხვა ხალხის მიერ პარალელურად. ასეთები იყვნენ: ტუბალები და ხალიბები მცირე აზიაში: ქართველი (როჩებია), ზანგები აურიკაში, ინდონი და ჩინელნიცა. 4) დე-მორგანი თიქმაბს, რომ რკინის დამუშავების ხელოვნება კაცობრიობას კავკასიონთვან უნდა ქონდეს შეთვისებულით. 5) გ. ბლანკენბირნის აზრი ტუბალები მათ და ხალიბები და ხალიბები ს შესახებ პროფ. გ. პერნეს მაც გაიზიარა. (1912.)

(\*\*) ჩვენი ისტორიის ეს ხანა ჯერ პნელით არის მოცული, ამიტომ გარკვევით რამის თქმა ჯერ ძნელია. მაგრამ ამავე ღროს შეუძლებელია ეს ხანა სრული სიკალიერით ხასიათდებოდეს. შეიძლება ზოგიერაი ტოშები მართლა დაცემული იყვნენ, მაგრამ მოგზაურთა ცნობები გადაჭარბებული უნდა იყვნენ, რათვან ხანდისან ზოგიერთი ქართველთაგას დამახასიათებელი თვისებები მათ დაცემის ნეშნად მიაჩნდათ. ანალოგიური მაგალითები საესეა მოგზაურთა ჭირები სხვა და სხვა ქვეყნების აღწერებში.

ქართველმა ტომებმა ფეხი მოიკიდეს კავკასიის მიდამოებში თუ არა, ხელახლად დაიწყეს კულტურულ-სახელმწიფოებრივი ცხოვნების მოწყობა. მანამდე კი მოუსწრო პელადის კულტურულ სამყაროს დაცემამ.

მაგრამ, შემდეგი ბიზანტიის ძლიერების ხანის გავლენა, რომელზედაც უფრო ბევრს ლაპარაკობენ ჩვენი მეცნიერნი, აგრეთვე სუსტათ არის დასაბუთებული. და აյ ისინი ჯერ კიდევ იმცოფებიან იმ მეცნიერთა გავლენის ქვეშ, რომელნიც წარსულ საუკუნეში სცდილობდენ გაერკვიათ და შეესავლათ ქართული კულტურა და მისი გენეზისი. ჩვენდა სამწუხაროდ მათი უმრავ-ლესობა იყო უცხოელები; ქართული ენა ხეირიანად თითქმის არც ერთმა არ იცოდა; ვერც კი წაიკითხეს რიგიანად ქართული წერილობითი ნაშთები, ვერა გაიგეს რა ქართული ენისა და ამიტომ მისი კულტურის მრავალ საკითხებში ყალბ დასკვნებამდე მივიდენ.

მაგრამ დღეს, როდესაც მეცნიერება ამ ნიადაგზედ თვით შიგნით, ეროვნულ სფეროში იფურჩქნება, დღის სინათლეზედ სულ სხვა სინამდვილე გამოდის.

გასაგებიც არის, რათგან განსაკუთრებით შე-XI—XII ს. ს-ში ჩვენი ეროვნული კულტურა გაცილებით შორს წაყიდა. ამ დროს ქართველებმა მეცნიერებასა და ფილოსოფიაში, ხელოვნებასა და ხუროთმოძღვრებაში გადააჭარბეს კიდევ ბიზანტიელებს, და რომელ გავლენაზედ შეიძლება ლაპარაკი?

აი რას სწერს ჩვენი ხელოვნების ნიჭიერი მკვლევარი პროფ. ჩუბინაშვილი: «პიზანტიის ხელოვნებამ მიაღწია თავის უმაღლეს განვითარებას, იუსტინიანეს ხანაში, შე-VI ს-ში. ეს მიღწევა გამოიხატა სოფიოს კათედრალში — კონსტანტინეპოლში (\*), და რავენის მოზაიკურ მხატვრობაში.... მაგრამ

(\*) თანამედროვე მეცნიერობა მტკიცებით თვით სოფიოს ტაძრის სტილი, მასი თაღობრივი აღნაგობის ფორმა ისევ ქართველთა უძველესი კულტურული მიხწევაა. ამის ნაშთად დღეს საქართველოში მოიპოვება ე. წ. და ბაზი, ხოლო მცირე აზიაში „ბოლაზ-კოხა“ ნანგრევებშიც ამის კეთილი აღმოჩენილია. ძალაშნ სა-ნტერესოა პასუხი კითხვაზედ: ვინ იყვენ ის ხუროთ მოძღვარი, რომელთა გეგმითაც აიგო ეს დიდებული ტაძარი, ან საიდან იყვენ მოსულნი?

ბიზანტიის ხელოვნებამ ვერას დროს ველარ მიაღწია ისეთ ძლიერებასა და დიდებულებას, შეერთებულს სტილის მხატვრული ფორმების სილამაზესთან, დამთავრებასთან და მთლიანობასთან, როგორც ამ ძეგლებშია.

ცქართული ხელოვნების ისტორია პირიქით წარმოადგენს არ-სებითად სხვანაირ სურათს. ოფი წარმოადგენს არს თუ მარტო კაშაშად-ინჯივიღულურ მხატვრულ შემოქმედებას, არამედ მხატვრულად და სტილისტიურად დამთავრებულს, ევოლუციონურ მოვლენასაც » და სს. (\*).

ამ გვარად, იმ დროს, როდესაც ქართული კულტურა და ხელოვნება გაცილებით დამთავრებულ მთლიანს წარმოადგენდენ, ბიზანტიის კულტურას არ შეეძლო ჩვენზედ ღრმა გავლენა მოეზურინა, რათგან მას სრული ევოლუციით დამთავრებული სახე იქაც არ მიუღია. მართალია, ჩვენი კულტურული ცხოვრების მასავალ დარგებს დიდი ნათესავობა აქვთ ბიზანტიურ კულტურასთან. ვინც უკანასკნელად ქართველ მკვლევართა ნაწერებს თვალს ადევნებს, მისთვის ეს ნათელია. მაგრამ ისიც არა ნაკლებ ნათელია, რომ თითქმის ისეთ ელემენტებშიც კი რაც მათგან არის პირდაპირ შემოტანილი, მასში ისე ძლიერად არის ქართული ეროვნული სული შთაბერილი, ის ისეთ ნაირად არის ეროვნულ მოთხოვნილებათა და საჭიროებათა ნიაზდაგზე გარდაქმნილი, ისეთ ფორმებით არის შემოსილი, რომ ის უკვე სავსებით ეროვნული კულტურის საგანძურს ეკუთვნის და საზომია ეროვნული შემოქმედების პოტენციისა.

3. არაბეთი და საქართველო. რაც შეეხება აღმოსავლეთს, დაახლოებით აქაც მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე. მე-VII ს-ში იწყება არაბეთის დიდი კულტურული ორგანიზაცია. იბადება ისლამი და ამ დაქტრინით ფანატიურად გატაცებული ერი ილაშქრებს სჩვა და სხვა ქვეყნებში. 634 წელს იპყრობენ დამასკოს, ანტი-

(\*) იხ. გ. ჩუბინაშვილის „ქართული ხელოვნების ისტორია“ გვ. 18.

ოქიას, იერუსალიმს და სჩ. ხოლო 637 წ. ამარცხებენ ღიდ სპარ-  
სეთსაც. შემდეგ გაეშურებიან თურქესტანისაკენ, აფრიკისაკენ,  
ჰიბრალტარის სრუტით შედიან ისპანიაში და შემდეგ 743 - 744  
წლებში ილაშქრებენ საქართველოზედაც.

არაბეთის ამ დაბყრობითმა მოძრაობამ ღიდი როლი აღა-  
რულა აღმოსავლეთის კულტურულ ცენტრებაში.

ამ ლაშქრობის დროს მათ მიიღეს ღიდი გავლენა ელინიზმი-  
სა. ალექსანდრიას ბიბლიოთეკითვან ვადაზიდეს უწარმაზარი ლი-  
ტერატურა, საზაც უფრო ბევრ რასმეს ამოიკითხავდენ. მეორეს  
მჩრით მათ შეითვისეს სავსებით ინდოეთ-სპარსეთის კულტურა,  
შექმნეს ერთი მთლიანი რამ და შთაბერეს ისლამის სული ბოლოს  
არაბულმა კულტურამ მთელი აღმოსავლეთი მოიცვა და იქ ღი-  
დი გავლენაც დასტოვა (ხოლო ზოგიერთ შტოს მისას დასავლე-  
თიც ეზიარა!). ეს გასაგებია, რათვენ მას აღმოსავლეთში აღარც  
დადი მეტაურ ჰყავდა და, განსაკუთრებით, ხალხებში, რომლების  
ფსიქოლოგიამ ისლამის სული მიიკარა, არაბთა კულტურასაც  
ადვილად დამჯურილა. გადახედეთ დღევანდელ მაჰმადიანურ ქე-  
ყნებს, რამდენი აქვთ მათ საერთო კულტურულ და მორალურ  
სუეროში, მიუხედავად იმისა, რომ მოდგმით იგინი წშირად გან-  
სავავდებიან, და მაშინ ნათელი შეიქმნება ეს ჭეშმარიტება.

რაც შეეხება საქართველოზედ არაბთა ძლიერ გავლენას, ეს  
არ მომხდარა, რათვან მათ შემოსევას საქართველოში ძლიერი  
ადგილობრივი კულტურა და ხელოვნება დახვდა. ეს იყო  
ბრწყინვალე ეპოქა ვაზტანგ გორგასლანის, რომე-  
ლიც ჯერ სამწუხაროდ ნაკლებ შესწავლილია, და ბევრი რამ  
კულტურისა და ხელოვნების ნაშთთაგან განადგურებული (\*).

(\*) მე - V — VI საუკუნოებში დასავლეთ საქართველოში ძლიერი კულ-  
ტურული ცხოვრება ყოფილა. მიუხედავად იმისა რომ ამის შესახებ ჩვენს მწერ-  
ლობაში არაფერი ცნობები არ მოიპოვება, მაინც სხვა წყაროებითვან სჩანს,  
რომ იმ დროს აქ მწერლობა და ხელოვნებაც განვითარებული ყოფილა. პო-  
ეზიაც ისე მაღლა შდგარა, რომ ელინები დღესასწაულებზედ კოლეგიუს აც  
იწვევდენ, სადაც ქართველებს არა ერთხელ უსახელებიათ თავი რიტორიკითა  
და მცერმეტყველებით. და ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ ამ დროს რაგინდ

არაბთა გაჟლენის განსამტკიცებლად უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო ამ აღორძინებაში მათი სულის შთაბერვა, ქართული აღორძინების შინაგანი გაბათილება, რაც ვერ მოხდა. თუმცა ფრჩიკურად განადგურებული ერის კულტურულ მსვლელობას პირველ ხანებში ცოტა შეფერხება ემჩნევა, მაგრამ ეს ხანმოკლე აღმოჩნდება რათგან ის რაც დღეს, მაშინ არ ბდებოდა დაპყრობილ ქვეყნებში. მაშინ დამპყრობელთა უმთავრესი მიზანი წმიდა ეკონომიური იყო, — და ისიც მოძრავი და ყოველდღიური ბარკი ან სხვა რამ დახმარების გაწევა დაპყრობილისაგან დამპყრობელისადმი.

ამ გვარ პირობებში რასაკვირველია ქართული ეროვნული კულტურა არ შეიძლებოდა ჩამქრალიყო. და მე-VIII—IX საუკუნეებში იყო უდიდესი მოსამზადებელი ხანა ჩვენი ძლიერი რენესანსის, მე-XI—XII ს.-ის. იმ დროინდელი ბელოვნებისა და ისტორიულ-ლიტერატურული ძეგლები მჭერმეტაველურად ამტკიცებენ ამას. და მიუხედავად მართლაც დიდი კულტურული ურთიაერობისა ქართველთა და არაბთა შორის, ლრმა კულტი ქართულ კულტურაზე არაბთ არ შეეძლოთ დაეტოვებიათ, რათგან ჩვენ მათზედ გაცილებით უფრო მაღლა ვიდესით. იგივე ვეფხის-ტყალსანი ამის შვენიერი ღოკუმენტია. ხოლო ის, რომ დავით ალმა შენებელი არაბებს ყორანის საკითხებზედ ეკამათებოდა. — უდიდესი დამამტკიცებელი საბუთია.

**4. სპარსეთ - ინდოეთი.** სპარსეთ-ინდოეთის კულტურაზედ და საქართველო. აღარ ვლაპარაკობთ, რათგან არაბებმა, რაუამს პოლიტიკური ძლევამოსილების ზეიმით გადაიხადეს, მათ ნელ ნელა სრულებით შე-

---

ძლიერი არ ყოფილიყო ელინთა გავლენა, ის ისეთ სურათს ვერ შექმნიდა „თურომ ოვით კოლხეთის მკვიდრნი თავისთვალაც და წინათაც კულტურულად მაღლა არ მდგარიყვენო“. | იხ. ჯავახიშვილის ისტორია ტ. I, გვ. 254) — იქ მაშინ მწერლობა იქამდე განვითარებული ყოფილა, რომ ის სახელმწიფო მართვა გამგეობაშიც იხმარებოდა. ბერძენ ისტორიკოსთა მოწმობით იმ დროს ქართველები სახელმწიფო წერილობითი აქტებს, ხელშეკრულებებს ინახავდენ ქიდევ.

შეისუნთქეს სპარსულ-ინდოები ცივილიზაციის ატმოსფერო ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით დასაგლეთის ელინიზმი, და ეს ახალი სახის ცივილიზაცია გარკვეულ კალაპოტში მოაქციეს. კერძოდ სპარსეთსა და ინდოეთში ამ დროს ისეთ ძლიერ კულტურასთან არ გვაქვს საქმე, რომელსაც შესაძლებლობა ჰქონოდა ლრმა კვალი დაეტოვებია ჩვენს კულტურაზედ.

ერთ უბედურ დღეს რომ მთელი კაცობრიობის ყველა კულტურული ძეგლები დაიღუპოს და დარჩეს მხოლოდ რჩეული ნაწერები არაბულ-სპარსული ლიტერატურითგან და მეორე მხრით ვეფხის-ტყაოსანი, იმ დროის დიდნი მეცნიერნი დასკვნიან რომ ყველა ეს ქვეყნები ქართული კულტურისა და ლიტერატურის დიდი გავლენის ქვეშ იქნებოდენ!..

ფირდოსის შაჰნამე, ვისრამიანი, ყისაჟ ა.მ ზა, და სხვ., მართალია, იქნებ ბევრს შეიცავენ ისეთს, რაც ვეფხის-ტყაოსანშია, მაგრამ მყითხველს ეს უშუალო გავლენად ნუ მოეჩვენება, რათგან საერთოდ აღმოსავლეთსა და მცირე აზიაში, გარდა კერძობით მოვლენებისა, არსებობდა ერთგვარი საერთო სულიერი საუნჯეც, საერთო ხალხური შემოქმედებაც, რომელთაგანაც შოთასაც ისევე შეეძლო სარგებლობა, როგორც სპარსელ მწერლებს. სხვათა შორის, დღეს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში გაბნეულ ხალხურ თქმულებებს ჩავუკვირდით და იქ ათასი მსგავსი რამ აღმოჩნდა იმისა რაც ვეფხის-ტყაოსანში მხატვრული აფორიზმების სახით გვხვდება. და, ბოლოს, რუსთაველს უკრ მწერალთაგან ბევრი აღგილებიც რომ ამოელო, ეს ისეა გარდაქმნილი, რომ ასეთ შემთხვევებს გავლენას ვერ ვუწოდებთ.

თუმცა ისიც უდავოა, რომ ქართულმა ლიტერატურამ გაცილებით მეტი გავლენა სპარსთაგან მე - XVI — XVII ს.წ. - ში განიცადა, რათგან ამ დროს ჩვენი კულტურა და ლიტერატურაც სუსტნი იყვნენ. და, გასაგებია, უცხოთა გავლენა ძნელი არ იქმნებოდა. თვით ამ დროინდელი ჩვენი ლიტერატურაც იყო მიბაძვა რუსთაველის და მიუხედავად იმისა, რომ არ ჩილი თავის ცგაბასება» ში თეიმურაზს შოთასთან უკამათებს: «ახლა ჩემი სჯობსო», არამც თუ მის სიმაღლემდე ვერ ავიდა, ოდნავაც ვერ მიუახლოვდა მას. არჩილის «გაბასება» საუკეთესო

დაზასიათებას წარმოადგენს იმ დროინდელი ლიტერატურული გემოვნებისა. და თუ პოეტი ასეთი იყო, სხვა რაღა იქნებოდა!.. და აი, ასეთ ხანაში, რასაკვირველია, გავლენა მეტი იყო, მაგრამ აქაც მხოლოდ გარეგნული იყო იგი და ძირეულად ქართული სულის მიმართულების ოდნავ შეცვლა— ვერც ამ გავლენამ შესძლო.

### 5. ჩინეთ - მონლოლეთი და საქართველო.

ამ დროს აგრეთვე ანგარიშ გა-  
საწევ ფაქტორს წარმოადგენს ჩი-  
ნეთ - მონლოლეთის კულტურა.

მე-XII-ე საუკუნეში შიდა ჩინეთსა და მონლოლეთშიც იწყება- ერთგვარი კულტურული ალორძინება, რასაც მოუვა შემდეგ ზონლოლთა პოლიტიკური ძლიერება და დაპყრობითი პოლიტიკაც. მონლოლეთის აღნიშნული კულტურის ნამდვილ სურათს აგვიწერს ცნობილი მოგზაური მარკო პოლო. მაგრამ, მის გავლენაზედაც ლაპარაკი წელმეტია, რათგან, როდესაც მონლოლები შემოესიერ საქართველოს, ეს დრო უკვე სცილდება ვეფხის-ტყაოსნის ეპოქას.

ამ გვარად მთელი ცივილიზაციური სამყარო აღმოსავლეთ-დასავლეთისა იმ დროს ისეთ ურთიერთობაში იყო საქართველოს-თან, რომ იმდენივე უფლება გვაქვს ალვიაროთ მათი გავლენა ჩვენს კულტურაზედ, რამდენიც ჩვენისა მათზე.

ამას მით უფრო ვფიქრობთ, რომ, როდესაც თვითეულ მო- საზღვრე ქვეყანას ჩვენზედ მეტი კულტურა გააჩნდა, ჩვენ ისეთ ისტორიულ პირობებში ვიყავით, რომ ჩვენი ცხოვრება მას ვერ მიიკარებდა, ხოლო კარგ პირობებში მოპირდაპირეთ ეს არ გა- აჩნდათ. და მე-XII ს - ში კი ყველა ეს ქვეყნები საქართველოზედ კულტურულად დაბლა იდგენ, ხოლო დაბალი კულტურის ერი, ვერაოდეს კულტურულ და მორალურ გავლენას ვერ ახდენს მასზედ მაღალი კულტურის მატა- რებელ ერზედ, თუნდაც ის პოლიტიკურად მასზედ ბატო- ნობდეს. ამ უკანასკნელის საშუალებით კი, გარკვეული მიზნით, ისიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში, შეიძლება გავლენის

კვალის შეტანა, რასაც მთელი საუკუნის განმავლობაში მიხწიოდა, გაცილებით უკულტურო რუსებმა კულტურულ საქართველოში.

მოვიყენოთ კიდევ პრ. გ. ჩუბინაშვილის აზრს კერძოდ ხელო-  
ვნებასა და ლატერატურაზე. ის სწერს: «ქართული ხელოვნე-  
ბის ისტორია გვიჩვენებს, რომ ეს ხელოვნება სრულია-  
დაც არ ყოფილა რაღაც ნამყენი, უცხოეთითგან  
გადმონერებილი მცენარე, არამედ პირიქით ბუ-  
ნებრივი შინაგანი აუცილებლობით განვითარე-  
ბული (ხ. ჩ. ა. მ.) და თავისებური მასატვრული წესის  
ფართე სახალხო ხასიათზე აღჭრებილია (\*).

იმ უზარმაშარი ბელოვნების ძეგლების შესწავლამ, რომლებიც აწყვია საქართველოს მუნიციპალიტეტი და რომელნიც აღიმართებიან ქართველთა მიწა-წყალზედ, ჩვენი მეცნიერი ამ ჯასკვნა-მდე მიიყვანა.

იგივე ჩუბინაშვილი ადარებს ხელოვნების სტადიანის და სტადიონის განვითარებას ლიტერატურის ისტორიას და დაასკვინის:

«ამ ნაირად საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების დაპირდაპირება გვიჩვენებს მოვლენათა პარალელურ მსვლელობას. ე. ი. ქართული კულტურის ეფოლუცია წარმოადგენს მთლიან, ერთიან პროცესს, და მისი მაღალი მხატვრული შილწევანი როლი წარმოადგენენ გაუგებარსა და შემთხვევით მოვლენას » ა. (\*\*).

ასეთი საწე ჩვენმა კულტურამ მიიღო განსაკუთრებით მე - XII ს - ში და ამგვარ კულტურულ მდგომარეობაზედ ძლიერი გავლენის მოხდენა, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო.

ბოლო მორალის სფეროში, რომელიც უფრო რთულ მოვლენას წარმოადგენს, მე - XII ს - ის საქართველო ვერავითარ შემთხვევაში უცხოთა გავლენას ვერ განიცდიდა. ისეთი «პანგებისა ხატვას ლიტერატურაში, რაც სხვაგან მისაღებ და ან ნორმალურ მოვლენად ითვლებოდა, ჩვენი ლიტერატურა თავის გულში ად-

(\*) იხ. პ. გ. ჩუბინაშვილის „ქართ. ხელოვნების ისტორიიდან“ გვ. V.

(\*\*) 22 13 22

ვილს ვერ დაუთმობდა, მით უმეტეს, რომ ამ გვარი «პანგები», როგორც ქვემოდ დავინახავთ, ჩვენი ერის ცხოვრებაში ითვლებოდენ ფრიად გასაკიცხ მოვლენებად, და ამისი მსგავსი რამ საქართველოში არ ყოფილა გავრცელებული!

ისე როგორც დღეს ევროპის კულტურულ ქვეყნებზედ არ ამბობენ: ფრანგები გერმანელების გავლენას განიცდიან, ან უკანასკნელნი ინგლისებისას, და სხვ. ასევე ანალოგიურად შეიძლება ითქვას იმ დროინდელ საქართველოსა და მეზობელ აღმოსავლეთის კულტურულ ხალხებზედ. რასაკვირველია მათ შორის განსხვავებაც ყოფილა, და მას საუკუნეთა მანძილზედ ჩხევაც განუცდია, სპარსეთის, არაბეთის, საქართველოსა და სხვ. შორის, ხოლო სწორედ მე-XII საუკუნეში, პოლიტიკურ ძლევამოსილებასთან ერთად კულტურული ცხოვრებაშიც საქართველოს ეჭირა პირველობის დროშა.

ამ გვარად ის გადაჭარბებული შეხედულება, რომელიც აქამდე ბატონობდა და რომელსაც ზოგი აზლაც იზიარებს, — თითქოს ჩვენ ყოველთვის სხვების გავლენის ქვეშ ვყოფილყოთ, — სამუდამოდ უკუგდებულ უნდა იქმნეს, რათგან ამ გვარ აზრს არავითარი ისტორიული და მეცნიერული საფუძველი არა აქვს.

**6. ქართული კულტურის  
გავლენა უცხოელებზედ.  
უცხოელთა თქმულებანი.**

ერს საუკუნეებით ერთად უცხოვრია. მაგრამ მიუდგომელ ისტორიას ჭეშმარიტი მსჯავრი უყვარს და ჩვენც ვამბობთ, რომ ის არ ყოფილა, რაცა პგონიათ, და პირიქით, ქართველებსაც უდიდესი გავლენა ჰქონებიათ სხვებზედ. ამას არა ერთი თანამედროვე მეცნიერი ადასტურებს.

კაცობრიობამ კულტურული განვითარება დაიწყო ლითონების აღმოჩენით. დღეს კი არა, ძველადაც ქარგად იცოდენ, რომ ამ აღმოჩენის ისტორიაში ქართველ ერს უდიდესი ღვაწლი მაუძღვის. და კიდევ რამდენი რამ არის ისეთი, რაც არ ვიცით და ხვალ გამოვა მზის სინათლეზედ. მარტო მოგზაურები არ იყვნენ

ამით, რასაკვირველია, ჩვენ ქართულ კულტურას არ ვთავთ მავთ იმ ხალხთა კულტურისაგან, რომელთანაც ქართველ

განცვიფრებაში ქართველთა კულტურული და მორალური მიხწევებით, არამედ ძველად ამას დიდი მწერლებიც უგალობდენ. საქართველო მათთვის მისტიური ქევყანა შეიქმნა, რომელიც საკმაო საზრდოს აწვდიდა მათ შემოქმედებას. მისი ხსენებაც საამაყოსაგანს წარმოადგენდა. ხალხმაც კი თავის შემოქმედებაში ქართველ ერს და საქართველოს შევნიერების, სიმდიდრის, გმირობის და რაინდობის ადგილი დაუთმო.

ქართველებს აღმოსავლეთსა და დასავლეთში დიდი სახელი ჰქონდათ გავარდნილი. ბერძენთა გმირის პრომეთეონის ანალოგია ამირანთან არ უნდა იყოს შემთხვევითი მოვლენა. ეს თქმულება ქართველების უდიდესი კულტურის დასაბამს უთითებს. ამის საბუთია ის, რომ ბერძენთა შემოქმედებამ პრომეთეონი კავკასიონზედ მიაჯაჭვა, — იქ, სადაც გმინავს საუკუნოდ ამირანი:

ევრიპიდემ თავის ტრალედის გმირად ქართველი ქალი მედედა გამოიყვანა.

ხოლო ეს ხილის პრომეთეს ქალიშვილების ხორც უგალობს;

« შენი ტანჯვა კოლხიდაში იციანო. »

და არა მარტო იციან: « სტირიან ქალწულნი კოლხიდის ბრძოლაში გამოწროთობილნი »

• • • • •

სტირიან მთიელნი კავკასიის

შუბთა და ორალთა ჩამსხდარნი

აღმოსავლეთშიც ხომ მთელი ზღაპრები დადის, საღაც უამბობენ საქართველოს სიდიადეს, ქართველი ქალის სილამაზეს, და საქართველო სამოთხედ, არის გამოყვანილი. ერთ შევნიერ სპარსულ ხალხურ პოემა - თქმულების თურქულ ვარიანტში, როცა გაქცეული სატრფო ვაჟს უსაყვედურებს:

« ბალში ვარდის — ხილის ფასი არ იცი,

კომშის ნაცვლად, ბროჭეული ვერ იცან » ა.

ვაჟის მიმართვაში ვკითხულობთ:

« შენს ღაწვებს არ გავცვლი საქართველოზედ » ა.

და აი, ასეთ საქართველოს კულტურული და მორალური გავლენა უფრო მეტი იყო მეზობელ ერებზედ, ვიდრე მეზობელთა ცუდ ზნეთა გავლენა ჩვენზედ.

7. ვეფხის-ტყაოსნი,  
გილგამეში, ფაუსტი.

პირ იქით, რუსთაველის ქმნი-  
ლებაში მოცემული დიდი საკა-  
ცობრით ჭანგი — იდეალი არ  
არის ახალი; ის მოდის უძველეს დროითგან და იარსებებს სა-  
ნამ კაცობრიობა არსებობს. ის, ჯერ პრიმტიული სახით, ადა-  
მიანთა მოდგმას მისი კულტურის პირველ რიცხაუზედ ებადება.  
მისი ხორც-შესხმა, მზატვრულ სახეებში გადატანა და ხელოვნუ-  
რი ამუსიკება ხდება გარკვეულ კულტურულ საფეხურზედ. და  
ყველა ეს ჭანგები წამოიჭრენ კაცობრიობის პირველი ციფრი-  
ზაციის ხანაშივე.

*რუსთაველის იდეალი:* ძიება ჭეშმარიტების, სიმართლის,  
სინათლის — არ ახალია. შოთას ტრადედია, ეს იგივე ფაუს-  
ტის ტრადედია (\*), იმ განსხვავებით, რომ შოთამ სხვა ეპოქაში  
და სხვა სიტყვით, მოქმედებით და ფსიქოლოგიით მიაწვია იმას  
სანამ: «ბოროტსა ჰსტლია კეთილმან, — არსება მისი გრძელია!».

ფაუსტისათვის კი სულ სხვა გზების გავლა შეიქმნა საჭირო  
სანამ მიაწვივდა ამ ქვეყნიური არსებობის მიზანს, სანამ ნახავ-  
და აუკრიაქებული სულის საცუდარს.

გაიხსენეთ სუმერ-ბაბილონელთა ეპოსი. რამდენი მსგავსება  
აქვსთ იმ ჭანგებს, რაც იქ არის — აგერ გუშინდელ რუსთველის  
და დღევანდელ ფაუსტის იდეალებთან!

ამ მხრით თუ ოქვენ შეადარებთ მათ, ნაჩვეთ განსაცვიფრებელ  
იგივეობას. აიღეთ ფაუსტი და გილგამეში. ძიება უკვდა-  
ვების, რომელიც წარმოადგენს ამ გმირთა ტკივილების მიზეზს,  
განა ერთი და იგივე ძირის არ არის? ის საბოლოო იდეალი, რო-  
მელიც ფაუსტმა შრომაში დაისახა, გილგამეშმა ბრძოლაში ან  
იცნო? ეს დასკვანა გამოგვაცეს გრლგამეშის ერთი სუნითვან, რო-  
დესაც ის ჩაღის ქვესკნელში, გამოიწვევს მეგობრის ენ კიდუ  
სულს და ეუბნება: «მითხარ წესი და განგება ქვესკნელისა, რო-  
მელი იხილე, მითხარი!» ა. ენკიდუ ჩამოუთვლის ყოველგვარ პი-

(\*) ფაუსტის გვერდით ვასახელებთ შოთას, მისი რომელიმე ვრცელი შემა-  
ურ მიტომ, რომ მხოლოდ ერთი გმირით იმ გმილისახება ის, რა კი თან შეუ-  
და, ისე როგორც ეს მოსდა ფაუსტში.

რობეგში დახოცალთა მდგომარეობას და იქ, სიქიოს, კარგად ყოფაში ახასიათებს მანლოდ ბრიტლაში დახოცილთ. გილგამეშ ეკითხება: «ვინც ბრძოლაში მომკვდარა, ვინახავს ასეთი?». ენკიდუ: «მინახავს. — მამას და დედას უსვერიათ თავი მისი, ცოლი თავზედ დასცეკრის » ა...»

ერთი და იგივე იდეალი მეცნიერებული ეკიდნები საუკუნეში სხვა ტანსაცმელით იმოსება და ხუთი ათასი წლის წინა ეპოქაში კიდევ სხვით. ერთი და იგივე საკაცობრიო ტკივილი ერთ ეპოქაში იკურნება ერთი წამლით, მეორეში მეორით. ყველას თავისი ეპოქის დაღი აზის.

იგივე მოტივი განმეორებული ეკიდნის-ტკაოსანში ბორცს შეისჩამს სულ სხვა ფორმით. უფრო საინტერესო ის არის, რომ ხშირად ურთი და იგივე ტკივილების გამო ატირება თუ ამდერებაც მზოლოდ ერთი და იგივე ფორმითა და სტილით არის შესაძლებელი. მაგ. ფაუსტისაც და გილგამეშისაც დასაწინისი ერთნაირია (\*): იქ ფაუსტი სწავლობს ჯველადერს, ფილოსოფიის ტოქტორი ხდება და მაინც უვიცია და ტრადედიას განიცდის; აქაც გილგამეშ რომელმან:

«განიცადა ყოველი, ისწავლა ყოველი  
ერთბამად გაძსჭვრიტა ყოველი საიდუმლო ».

მაინც დარჩა სულით ცალიერი, ვერ კმარილდება და უკვდავების ძიების სურვილი ცეცხლივით ეკიდნება. საინტერესოა ასეთი ფსიქოლოგიური ყოფის სიტუიციები გამოხატვა. ფაუსტი იტყოდა: „რაც მინდა ის არა მაქვს და რაც მაქვს ის არაოდეს მომინდების“ ა და ა საერთო საკაცობრიო ჭმუნვისა და გოდების მიზეზს შოთა უფრო მარტივად გამოსთვამს:

„, მით რაცა მინდა არა მაქვს, რაცა მაქვს. არ მომინდების “ ა. გარდა იმ მრავალ საინტერესო შედარებათა, რომელიც შოყვანილი აქვს პატივცემულ მის. წერეთელს მისი გილგამეშიანის თარგმანის შენიშვნებში, ჩვენის მხრით კიდევ ერთს დავუმატებთ.

(\*) ოუმრა ცოტა მკრთალია, მაგრამ ამას შეიძლება შეფადაროოთ ვეფხისტყოსანის დასაწყისიც, როსტევანის უქმაყოფილება, შიუხედავად იმის რაც ის არის (და ჩვენ ვიცით რაც არის!).

ხშირად ამ ხანგრძლივ დროთა მანქილით დაცილებულ ქმნილებების მიზანთა იგივეობის გარდა, მიხწევის მეთოდებიც ჟასუსალებებიც ერთნაირია.

ავთანდილმა რომ საბოლოოდ მიაჩინოს თავის მიზანს, ტარიელის შველას, აქ, ამ დიდი საიდუმლოების კვანძი, რაც აქამდე დაჭარულია და რისთვისაც გმირნი ველად რბიან გაჩდლებულნი, იზსნება ფატმანის სახლში, უა ამას ავთანდილი აწევს ფატმანთან კავშირით. გილგამეშიანშიც, როცა ენკიდუსგან ღაშინებული მონალირე მიმართავს რჩევისათვის გილგამეშს, ის ურჩევს მიმართოს მეძავ ქალს და მართლაც ეს უკანასკნელი შეასრულებს კველაღერს,

— თუ ცოტა კიდევ განყენებული თვალით შევხედავთ ამ შივლენას, არ შეიძლება პირველში ფატმანი და მეორეში მეძავი ქალი ზღაპრებში მიღებულ კუდიან ბებრებს არ შევადაროთ!..

აქეთგან ნათელია, რომ ისეთ ქმნილებებში, რომელნიც წარმოადგენენ დიდი ცივილიზაციის და კულტურის ნაყოფს, რომელნიც შეიცავენ საკაცობრიო უკვდავ იდეალებს, ჯოველ წვრილმანებში ნაწავთ საერთო ნიშნებს.

სასაცილო იქმნებოდა გეეთქვა რომ ფაუსტის ავტორმა გავლენა განიცადა ვეფხის-ტყაოსანის და (ასევე ალბათ!) რუსთაველმა — გილგამეშიანისა!

მაგრამ თუ მივიღებთ მჩედველობაში იმას, რომ გილგამეშის ეპოსს კავშირი აქვს კაციბრიობის იმ პირველ ცივილიზაციასთან, რომლის შემცირებულად ქართველთა მონათესავე ხალხს აღიარებდნ, ჩვენთვის გასაკვირველი არ იქმნება, რომ იმ სტილის, რომელნიც მაშინ შთანთქა ქართველთა გენიამ, აგერ, ომოლენიმე ათასი წლის შემდეგ ვეუპას-ტყაოსანის საჭით მოვლინებულ ვარსკვლავში გამოეშუქებიოს!..

### 8. შე-XII ს. საქართველო.

მაინც რას წარმოადგენდა რუსთაველის საქართველო?

მე-XII საუკუნეში საქართველოს უმეტესი პოლიტიკური ძლიერება მთელი წინა აზიის ერთა შორის ცნობილია, ამ დროს მან

კულტურულადაც უმაღლეს წერტილს მიახვია. გაიღურჩქნა ზელიგნება და მწერლობა, მეცნიერება და ფილოსოფია. განვითარდა ვაჭრობა, შინა-მრეწველობა, ალებ-მიცემობა გარედ და შიგნით. შეაქმნა ჩელოსანთა გარკვეული საზოგადოებრივი ფენა, — ქალაქის კორპორაციები. ბოლო მიწის მეურნეობასაც საგრძნობი ვანვითარება ეტყობა. სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებაც იცვლება. ოეოდალიზმის ვანვითარება თავის მწვერვალს ატევს. ფეოდალური არისტოკრატია და აზლად ამოტივტივებული საზოგადი ჯგუფები, ასამდიდრათ ალწევებულნია შეეჯახებიან ურთიერთს. პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ აზროვნების ისტორიაშიც იშლება არალი ფერცელი. ქართველთა გენიამ სრული გამოაშვარავება შესძლო თავის პოტენციის, — ყველა დარგებში. ერთი სიტყვით, ამ დროს საქართველომ ნივთიერი და გონიერივი კულტურის სრულიად დამთავრებული შენობა მოგვცა.

ამ დროის ჩვენი კულტურის ეროვნული ჩასიათი გასაოცარი არ არის, რათგან ჩვენში მას საჯუბველი უფრო ადრე ჩაეცარა. ძველ საუკუნეებს რომ თავი დავანებოთ, პირველი პერიოდი ჩვენი ეროვნული კულტურისა და ხელოვნების ძლიერი განვითარების ვაჩტანგ გორგასლანის ჩანა იყო.

მე-VI—VII ს-ში აგებული ეკლესია-მონასტრების ნაშთები მჭერმეტყველურად ამტკიცებენ ჩვენი ეროვნული კულტურის იმ დროინდელ სილალეს, გამლილობას. სოლო ლიტერატურული ძეგლები — ეს ხომ შესუევრია! . . .

იაკობ ხუცესის თხულების ენა და სტილი არ არის უკულტურო ზალის ან დაბალი დანის კულტურული ეპოქის ნიშანი. ეს ერთი მრავალთა შარის ბრწყინვალე მაგალითია ქართული მეტყველებისა და მარტვრული განსახიერების უდიდესი წარმატებისა და მიზწევისა. და ცხადია, თვით ეს ფაქტი ამ პერიოდში იმასაც ამტკიცებს, რომ მტერთა შემსახურები ხშირად არამც თუ რამე გავლენას აჩნევდენ ჩვენი ეროვნული კულტურის ევოლუციაზედ, არა მედ დაბრკოლებაც არ ძალუძღავთ მისი, და ის თავისას მაინც განაგრძობდა.

გარდა ამისა, მაშინ დაპყრობითი პოლიტიკის ინტერესიც, თუმცა ეკონომიკური, მაგრამ პრიმიტიული იყო და დამპყრობი

არც ჰქონდათ დიდი ინტერესი ეროვნული კულტურის განვითარებისათვის ხელი შეემალათ. ამისი საუკეთესო მაგალითი არა ბებსა და ქართველთა შორის დადებული ხელშეკრულებაა (\*).

არაბთა შემოსევის პირველი საუკუნე, მართალია, დიდად აკნინებს ჩენ ეროვნულ ცნოვრებას, მაგრამ სასტიკი ფიზიკური წნევით გამოძახილი, ეროვნული თვითშემეცნების იოვანე საბანისძისებური ყივილი არ დარჩენილა ზმაღლ მღალადებლისა უდაბნოსა შინა, და უკვე გე-IX ს-ითვან ჩვენი კულტურა კვლავ ახალი სახით იწყებს ევოლუციას.

ერთი მშრით ზარზმა, გელათი, ბახული, გარძია, ოშკი და სხვები, მეორე მხრით გრ. ხანძთელი, გ. შერჩული, ბასილ ზარზმელი, გ. მთაწმიდელი, გ. ბუცეს მონაზონი, ეფრემ მცირე, იოვანე პეტრიწი და ბოლოს მ. მოზრეკილი, მღბევარი, შავთელი, ჩახრუხაძე, თომოველი და დიდი რუსთველი — ეს იყო ამ ეპოქას დაგვირგვინება და სჩულ-ქმნილი ფორმის მიცემა, რასაც მტერი აფერხებდა სოლმე, მაგრამ როგორც აუცილებლობა, ერთს შემოქმედებითმა გენიამ თავისი მაინც გაიტანა და აზრს ხორცი შეასრა.

9. ჰომილოსი, რუსთველი,  
დანტე და შექსპირი.

ამ გვარ ეპოქაში დაიბადა ვეფხის-ტყაოსნის ავტორი და საქართველოს მწეს უკანასკნელი ჰიმი მან უგალიზა. ჩეტჩის-ტყაოსნი ვანსაკუთრებული მოვლენაა; ამ ეპოქის გარეშე ის ვერ დაიწერებოდა.

კულტურისა და ცივილიზაციის ისტორიულ ეპოქებს უმეტესად აზასიანებს ხელოვნების მაღალი განვითარება. ხელოვნება როგორც უმაღლესი ფორმა იდეოლოგიისა, არის რთული გამომზატველი ერის და ეპოქის განცდების: სიბარულის და მწუხარების, სევდის და აღმაფრენის. ლიტერატურული შემოქმედება ყოველთვის ატარებს თავის წიაღში სულს მისი შემომქმედი ერის მთელი ისტორიის, მისი კულტურის, მისი ცივილიზაციის.

დიდი ხელოვნური შემოქმედება არაოდეს არ იბადება ერთს

(\*) იშ. ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი II ვე 343.

დაცემის ხანაში. პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და მორალური კრიზისის ღრმა ძლიერი ხელოვნების ძეგლები არ ჩნდებიან. ან და თუ ამის მსგავსი რამ შეიქმნა, მისი ღირებულება იქმნება ხანმოკლე, და ერთ დღეს მხოლოდ ისტორიული ღირებულებადა შერჩება. მსოფლიო კულტურის და ხელოვნების ისტორია ამტკიცებს ამას.

პომიროსითგან გოეთებდე მთელი კაცობრიობის შემოქმედების გენია მხოლოდ რამოღენიმე ერმა გამოსახა, რამოღენიმე ნაწარმოების სახით. თითბერ ჩამოითვლება ისეთი გენიები, რომელთა შემოქმედების იდეა და შევნიერებანი დღესაც ისე ანათებენ, როგორც მისი დაბადების დღეს; განივლის კიდევ მრავალი ღრო და მათი ღირებულება კვლავ უკვდავად დარჩება.

სამი ათასი წლის განმავლობაში ასეთი გენია კაცობრიობამ მხოლოდ ოთხის სახით მოგვცა: 1.) პომიროსი, რომელმან ამქვეყნიური სიამოვნებისადმი მარად ლტოლვილი სული, ანტიური კულტურის აზრი, ოლიმპოს მწვერვალებამდე აზიდა. მის სრულებრივი მოქმედების სილაცე და სიტყვანი გულისა გასაგმირეთა, ფიანზაზად დაუფინა და შექმნა უკვდავი ეპოპეა. 2.) რუსთველი, რომელმან მთელი საუკუნეებით დაგროვილ ქართველი ერისა და მცირე აზიის ძველ კულტურულ ერთა გენიას ხორცი შეასხა, ჩაპერა უკვდავი სული და დაგვიტოვა უჭინობი თაიგული. ასეთი იყო 3.) დანტე ხმელთაშუა ზღვის ნაპირების აღორძინების წიაღში და 4.) შექსპირი ბრიტანეთისა და ატლანტის ოკეანის ნაპირებისათვის.

ეს ოთხი ღიდი მნათობი მოგვცა ყოველი ერის ანალოგიურმა ეპოქებმა: პომიროსი ბერძნთა კულტურის გაშლამ, რუსთველი საქართველოს ოქროს ხანამ, დანტე იტალიისა და შექსპირი ინგლისის აღორძინებამ.

აი ვინ არის რუსთველი და რომელი მწვერვალითგან უნდა გადავხედოთ მას. ამ გვარი მწერლის შემოქმედების პრიზმაში, სადაც ერის მთელი ისტორიის გარდატეხა ჩდება და აღისახება მისი უოფა, ძირეული გარეშე გავლენის ძიება, — სტილისტიკური იქმნება იგი, მორალური თუ სსგა რამ, — ყოვლად შეუძლებელია.

10. ქრისტიანული მორალი  
და მათათ-ზაკლობის საკი-  
თხი საქართველოში.

მაგრამ იქნებ რუსთველს  
თვით საქართველოს ნიადა-  
გიც ერთგვარ მასალას აძ-  
ლევდა მორალურ სფერო-

ში?! იქნებ საქართველოშიაც იყო სქესთა ალჩევა გავრცელებუ-  
ლი, რაიცა შესაძლებელია, პოეტს თავის შმოქმედებაში შეპარ-  
ვოდა?! მაგრამ ამ ვვარი ახსნის ღრმასაც სიტრონილე გვმართებს,  
რათგან ასეთი რამ სენი, თუნდაც გავრცელებული საზოგადოებაში,  
თუ ის ოუციალურად მაინც დაგმობილია იმავე საზოგადოების მი-  
ერ, შეიძლება პოეტმა მისი შემოქმედების «პანგად» არ აქციოს.

მაგრამ დავანებოთ თავი ამას და განვიხილოთ იმ დროინდე-  
ლი საქართველოს ვითარება მორალის ამ სფეროში.

ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ნელ-ნელა ქართველ ერ-  
ში ფეხს იკიდებს ქრისტიანული მორალი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ქრისტეს სჯულის  
შემოსვლას დაწვდა აღგილობრივი ეროვნული კულტურა, მორა-  
ლი, ადათ-ჩვეულებები, და ეს ისეთი ძლიერი იყო, რომ მისი  
მრავალი ნაშთი დღესაც არის, ქრისტიანობამ მაინც ღრმა კუ-  
ლი დააჩნია ჩვენს ცაოვრებას და განსაკუთრებით მე-IX-X ს-ბში  
ქრისტიანიზმის მორალი ჩვენში უმაღლეს განვითარებას აწევს.  
მთელი საზოგადობრივი ცაოვრება ნებით თუ უნებლიერ მას ე-  
მორჩილება. მეფითგან დაწყებული უბრალო მოხელემდე ეკლე-  
სიისა და მის მიერ შემუშავებული კანონებისა და ზნეობრივი  
ნორმების წინაშე ცველა ქედს იხრიდა.

განსაკუთრებით მოქალაქობრივი ცაოვრების სფეროში ეკლე-  
სია ძლიერი დირიქორის ჯობით შევიდა:

1. პირველად ქრისტიანობამ საზოგადოდ, საბოლოოდ გან-  
დევნა მრავალ ცოლიანობა (რუსთველმა «მრვალ მიჯნურობაცაც  
დაჰგმო!»).

2. ქალ-ვაჟის ყოველ გვარი სქესობრივი კავშირი ქორწინე-  
ბამდე ღანაშაულად აღიარა, რასაც ძველად სიძვას ეძახდენ.

3. ცოლისა და ქმრის შორის დალატიც უდიდეს ცოდვად ით-  
ვლებოდა. და ცველა ამ ღანაშაულთ საეკლესიო სამართალი გან-  
საზღვრულ სასჯელს უწესებდა.

საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ საისტორიო ქეგლებში შენახული წოგიერთი ცნობები.

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში შენახულია ერთი ცნობა. ერთ ახალგაზრდა ქალს შეუცვარდება ერთი ყმაწვილი კაცი და «ლამე ყოველ» ნაწულობრენ ურთიერთს. ბოლოს ქალი მოიტაცა ვაჟმა. მას დაედევნა ქალის ერთად ერთი ძმა, რომ მელიც ამბობდა: «ვარ მე ჭაბუკი სახელოვან და სჩ, . . . დალაცა თუ ვეწიო და მოვკლა, საბრჩე არს სულისა ჩემისა, და უკეთუ ცუ ცუდად უკუნვიქცე, სირცხვილ არს ჩემდა» ო.

ამ გვარ შემთხვევისათვის იმ დროინდელი ოფიციალური სამართლი რა ზომებს იღებდა, ამის შესახებ არავითარი ცნობები არ შენახულა; ხალხის ადათის მიხედვით კი პატრონს უთუოდ სისხლი უნდა აეღო. ჩვენ ვიცით, რომ სისხლის აღება საზოგადოდ ნიშნავს სამაგიეროს, და დაუკანონებული სიყვარული სადამდე მიუღებელი უნდა ყოფილიყო ხალხისათვის, რომ ქალის ძმამ სისხლის აღება განიზრახა (\*)!

ცოლ-ქმრობის ლალატსაც ცუდი შედეგი მოსდევდა. განსაკუთრებით ქალს ხალხის ჩვეულების მიხედვით, ამ სფეროში, გაცილებით ბევრი მოეთხოვებოდა. გაიხსენეთ აშოთ კურაპალატის და ადარნასეს ამბები. თუმცა იყო შემთხვევები, რომ საყვარლებიც ყოლიათ, სანდასხან მეფებსაც კი, მაგრამ ეკლესიაც და ხალხური ადათ-ჩვეულებაც ძალიან სდევნიდა ამ გვარ საქციელს.

ასეთი იყო ზნეობრივი სული საქართველოში ჯერ ბუნებრივ სქესობრივ ურთიერთობის სფეროში. ხოლო არა ბუნებრივი გზით სქესობრივი კავშირის ტრადიცია საქართველოში არ არსებობდა.

თუმცა უძველესი დროითგან ეს სენი გავრცელებული იყო ზოგიერთ ქვეყნებში და აღნიშნულ ხანაში საჩინოდ მოდებული ბიზანტიაში და სპარსეთში, მაგრამ, როგორც მასიური მოვლენა ის არაოდეს არსად ყოფილა ისტორიამ რომ იცოდეს.

ძველი თარგმანების მიხედვით ვტყობულობთ, რომ გარდა მა-

(\*) ასეთი ჩვეულება აქამდე დარჩენილია სევსურ-თუ შებში. ის ვინც ახალგაზრდა ქალს გააუპატიურებს და არ შეირობს. სიკედილით ისჯება თუ ქალი დაორსულდა. მ. კავალევსკის „კანონი და ჩვეულება კავკასიაში“ ტ. II გვ. 119.

მაკაცთა შორის, მამაკაც-დედაკაცთა შორისაც არსებობდა ეს სენი, რაის აღსანიშნავად იქ განსაზღვრული ტერმინოლოგიაც შემუშავებულა. ხოლო, ქართულ წყაროებში, გარდა «მამათ-მაჭალების», რომელსაც ავრეთვე «სოდომური ცოლვა» ეწოდებოდა, სწვა ტერმინი არ არსებობს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოში ამისი მსგავსი რამ რომ ყოფილიყო, შეუძლებელია ამისი კვალი ძეგლებში არ დარჩენილიყო. არა მარტო საერო მწერალნი, არამედ ისეთი ღიძი მეუდაბნელნი და ღვთის-მეტყველნი, როგორნიც იყვენ გ. მთაწმიდელი და გ. ზუცეს მონაზონი, ისინიც კი არ მალავენ ასეთ მოვლენებს. მაგალითად მათ ნაწერებში ხშირად გვხვდება დარიგებათა შორის «ჩუკუნის» აკრძალვა ბერებისათვის და აშისთვის სათანადო სასჯელსაც აწესებდენ. და რაღა სწვა მოვლენას აუზვევდენ გვერდს, რომელიც უფრო ფართე საზოგადოებრივი მნიშვნელობის იყო?! თვით გ. მთაწმიდელი საქართველოში მოსვლისა და ჩვენი მაშინდელი ცხოვრების ყველა უარყოფითი მხარის მხილების შემდეგ არსად ამ მოვლენაზედ არაფერს ამბობს.

ამ გვარად არ არსებობს არავითარი ზყარო მაჩვენდელი იმისი, რომ საქართველოში მამათ-მავლობას საჩინო ბასიათი ჰქონდეს.

ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ბიზანტიაში, საღაც მაშინ ძალიან გავრცელებული იყო ეს სენი, ამ მოქმედების წინაღმდეგ იმდროინდელმა ბიზანტიურმა სამართალმა სიკვდილით დასჯა დააწესა. ხოლო საქართველოში ჩვენი სამართლის წყაროები ამ საკითხზედ სდუმან.

ვიზორებთ, რომ ამის მსგავსი რამ არსებულიყო, შეუძლებელია რაიმე სასჯელიც არ ყოფილიყო დაწესებული ჩვენშიაც და ეს ცნობა სადმე შეინახებოდა.

მაგრამ, ვინაითვან სწვა მეზობელ ერებში ეს სენი მოღებული იყო, ალბათ ქართველობაც საშიშროებას მოელოდა და განსაკუთრებით სამღვდელოება, მეფეთა მფარველობით, წინასწარ სასტიკად ილაშქრებდა მის წინაღმდეგ. მაგალითად 1103 წ. რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზეც ყოფილა ლაპარაკი ამ საკითხზედ. ამ კრებაზედ, როგორც ვიცით, მონაწილეობას იღებდა «ვრი-

მრავალი» დავით ალმაშენებელის ხელმძღვანელობით და აქეთგან გასაგებია, რომ მთელი საზოგადოებისათვის საინტერესო ცოდნილა ეს საკითხი. და რათგან მეზობელ ერებში მოდებული იყო ის, კრების დადგენილება ქართველებს აფრთხილებს: «ამისთვის ვამ- „ცნებთ ყოველსა: დიდსა და მცირესა, მდიდარსა და გლაბაკსა, „მეფესა და მთავარსა, აზნაურსა და მდაბილსა, მღვდელთა და „უმღვდელოთა, მოწესეთა და ერისკაცთა, ბერთა, ჭაბუკთა და „შუა კაცთა, ყოველსა პატივსა და ყოველსა წესსა და ყოველსა პა- „საკსა განყენებად ამას: ვნებისა» განო (\*). და საინტერესოა, რომ კრება ამისთვის სასჯელს საიქიოს უთითებს და, მიუხედავად იმის, რომ ეს კრება მეფის თაოსნობით მოქმედებდა, სააქაო სას- ჯელს იგი არ ასახელებს. ესეც კიდევ ამტკიცებს, რომ საქართველოში ეს სენი არ ყოფილა გავრცელებული, რომ მას- ზედ სააქაო სასჯელი ყოფილიყო დაწესებული.

სხვა გვარი პასუხის გაცემა ამ საკითხზედ შეუძლებელია. თუ არა, ბიზანტიის კანონმდებლობის მიერ სიკვდილით დასჯის დაწესების შემდეგ უნდა ვალგიაროთ, რომ თუ ეს სენი საქართვე- ლოშიც არსებობდა, მას ერი სიამოვნებით იღებდა და სასჯელის მაგიერ, ალბად, საჩუქრებითაც აჯილდოებდენ. წოლო ეს აზრი რუს-ურბნისის კრების დადგენილების შემდეგ მიუღებელია.

## 11. ძველთა შეხედულე- ბანი ვეჯხის-ტყაოსანზედ.

საინტერესოა ისიც, გავი-  
გოთ, ძველად როგორ უყუ-  
რებდენ ვეჯხის-ტყაოსანს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძველად შოთას უკვდავი პო- ემა კლერიკალური ზოგიერთი წრეების მიერ დევნას განიცდიდა. (თუმცა მე-XVIII ს-მდე ამისი საბუთი არ გვაქვს!) მაგრამ არც ერთი საბუთი ამ დევნის მიზეზების შესახებ წყაროებში არ შე- ნახულა (\*\*). წოლო მე-XVIII-ტე საუკუნეში, ვიცით, რომ ტი-

(\*) იხ. ივ. ჯავახიშვილის „ქართ. სამართლის ისტ.“ ვ: II, ბ. გვ. 298.

(\*\*) არის გაღმოცემა, თითქოს თამარის დროს, შოთას სიცოცხლეშივე იღვანე კათალიკოსს მისთვის დევნა დაეწყოს

მოჟე ქართლის ეპისკოპოსი ვეფხის-ტყაოსანს იჩნევდა გარეუნი-  
ლების მასწავლებლად. და ამას ხედავდა ნაწარმოების საკრო  
ხასიათში. ის ამბობს, რომ «რუსთველმა ქართველ დედაკაცებს  
ასწავლა სიწმიდისა წილ სიბოროტე და სიბილწე» ო. ზოლო ან-  
ტონ კათალიკოსი თავის წყობილ სიტყვაობაში სწერდა:

«შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის მოყვარე ფრიად,  
ფილოსოფოსი, მეტყველი სპარსთა ენის,  
თუ რომ სწადოდა, ლვოის მეტყველიცა მაღალი,  
მაგრამ ამაოდ დაშვრა, საწუხ არს ესე» ო.

შოთას აგრეთვე უწუნებდენ, რომ ის, მსგავსად სხვათა, წმიდა  
სამებას არ ახსენებს და სხვა ქრისტიანულ სარწმუნოებრივ ნიშ-  
ნებს ლიად არ ხატავსო.

ზოლო 1712 წ. ვახტანგ მეფემ პირველად დაბეჭდა ვეფხის-  
ტყაოსანი, (რომელსაც დღეს ვუწოდებთ ვახტანგისეულს). მან  
დაურთო თავისი კომენტარიები და ამას შემდეგ სიტყვებით იწ-  
ყებს; «მე ვწერ ძმისწული მეფის გიორგის და ძე ლევანისა გამ-  
გებელი ქართლისა. ვახტანგ წიგნსა ამას ამისთვის; უკლინა-  
რობითა და სოფლის ნივთთა შემსჭვალვით სამე-  
ძაოდ სთარგმნიდენ მას რიტორისა და ბრძენ მეცნიერისა  
ყოვლად ნამუშავევისა სამუშაკოსა, მსგავსად თვალთა,  
რომელთა ვერა სცნობენ მცნობელნი და ჭიქასა  
ქვად პატიოსნად სახელს სდებენ...» და სხ. (\*).

როგორც ვხედავთ, იმავე მე-XVIII-ე საუკუნეში ვეფხის-ტყა-  
ოსანს. ისეთი დიდი დამცველიც ყოლია, როგორიც იყო ვახტანგ  
მეფე. ის პირდაპირ ამხელს, რომ გაუგებრობით და უცოდინა-  
რობით ვეფხის-ტყაოსანს ათასი რამ დასწამეს და ამისთვის იძუ-  
ლებული გავხდი განმარტებანი («თარგმანი») გამეცეთებინაო (\*\*).

უნდა ითქვას, რომ ეს «თარგმანი» დღესაც ინტერეს მოკლე-  
ბული არ არის. ამ მხრით ვახტანგი ისე შორსაც მიდის, რომ იქ,

(\*) იხ. ვახტანგის გამოცემა გვ. სპბ. (ვისარგებლეთ სტამბოლის ქართ-  
ველ კათოლიკეთა საეპისკოპოზიტოში დაცული ეგზემბლარით).

(\*\*) იმავე საუკუნეში განთლებულმა პატრიარქმა ანტონ I ვახტანგის  
აღნიშნული გამოცემის აუარებელი ეგზემბლარი დაწვევინა თურქე.

სადაც ტიმოთე უპისკოპოსი გარევნილებას ხედავდა, ვანტანგი ყველაფერს ქრისტიანული თვალსაზრისით ხსნის.

ვეფხის-ტყაოსნის კვლევა-ძიება კაი ხანია სწარმოებს. დიდ ხანს ის გაცილებით სუსტ მკვლევართა ხელში იყო. მასზედ ბევრი უმეტესობა ითქვა, მაგრამ ისეთი აზრი, რაც ბ. ზ. ავალიშვილმა ზემოხსენებულ სენის შესახებ გამოსთქვა, ჯერ არავის უთქვამს. კერძოდ მისგან კი ასეთ რამეს ჩვენ აროდეს მოველოდით (\*).

ზემოდ ჩვენ განვიხილეთ კულტურულ-მორალური ურთიერთობის საკითხი საქართველოსი მეზობელ ერებთან და იმ დასკუნამდე მივეღით, რომ ამ მხრით საქართველოს ძირეული გავლენა უცხო ერებისა არაოდეს, და განსაკრთოებით მე-XII საუკუნეში, არ განუცდა. შემდეგ განვიხილეთ საქართველოს შინაგანი ვითარება და იმისი მსგავსი რამ, რასაც შეიძლება საბაბი მოეცა ჩვენთვის, გვეფიქრა, რომ ვეფხის-ტყაოსანში კვალი ამ სენისა უნდა შენახულიყო, — არ არსებობდა.

## 12. ძველი «ამბავი» და ხალხური ვეფხის-ტყაოსანი.

ამავე განვიხილოთ ის საკითხი, რომელსაც პატივცემული მკვლევარი უშუალოდ ასახელებს: რომ თითქოს, შესაძლებელია, ეს მოტივი იყო იმ ძველ ამბავში, რომლითაც შოთამ ისარგებლა, და ალბათ მისი კვალი მის შემოქმედებასაც დააწინდაო.

ჯერ ჩვენ არ ვიცით არც ის, ისარგებლა თუ არა შოთამ მართლა რაიმე ცოცხალი სპარსული თქმულებით (\*\*). მერე, თუ ის აზრიც მართალია, რომ აქამდე შენახული ხალხური ვეფხის-ტყაოსანი ნაშთია იმ ძველი ამბისა, რომელზეც რუსთველმა უკვდავი ქმნილება ააგო, ბ. ზ. ავალიშვილის შეხედულება მოიხსნება.

ხალხურ ვეფხის-ტყაოსანში არამც თუ ამისი მსგავსი არაფერია,

(\*) იხ. ზ. ავალიშვილის „ვეფხის-ტყაოსნის საკონები“, თავი მეოთხე.

(\*\*) ზ. ავალიშვილის მთავარი დასაყრდენი დებულება დაუმტკიცებელია. ამიტომ მასზედ რაიმე მეცნიერული შენობის აგება ეწინაღმდეგება ქეშმარიტ კვლევა-ძიებას.

პირიქით, ზნეობის საკითხი აქ სულ სხვა გვარად არის წარმოდგენილი. მაგალითად, როდესაც ავთანდილს თინათინი უჩჩევს, რომ მის ბიძაშვილს ტარიელს უშველოს, ავთანდილი უსაყვედურებს:

ბოჭო, რას ამბობ, დიაცო

არჯალო, აუგიანო!

უწყლო, ულარო წისქვილი

მთაში ვის აუგიანო?!

მოყვარეების გულისთვის (ე. ი. საყვარლების)

ქმარი ვის დაუგდიანო?!

ამაზედ შეწუბებული თინათინი აი რას უპასუხებს ავთანდილს:

ლმერთი რისხავდეს თინასა,

ხატი ყოველთა წმიდისა,

ქმარი უნდოდეს შენს მეტი

— ათას სხვა ჰყავდეს გულისა!

მოძებნა მაინც კარგია

მოყმისა ღაკარგულისა... ო (\*).

ამ ადგილის შედარება ვეფხის-ტყაოსნის სათანადო ადგილთან ლირს-შესამჩნევია. ხალხური ვეფხის-ტყაოსანი ჩვენთვის კიდევ იმ მხრივ არის საინტერესო, რომ აქ, ხალხის შემოქმედებამ მთავარი გმირები (იქ მეგობრები) ნათესავებად წარმოიდგინა. ტარიელი ავთანდილის ბიძაშვილად არის გამოყვანილი, ფრიდონი კი ავთანდილის ბიძად (ალბათ მეორე ბიძად). ვიმეორებთ: თუ მართალია ის აზრი, რომ ხალხური ვ.-ტყაოსანი საფუძვლად დაედვა შოთამ პოემას, მაშინ სრულიად აღარ სჩანს ის კვალი, რაც შეიძლებოდა მივევწერა ვეფხის-ტყაოსნისათვის, როგორც ნაშთი პირველ წყაროისა. ხოლო თუ ის აზრია მართალი, რომ ხალხური ვეფხის-ტყაოსანი შოთას ვეფხის-ტყაოსანითვან არის წარმომდგარი, კიდევ მართლდება ჩვენი დებულება, რომ ხალხმა ის პეგობრული ურთიერთობა, რომელიც ამ გმირთა შორის დაინახა, მხოლოდ ნათესაური ღაკავშირების ნიადაგზედ წარმოიდგინა და ს. (\*\*).

(\*) სევსურული ვარიანტი მერქვილაძის ვამოცემა გვ. 14. — (\*\*) სვანურ-ქანური ვარიანტით ტარიელი და ავთანდილი ქმები არიან; ხოლო ქართლ-კახურით დეიდაშვილები. (ზნეობრივად სვანური ძალიან საინტერესო).

13. უცხო მასალით სარგებლობის  
და თარგმანების საკითხი.

წარმოვიდგინოთ კი-

დევ ერთი შესაძლებლო-  
ბა. ვთქვათ, მართლა იყო

რალც თქმულება, რომლითაც შოთამ ისარგებლა. და ისიც ვთქვათ, რომ ეს თქმულება სავსე იყო იმ გვარი სოდომური ცოდვის მა-  
გალითებით. დგება საკითხი: შოთა, რომელმაც ამით ისარგებლა, უთუოდ შეინაბავდა მის რაიმე კუალს თავის ნაწარმოებში თუ არა? ან შესაძლებელია ეს საზოგადოდ, თუნდაც პირდაპირი თარგმა-  
ნის შემთხვევებში? ჩვენი აზრით შეუძლებელია, და აი რატომ.

როგორც ყოველ სჯეროში, ლიტერატურაშიც უცხო მასა-  
ლით სარგებლობის ან პირდაპირი თარგმანის დროს მთარგმნე-  
ლი ან მწერალი სრულიად ფლეისუფალი არ არის. ის განიცდის  
გავლენას იმ საზოგადოებრივი მორალის, რომლის მოოხვნილება-  
თა კანიანითაც გამოწვეულია მისი მოქმედება. არ ითარგმნება და  
ვერ ითარგმნება ისეთი ნაწარმოები, რაც თანამედროვე ესთეტი-  
ურ, იდეურ და მორალურ მოთხოვნილებებს ვერ დააკმაყოფილებს.  
ამტომ არის რომ კარგი მთარგმნელი ხშირად ისევე შედის ლი-  
ტერატურის ისტორიაში, როგორც ორიგინალური მწერალი, ხში-  
რად თვით თარგმანიც. ჩვენში მაგალითად ასე მოიქცა ვ. კოტე-  
ტიშვილი, როცა მან კართული ლიტერატურის ისტორიაში შექ-  
სპირის მთარგმნელი იყ. მაჩაბელი შეიყვანა. ასე იქცევიან ჩვენი  
ძველი ლიტერატურის ისტორიკოსებიც. ვისრამიანი, ამირან და-  
რეჯანიანი და საკუთრივი, თუ თარგმანია, მიტომ ნაკლებად აშვენე-  
ბენ ვეფხის-ტყაოსნის გვერდსა და საპატიო ადგილი არ უჭი-  
რავსთ ჩვენი ძველი მწერლობის ისტორიაში! ..

იშვიათია, თარგმანი თავის ლირსებით დედანს უდრიდეს. მაგ-  
რამ ხანდახან, ნაწარმოებს თუ კარგი მთარგმნელი შეხვდა, იმ  
ერისთვის, ვინც სთარგმნის, თარგმანი სჯობს, რათგან აქ, გარ-  
და ლოლიკური შინაარსისა, სწვა რაღაც არის, და ეს რაღაც  
მთარგმნელის მიერ არის ჩატოვილი, საკუთარ ეროვნულ-ესთე-  
ტიურ და სულიერ საუნჯეთაგან (მაგ. ოანეს თუმანიანი — თარგ.  
ი. გრიშაშვილისა).

მაგრამ, რაც უფრო აშკარაა, განსაკუთრებით ძველად, თარგ-  
მანს ადგილობრივი საჭიროებისდა ინტერესის მიხედვით სცვლი-

დენ კიდეც, — მაგ. გმირთა და გეოგრაფიულ სახელებს და სხ. ასე მოიქცა ყისა ამზად მთარგმნელი მოსქ ხონელი (ამირან დარეჯანიანი). აქ თითქმის ყველა გვარები «ძე»-ზედ არის დაპოლოვებული. საინტერესო ის არის, რომ აქ მოხსენებული გვარები საქართველოში დღესაც გვხვდება (\*).

არც ერთ ამ დროინდელ თარგმანში არ გვხვდება ისეთი რამ, რაც იმ დროინდელ საქართველოსთვის მიულებელი იყო. ასეთი რამ არამც თუ ვერ მოახწევდა ჩვენამდე, თავის დროსაც არ გაფრცელდებოდა.

ვისრამიანში ერთად ერთი ადგილია, რომელზედაც კაცს ამ მარით ეჭვი შეუვა; ეს არის შავროს მოქმედება, როდესაც თავის ქალიშვილი ვისი თავისსავე ვაჟს ვიროს მიათხოვა (\*\*). მაგრამ ამ რომანში ეს აქტი ისე მეტრთალად არის დასურავებული და ვირო ისე პასიურად გაშოყვანილი, რომ მკითხველმა არ შეიძლება ვირო სირეგვნის მსხვერპლად არ იცნოს და მისადმი მან სიბრალულის გრძნობაც არ გამოიწვიოს, მით უმეტეს რომ მას პირველ შეყრამდევე მოსტაცეს საცოლე. რათგან, როდესაც ყერთგან დაწოლისა ყამსა, ლმრთისა განგებისაგან რა ვისმან საწოლს მიმართა, მასვე წამს დიაცობისა საქმესა ზედა და დგა», ამიტომ, ამბობს ავტორი, ცეცხლის თაყვანის-მცემელთა წესით ვირო მას ვერ მიეკარა, ამასობაში შავის ჯარი შემოესია და ვისი ქალწული დარჩაო...

ყველა ეს ჩვენ ალვნიშნეთ თარგმანების მიმართ და ცხადია, თავისუფალი სარგებლობის დროს მით უფრო ალნიშნული ხაზი ყოველთვის დაცულია.

ამ გვარად, ამ აზრის მიხედვით, რუსთველის შემოქმედებაში არ შეიძლებოდა რაიმე ანარეკლი «ბერძნული» ან «სპარსული»

(\*) ერთ ასეთ შემთხვევას ოვით პატივცემული ბ. ავალიშვილიც ასახელებს. ჯერ 1852 წ., როდესაც „გეოლისტანის“, ინგლისური თარგმანი გამოუქვეყნებიათ, აქ ერთი თავის ნახევარი, რომელიც შეტად ბრძნულია, გამოუშეიათ.

(\*\*) რაც ქართველი მკითხველისათვის, ქართული ტრადიციისა და ქრისტიანული მორალის თვალსაზრისით გაუგებარი იქნებოდა.

ჰანგის დარჩენილიყო, თუნდაც იმ წყაროში ძირითადი მოტივი ეს ყოფილიყო.

ჩვენ მიერ ზემოდ განხილულ საქართველოს კულტურულ და ზნეობრივ ვითარებას არ შეიძლებოდა პოეტის შემოქმედებისათვის ისეთი ხელმძღვანელობა არ გაეწია, რაც სავსებით მიუდგებოდა თანამედროვე მოთხოვნილებათ. და ასეთი მოთხოვნილებანი კი, როგორც გამოირკვა, მორს იყვენ ასეთი მოვლენებისაგან.

#### 14. დასკვნა:

ჩვენ განვიხილეთ ვეფხის-ტყაოსნის გარეშე მდებარე ცველა საკითხები და შემდევ დასკვნამდე მივეღით:

1. არაოდეს და განსაკუთრებით მე-XII - ეს. საქართველოს უცხოელთა კულტურული და მორალური გავლენის ძლიერი კვალი არ განუცდია. პირიქით, ამ დროს ის სხვა ზედ ახლენდა გაცლენას.
2. არც ვეფხის-ტყაოსნის ღროინდელი საქართველოს ვითარება შეიცავს იმის მსგავსს მოვლენას («ბერძნული»), რაც მაშინ ბიზანტიასა და სპარსეთს ახასიათებდა.

3. ხოლო თუ უცხო თქმულებაში იყო მოტივი «ბერძნული» ტრადიციის, რომლითაც ვითომდა შოთას უსარგებლია, ესეც არ გამოდგება საბუთად აღვიაროთ, რომ ვეფხის-ტყაოსანსაც დააჩიდებოდა კვალიო.

4. არც სზვა მკვლევართ, ძველთ თუ ახალთ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კლერიკალური წრეები სლევნიდენ ვეფხის-ტყაოსანს, არავის არ შეუნიშნავს ეს მოვლენა.

5. ამიტომ, პატივცემული ბ. შ. ავალიშვილის აზრი არ არის მართალი.

წინასწარი საკმაო დასკვნების შემდეგ ჩვენ უფლება გვაქვს გადავიდეთ თვით ვეფხის-ტჯაოსანზედ.

აქამდე ჩვენ ვამბობდით, რომ შეუძლებელია ვ.-ტუაოსანში მოინახოს სპარსული თუ ბერძნული ტრალიცის კვალი. ახლა თვით ეს ქმნილება განვიხილოთ. გნახოთ, რა არის აქ ისეთი, რა-მაც ბ. ჭ. ავალიშვილი აიძულა ეს აზრი გამოეთქვა და შევაძა-სოთ ასეთი ასენა.

ჯერ გამოვარკვიოთ რუსთაველის შეხედულება მიჯნურობა-სა და მეგობრობაზედ, ე. ი. მის ძირითად საკითხებზედ, რაიცა კიდევ გაგვიადვილებს ახსნას იმ ადგილებისას, რომელნიც დღეს ჩვენ გვაინტერესებენ.

#### I. მიჯნურობა.

რუსთაველის აზრით მიჯნურობა არის სიყვარულის უზენაესი ფორმა, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს «სიძვასთან», და არა მარტო სიძვასთან, — «ნორმალურ ხორციელ სიცვარულთანაც». რუსთაველის თითქმის ყველა მკვლევარები იმ აზრის არიან, რომ მას იმ ძლიერ პლატონიზმთან ერთად, რომელიც მან გმირ ა სუ-ლიერ სამეფოში გადაგვიშალა, არ შეულაპავს რეალური ბორ-ციელი სიყვარული და ის ამას პირიქით უგალობსო. ჩვენ გადა-ჭრით უნდა ვალიაროთ, რომ რუსთველის მიჯნურობის ასეთი გა-გება შეცდომაა. არც რუსთველის მიერ შესავალში მოცემული თეორიაა ახსნილი და ამისთვის ჯერ არც ტექსტის უამრავი ად-გილები და განსაკუთრებით ვ.-ტუაოსნის იდეოლოგიაა გამოყე-ნებული. ჩვენთვის ძნელია აქ ვრცლად შევჩერდეთ ამ საკითხზედ, ისე როგორც ის ჩვენ ვვეხატება. ახლა კი ალვნიშნავთ, რომ რუს-თველის მიჯნურობის საზღვრები უფრო ვიწროა, და რატომ ა-ფართვებენ მას, ჩვენ არ გვესმის. რუსთაველის მიჯნურობის პირველი პერიოდი იწყება პირველად უბილავ გრძნობაშა ძაღვ-

ბის გაბმით და ოველება მიჯნურთა მიერ მისი ურთიერთისადმი გამოცხადებით.

«არს პირველი მიჯნურობა არ დაჩენა. ჭირთა მალვა»; (\* 12)

«პხამს, თავისსა ხვაშიადსა არვისთანა ამჟღავნებდეს,»... (13) ხოლო მიჯნურობის მეორე პერიოდი გრძელდება მათ შექრამდე. აი მთელი სივრცე, რომელთა შორის მრავალსა შოთამ მიჯნურობის ცნება. ასე რომ აქ რაიმე წმიდა ხორციელ მოვლენებზედ ლაპარაკი ზედმეტია. შოთას რომ რესლური ცხოვრება უყვარს და ბოლოს ჯველა ეს «ჭირთა თმენა» რომ მართლა ამ ქვეყნიური სიამოვნებისათვეს უნდა, ეს სადაო არაა. და ეს, ჩენის აზრით მეორე საკითხია, რომელიც კერძოდ მიჯნურობის გაგებაში არ უნდა იქმნეს არეული, რათგან;

«მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი:

იგი სხვაა, სიძვა. სხვაა, შუა უზის დილი მზღვარი». (9)

ან «პხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში,»... (10)

რუსთველის მიერ მიჯნურობის საზით წარმოდგენილი სიცვარული სრული მფლობელია აღამიანის გრძნობა-გონების, მისი მეობის. მას შეუძლია აღამიანის გახელება, იძულება ველად გაჭრისა. მიჯნურობას ძლიერი სულიერი სიმაგრეც უნდა ახასიათებდეს. მისთვის მიჯნურს ამ ქვეყნიური ჯველაფრის დათმობაც უნდა შეეძლოს და სულით და ხორცით, გრძნობით და გონებით გადაცემული უნდა იყოს იმ ერთ იდეალისადმი, რომელიც გამხდარა საგანი მისი მიჯნურობისა.

«მიჯნურსა თვალად სიტურფე პმართებს,» და სხ. (8)

«კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა»; (11)

ვ.-ტყაოსანში კი ჯველა ეს საესებით გასხვრცელებულია. მთელი თეორია ორ წყვილ მიჯნურთა ცხოვრებაშია განსაზიერებული. რაც ერთს აკლია, მეორე ავსებს.

პირველი, მალვის პერიოდი ლარიელმა ბრწინდალედ და-გვირგვინა: იმ მისთვის ჯველაზედ საშინელ წუთშიც კი, როცა

(\*) ტავების თანმიმდევრობის მაჩვენებელი რიცხვი ჯველვან აღნიულებულ გვაძეს დ. კარტაშვილის 1903 წლის გემოცემის მიხედვით.

ნესტანის მშობლები «ჯდენ სავაზიროდ» ქალის გასათხოვრად და ტარიელი მიიწვიეს, მან აქაც არ განაცხადა თავისი ჩვაშიადი! ეს ადგილი ზოგიერთს ტარიელის სისუსტედ მიაჩნია, რაც სასაცილოა, რათგან ეს ხომ დღეს წუნეთის ქუჩაზედ შექმნილი მიჯნურობის თვალსაზრისით ახსნაა!... ჩვენ კი გვვონია, რომ რუსთაველმა აქ თავის იღეას დიდი გამოცდა მისცა და ტარიელისთვის მოწაფემ მეტად გმირულადაც დაიცვა იგი.

ხოლო სიცვარულის, მიჯნურობის მეორე პერიოდის დამახასიათებელი ელემენტებიც იმავე ნესტან-ტარიელის ცხოვრებაში ნათლად გამოიხატა (თუმცა ამის მაგალითები ავთანდილის ცხოვრებაშიც ბევრია). აი რას სწერს ნესტანი ტარიელს ქაჯეთის ციხითგან:

«შენი სიცოცხლე მეცოფის ჩემად იმედად გულისად,

გულისა ერთობ წილულისა და ასრუ დადაგულისად!» (1274) მთელი ეს წერილი (რომელიც, ჩვენის აზრით, რამოადგენს შედევრს მსოფლიო ლიტერატურაში), იძლევა მიჯნურობის ამ გვარი გაგების ნათელ მცოდნელ სურათს.

მაშინაც კი, თუ კი ურთი-ერთს ვერ შევზვდებით, მაინც ნესტანი იმის იმედით იცოცხლებს, რომ სადაც ტარია ცოცხალი იქმნება (სადღა აქ პორციელი ელემენტის აუცილებლობა!) და ამაში ხომ ნესტან-დარეჯანი დარწმუნებულია, რომ ის ვეღარ შეერება მას. და ანდერძს უტოვებს (1279 ტ.):

«შენვან მწემან, უშენოსა არ ვის მიჰევდეს მთვარე შენი-

შენმან მწემან, ვერვის მიჰევდეს, მოცავიდენ სამნი მწენი;

აქა თავსა გარდავიქცევ, ახლოს მახლავნ დიღნი კლდენი;

სული ჩემი შეივეძრენ, ზეცით მომზვდენ ნუთუ ფრთენია!

და შენ კი: «მომიგონებდე, ... მე შენთვის დაკარგულისად.

ვზი მზრდელი სიცვარულისა, მის ჩემვან დანერგულისად». (1274)

და აი, რუსთველის მიჯნურობის აზრი მთლიანად აქ განხორციელდა, რადესაც მის გმირთ ისცთი ფიცი დასდეს, რომ «არ გატეხა ზენაარისა ფიცისა» მათ საიქიომდე უნდა თან წაილონ, იქნებ იქ მაინც შეხვდენ უმწიკვლოდ...

და როდესაც რუსთველის შემოქმედების ეკრანზედ სიცვარულის ამ გვარი განსპეციალისტული სურათი იშლებოდა, ნუ თუ შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ იქ სადმე ბნელი კუთხე დარჩენილ-

იყო! ოცა ვ.-ტყაოსანს გულდასმით კითხულობთ, თქვენ რწმუნ-  
დებით, ომ იქ ცველაფერი სინათლის შექმნას ემსაჩურება. არც  
ერთი აგური არ არის დახარჯული ცუდად ამ დიალი ტაძრის ასა-  
ვებად, არც ერთი სიტყვა არ არის ცუდად ნათქვამი, რომელიც  
რუსთაველის ამ ფრიად მდიდარ, მრავალ ღეროვან და კაცობრი-  
ობისათვის საპარადისო იდეალს ჩირქესა სცხებდეს. იქაც, სადაც  
რუსთაველს სიწმიდის გზაშედ ნარ-ეკალა ელობდება წინ, ისეთი  
დაღის სიფრთხილით და ასტატობით ჰგლეჯს მას, რომ არც  
ხელს ისისხლიანებს და გზასაც ადვილად იკადავს.

ვეუბის-ტყაოსანში არც ერთი შემთხვევა არ არის დასაჩელე-  
ბული ისეთი, რომელიც რუსთაველის იდეის გაშლილობას წლუ-  
დავდეს. თუმცა ზოგჯერ დიდი წინალმდევრებაც შეხვდება და ი-  
დეას თითქოს ლალატობს კიდევ, მაგრამ ხარჯავს 99-ს იმიტომ,  
რომ ასი მიიღოს. ბოლო ეს «ასი», მათემატიკურად მეტი, იდე-  
ისა და ხელოვნების თვალსაზრისით მაინც ნაკლად მოჩანს. ამის  
გამოსასწორებლად კი შოთა ასეთ შემთხვევებს ისეთ ატმოსფე-  
როში აძლევს ადგილს, რომ მკითხველს მპოლოდ ირონიული  
შთაებჭდილებალა რჩება.

ჩვენ განვითარავთ მიჯნურობის რუსთაველისებური იდეისა-  
დინ ლალატის ცველა შემთხვევებს, რომელიც გვხვდებიან ვედრის-  
ტყაოსანში. ეს საჭიროა მით უმცირეს, რომ აქაც ბ. ჭ. ვალი-  
შვილმა ერთი ახალი აზრი გამოსთვა, რომელიც ჩვენ აგრეთვე  
შეცდომად მიგვაჩნია. დავიწყოთ ამით.

## 2. «მარგალიტის» ამზადი.

ეს შეცდომა ეხება შემდევ  
ამბავს: როდესაც პირველად  
თინათანი ავალებს ავთანდილს ტარიელის ამბის გაგებას, პირდე-  
ბა: «მოხვიდე, სრულ-ვქმნა მაშინდა შენი წადილი გულისა» (ტ.  
152). ბოლო როდესაც დაბრუნდა ავთანდილი და კვლავ მე-  
ორედ წასვლას პირებს, მაშინ ჩვეულებისამებრ ქალს სთხოვს,  
რამე ნიშანი გამარტანეო. (ეს საყოველთაო ჩვეულება იყო. ქვე-  
მოდ ვარავთ, რომ ტარიელ-ვესტანიც ასე შოიქვენ). თინათინ-  
მაც მოუმინა ავთანდილს და: «ქალმან მისცა მარგალიტი,

სრულ-ჰემა მისი საწადელი» (ტ. 692). ეს ადგილი, საჭირო უსა-  
თულდ ნაშენვალი მარგალიტი იგულისხმება, ბ. ზ. ავალიშვილმა  
სხვა მისი შემცირებით აჩსნა. მოვიცვანთ მთლიანად მის შეხედულო-  
ბას და მეტე შევაფასებთ.

შინა აზრი: ერთ-ერთ პაემნის დროს, გაპარვის წინ, ავთან-  
დალი ეუბრება შერმადინს (თინათინზედ):

«მაბრძანა: მიცან ამბავი მის ყმისა დაკარგულისა,

მანვიდე, სრულ-ვექმა მაშინდა შენი წადილი გულისა». (152)

(ზ. ა.) «ამას შემდეგ, როცა დავალება-აღსრულებელი ავთანდილი  
არაპეოს და თანათანთან ბრუნდება, პოეტი იმასაც გვაუწყებს, რომ  
აქალმან მისცა მარგალიტი, სრულ-ჰემა მისი საწადელი».

ღერამან ჰემინას და გაუსრულდეს ლხინი ესე აწინდელია.  
ჩვეულებრივ ეს «მარგალიტი» მკითხველებს თინათინისაგან ნა-  
ბრებ ნივთად, საჩუქრად მიაჩნიათ. ალბათ იმიტომ რომ წინა  
ტაეპში ავთანდილი, რომელიც მაშინ ჩელ ახლად გასაყრელი  
იყო, თავის სატრდოს სოხოვს:

«თავისა, მშერა, თავი მჩხესა ჩემთვის სრულად დაგვანე,

სიცაცვლისა საიმედო ნიშანი რა წამატანეა». (691)

და აი, ხსენებული მარგალიტი ამ გვარი ნივთიერი ნიშანი ჰვო-  
ნიათ, ეს მისი საწადელი მარგალიტს კი არ იგულისხმებს, არა-  
მეუ თანათანი ძველს დაპირებას, ავთანდილისადმი მის პირველ  
გამგზავრებამდე მიცემულს:

«მოპვადე, სრულ-ვექმა-მაშანდა შენი წადილი გულისააო.

ასე რომ, ამ ადგილის მნიშვნელობა სულ სხვა უნდა იყოსო, ფიქ-  
რობს ბ. ზ. ავალიშვილი. ე. ი. აქ ის გულისხმობს პირდაპირ  
დამუკიდებულებას, და ამას იშით ასაბუთებს:

1) რომ ერთი ამ გვარი შემთხვევის დროს «ბარამ გურის» (ბა-  
რ მ გურანითგან) და მორიგე მეფის ქალის ურთიერთობის ალ-  
წერაში «მარგალიტი იწსენიება» (იბ. ვ.- ტუასნის საკითხები  
83. 129). კიდევ შენიშვნაში სწერს: «იგივე მარგალიტია საადის  
1253 წ. დაწერილ განკქმულ «გულისტანში»ც გვაქვსაო (იქვე).

2) ამ «მარგალიტის» ალეგორიული მნიშვნელობა საჯებით  
მუკიცდება მთელი სურათის ნაზი ეროტიული ელფერით:

«რა სჯობს, რა კაცმან გიშერი ბროლ-ლალია თანა ახიოს;

ანუ ბალს ალვა საროსა ახლოს ჭრებოს, მორწყოს, აჩიოს!». (693)

3) ამის შედეგადვე მიაჩნია ის სულიერი განწყობილება, რო-  
მელიც გამოიხატა მე - 700 ე ტაეპში:

«გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძლომელი,

გული ფამ-ფამად ყოველთა ჭირთა მთმო, ლაშინთა მდომელი».

აი მოკლედ ბ. ზ. ავალიშვილის აზრი და შესეტულება. ამათ  
შეფასებამდე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს საკითხი მეტად საინტე-  
რესოა, რათგან, მიუხედავად იმისა, რომ ავთანდილ-თინათინს შო-  
რის სიყვარული უკვე განცხადებულია, პირობა დადებული ორი-  
ვეს მანით სასტიკი ფიცით, და ამის შემდეგ მათი ასეთი შემთხვე-  
ვითი კავშირი რეალურად რაიმე არა ჩვეულებრივს არ წარმოად-  
გენს, მაინც, იმ თვალსაზრისით, რომლითაც რუსთაველი ხორცს  
ასჭამს თავის მიჯნურობის ქვეყანას, გაუგებარია. და მართლაც  
ამისი მსგავსი ვეფრის-ტყაოსანში არა არსებობს რა.

სინამდვილე ასე გვეჩატება: ბ. ზ. ავალიშვილის აზრის დასა-  
ბუთება იქამდე სუსტია, რომ საკითხის დაყენებისათანავე მისი  
სიმართლე უარყოფილია.

როდესაც ის ამბობს, რომ როცა თინათინი დაჰპირდა ავთან-  
დილს: «მოხვიდე, სრულ-ვემნა მაშინდა შენი წადილი გულისა»,  
და მერე «ქალშან მისცა მარგალიტი სრულ-ჰემნა მისი საწადე-  
ლიაო, ამ არ მოქმედებაში იგულისხმება მესამეც, რომელიც არ  
სჩანს, — 3. ზ. ავალიშვილი მას არ ასახელებს. ეს არის თვით  
ავთან დილის წადილი. დაგვასახელოს ის შემთხვევა, როდე-  
საც ავთანდილმა თინათინს ამ ნაირი რამ სთხოვა!? ამის დასახე-  
ლება შეუძლებელია, რათგან ვ.-ტყაოსანში არც პირდაპირ და  
არც გადაკვრითი მნიშვნელობით ის არა გვხვდა. პირ იქით, ეს  
წადილი სულ სხვა რამ არის, რომელიც საფსებით გააცალებს გა-  
მოთქმულ აზრს. ჩვენ კი დაგვასახელებთ მას და მკითხველი დაი-  
ნახავს, რომ ეს სხვა რამ თინათინმა კიდეც აუსაულა სულ სხვა  
გვარად, ხოლო მარგალიტის ამბავი იყო მეორე შემთხვევა და  
ისიც აგრეთვე აუსრულა თინათანმა, და რომ ნიშნად ნამდვილი მარ-  
გალიტი მისცა, ესეც ტექსტში ლიან არის ნათქვამი. ერთხელ რო-  
ცა: «ავთანდილ სჯდა მარტო საწოლს, ეცვა ღდენ მართ პერანგი,  
იმდერდა და იხარებდა, წინა ედგა ერთი ჩანგი», (120)

შემოდის თინათინის მონა და იბარებს მასთან.

როკა აავთანდილს მიჰქვდა მოსმენა საქმისა სანატორელისა, —  
უჩარის შეცრა ვარდისა აზ ერთგან შეუყრელისა, —  
ამოა ჭვრეტა ტურუისა, სიახლე საყვარელისა!» (121)

მეტე აავთანდილ ლალა, უკადრი, მივა ასვისგან პრცხვენოდა,  
მას პიავეს, ვისგა ... » (ტა. 122). ბოლო იქ თინათინი:  
«დალრეჯით იყო მჯდომარე ძოწეულითა რიდითა;

ავთანდილს უთბრა ღაჯდომა წყნარად, ... » (124)

შემდეგ თინათინი და ფარულ ხვა შიადს, რომელიც უხილა-  
ვი ძაფებით მათ შორის აქამდეც იყო გაბმული, თავის გრძნობას  
ააშკარავებს და ეტყვის (ტაეპი 128) :

ააქანამდის საუბარსა თუკა ვერას ვერ გეტყვია,  
მაგრა შორით სიყვარული შენგან ჩემი შემიტყვია;  
ვიცი, რომე გაუწყვეტლად თვალთა ღაწევი გისეტყვია,  
შეუპყრისარ სიყვარულსა, გული შენი ღაუტყვია».

სიყვარულის გამუღავნების შემდეგ თინათინი აძლევს დაგალებას:  
«ასრე გითხრა: სამსახური ჩემი გმართებს ამად ორად:  
პირველ ყმა ხარ, ხორციელი არვინა გადავს შენად სწორად,  
მერმე ჩემი მიშვნური ხარ, დასტურია, აზ ნაშორად; —  
წადი, იგი მოყმე საებნე, ახლოს იყოს თუნდა შორად». (129)

და «შენგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გაამყარე»ო. (130)

საყუჩადლებო, 131 ტაეპის შემდეგ 132-ში სდებს სასტიკ ფიცს:  
«ფიცით გითხრობ: შენგან კიდე თუ შევირთო რაცა ქმარი,

მზეცა მომხვდეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი,

სრულად მოწყდესამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი;

შენი მკლევდეს სიყვარული, გულსა დანა ასაქმარი. (შეა-  
დარეთ ნესტანის ფიცს). აი რა იყო თინათინის დაპირება და ავთან-  
დილის წალილი. მაგრამ ამას კიდევ ნათლად ქვემოდ დავინახავთ.

ერთხელ ავთანდილი ზეიმობს თავის სასახლეში. გვერდს უშვე-  
ნებს მოყმე შეზემადი, რამელსაც მოლენის საიდუმლოებას უხ-  
სნის: «მოუკლავან თინათინის სურვილსა და სიყვარულსა». ხოლო  
რათგან ააწ მაპარანა საიმედო, ამად მხედავ მხიარულსა»ო. (151)  
(შეუძლებელია რომ ამ აზლად გამიჯნურებულის ამ «საიმედოში»  
«ურთიერთობის» დაპირება დავინახოთ). ჩაუკვირდეთ 152 ტაეპს:

«მიბრძანა: მიცან ამბავი მის ყმისა დაკარგულისა,  
მოხვადე, სჩულ-ვქმნა მაშინდა შენი წადილი გულისა;  
შვანი არ მინდა უშენო, მომხვდების ხისა რგულისა!».

და გარარებული ავთანდილი აზარებს შერმაღინსაც რომ აწი:

«მამცა წამალი გულისა, აქამდის დაკარგულისა».

აი რა იყო ის დაპირება: «ქმარი არ მინდა უშენოდ».

მათი რომანიც ხომ აქამდე დაფარული იყო, ავთანდილსაც ხომ

«... თინათინის შვენება ჰკელევდის წამწამთა ჯარისა!» (40)  
(ისევე როგორც ტარიელს ნესტანისა). პირველად როსტევანიც ხომ  
ვერ ხელავდა თავის სწორ გმირს თავის სამფლობელოში, რითაც  
გამოწვეული იყო მისი ჭმუნვა. და თუ ავთანდილმა იქ, ნაღირო-  
ბაში ეს პირველობა დაამტკიცა, აქ, ახლა თინათინის თანაგრძნო-  
ბაც რეალურად მოიპოვა. აი რა აზარებდა ავთანდილს, და აი რა  
იყო წადილი გულისა მისისა. მაგრამ ეს შეყრა გადაიდო, რათ-  
გან რა იცოდენ თუ ავთანდილის მეორედ გაპარვა მოხდებოდა,  
და იმ ავანტურების გადატანას, რომელიც ავთანდილს თინათინ-  
თან შეყრამდე გადაბდა, ასე მრავლი წლები დასჭირდებოდა!

ამ გვარად დავრჩმუნდით, რომ იმ პირველ დანაპირებს «მარ-  
გალიტან», არც პირდაპირი და არც არა-პირდაპირი გაგებით,  
არავითარი კავშირი არა აქვს.

რაღა იყო ეს მარგალიტი?

როდესაც ავთანდილი მეორედ გაპარვას აპირებს, შეჩვდება  
თინათინს. თინათინი ეტვევის:

«შენ არ გატეხა კარგი გჭირს ზენაარისა ფიცისა.

ჰერამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა,

ძებრა წამლისა მისისა — ცოდნა ჰერამს, უი იცისა —». (688)

შემდეგ (ტ. 690), რათგან ავთანდილი ფიქრობს, რომ

«ვაა, თუ გავიჭრე, გაჭრილსა სადა გლას დამწვავს სამ ალი!»  
ამიტომ სთხოვს:

«მესმა თქვენი ნაუბარი, გავიგონე; რაცა ბრძანე;

მაგრა, მზეო, თავი მზესა ჩემთვის სრულად დააგვანე,

სიცოცქლისა საიმედო ნიშანი რა წამატანე».

«ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული, სიკეთისა ხელის მხდელი,  
ამაზედა ეუბნების, ვით გამზრდელსა ამო მზრდელი»; (692)

მაშინ თინათინი უსრულებს ამ წადილს:

«ქალმან მისცა მარგალიტი, სრულ-კქმნა მისი საწადელი.

ლმერთმან კქმნას და ვაუსრულდეს ლხინი ესე აწინდელი». (692)  
აი თავი და ბოლო, რაც ამ მარგალიტზედ ვიცით ვეფხის-ტყა-  
ლსნითგან. და ამის მიხედვით აქ მარგალიტის მეორე მნიშვნე-  
ლობით ამოკითხვა შეუძლებელია. ამის სასარგებლოდ ტექსტში  
არავითარი ცნობა არ მოიპოვება.

ბ. ზ. ავალიშვილი რომ 693 ტაეპს ასახელებს:

«რა სჯობს, რა კაცმან გიშერი ბროლ-ლალსა თანა ახილს,

ანუ ბალს ალვა საროსა ახლოს ჭრგოს, მორწყოს, ახილს!

მისსა მჭვრეტელსა ალხინოს, ვერ მჭვრეტსა ავაგლაზილს, —

ვაი, მოყვრისა გაყრილსა, აზიოს, ეყოს, აზიოსა! ამ ადგილის ეროტიულად გაგება არ შეიძლება, რათგან აქ არი-  
ან რუსთველის ჩვეულებრივი შედარებანი (შეიძლება სუსტნიც).  
პირველი სტრიქონი ნიშნავს ავთანდილ-თინათინის ერთად ცოფ-  
ნას, ასევე მეორეც, განმეორებული სხვა ფორმით, აღფრთვანე-  
ბისა და გაწვიადების გაძლიერებისათვის. ხოლო უკანასკნელი  
სტრიქონი ამას ადასტურებს: ვაი, მოჯვრისა გაცრილსა, — ვინც  
ამ ვებრ სურათს გაეყრება, ის მუდამ ყამს ობერაში იქნებაო. ეს  
ზოგადი აზრი, ალეგორიული ფორმით გამოთქმული, ასე უნდა  
აიჩსნას, მით უმეტეს, რომ ის მისდევს სტრიქონს:

«ლმერთშან კქმნას და გაუსრულდეს ლხინი ესე აწინდელი».

ხოლო ამ ალეგორიულ ადგილს მოსდევს (ტ. 694):

«მათ მიჰევდა ლხინი ყოველი ერთმანეროვანისა ჰკურეტითა.

ყმა წამოვიდა გაყრილი, მივა გულითა რეტითა».

აქეთგან ცხადია, რომ ისინი დამტკბარან ერთმანეროვანისა ჰკურე-  
ტითა, სიახლოით. მაგრამ ისეთი რამ, რაც პირდაპირ ასაბუ-  
თებს, რომ ეს ამარგალიტია მართლა ნივთი ზყო, ვ.-ტკალსანში  
შენაბულია.

როცა ავთანდილი გაემგზავრა, მოსთქვამს:

«ვინ გუშინ ედემს ნაზარდი ალვა მრწყო, დამრგო, მახია, (\*)

(\*) აქ „მახია“ ნიშნავს დენას, მეორე შემთხვევაში ხევის, ჭრას პირდაპი-  
რი მნიშვნელობით. ეს სიტყვა დენის შინაარსით დღესაც იხმარება.

დღეს საწუზომან ლაშვარსა მიჰცა, დანასა მაჩიათ. (697)  
 (აქეთგან წინა ტაქპის ალევორიის ჩვენ მიერ განმარტების სი-  
 მართლე ნათლად სჩანს. ოოვორც ალვას რწყვა, ისე აღთანდილის  
 გულს თინაჲინის ჭვრეტა ალადებს).

და ოოდესაც ავთანდილი ათავებს მოთქმას, მაშინ:  
 «რა გულსა უგარა გულისა სიტუაცი საგულისონი,  
 მან მარგალიტი მოიწვნა, მის შვილი სამეცვისონი.  
 მის მზისა მკლავსა ნაბამი, მის კბილთა შესატუცვისონი,  
 პირსა დაიდვა, აკოცა, ცრემლი სუის ვითა ბისონი». (701)

ამით მკითხველი დარწმუნდება, რომ ჩვენ ნამდვილ მარგა-  
 ლიტან, ნიშნად მიცემულ ნივთან გვქონის საქმე. ზემოდ ალ-  
 ვნიშნეთ, რომ ეს ჩვეულება იყო. ოოდესაც ტარიელი ზატაველებ-  
 ზედ გამარჯვებული დაბრუნდა, ნესტანს გადასცა ნიშანი — რიდე,  
 რათგან ნესტანმა მას სთხოვა: «იგი მე მომეც რიდენი, რომელნი  
 წელან გშვენოდესათ. ხოლო ნესტანი თავის მხრით ტარიელს სხვა  
 ნიშანს აძლევს: «ესე სამკლავე შეიძი, თუ ჩემი გალაგვლენოდესათ  
 (ტ. 480). აქ საინტერესოა ნესტანის და ავთანდილის ოოლების  
 იგივეობა, შოთას წინასწარი თადარიგი: რათგან ერთ შემთხვე-  
 ვაში გადაკარგულ ნესტანმა, ოოვორც ვნაჩავთ, გამოიცენა ეს ნი-  
 შანი, და მეორე შემთხვევაში ავთანდილმა თავისი.

სხვათა შორის, ვისრა მიან შიც გვხვდება მსგავსი აშბავი-  
 ოოდესაც რამინ მა ვისს ფიცი მისცა, მაშინ ვისმა შეკრა ერთი  
 ის კონა, მისცა რამინს ხელში და უთხრა: «... ჩემგან ნიშნად  
 ესე დაისწავლე, სადაცა ახალსა იასა ნახევდე, ამას დღესა და ფიც-  
 სა მოიგონებდი. ასრემცა ლურჯი და თავჩარგდებული ხარ, თუ  
 ფიცი გასტებო. მეც ვარდს ნიშნად დავისწავლი» და სხ.

ამგვარი საჩუქრის, ნიშნის, მიშვენელობა ტარიელის ცხოვ-  
 რებაში კიდეც გამოირკვა. ოცა ნესტანმა ქაჯეთის ციხეში შე-  
 იტყო ტარიელის ამბავი და მეტად შვენიერი წერილი მოსწერა:

«რა დასწერა, გარდაჭკვეთა მათ რიდეთა ერთი წვერი» (1286)  
 (ის რიდე, ომელიც ტარიელმა აჩუქა) და გაუგზავნა მას ნიშ-  
 ნად მისი სიცოცხლისა და კვლავ სიქალწულისა.

ასეთ სურათს აქვს ადგილი ტარიელის ცხოვრებაშიც. ოცა  
 ის ავთანდილს უყვება მის მიერ ნესტანისაღმი გადაცემულ რი-

დისა და მისგან მიღებული ძვირფასი თვლებით შემკული სამკლავის ამბავს, ტარიელს ახსენდება ყველაფერი და აი:

«აქა მჩეც-ქმნილი ტარიელ სტირს, ჭირი ეათასების;

სთქვა: მე მაქეს სამხრე, რომელი კვლავ წინას მკლავსა მას ების! იგი შეიხსნა, მოიღო, თვალით არ დაიფასების.

პირსა დაიდვა, დაცაპნდა, ქვე მკვდართა დაესახების»ო. (481) ასე კოცნიდა ავთანდილიც «მის მზისა მკლავსა» ნაბამსა!

ყველა ამის შემდეგ თუ ბ. ზ. ავალიშვილის დანარჩენ არგუმენტებს რაიმე ლირებულება ექმნება, მათაც განვიხილავთ.

ზემოდ მოყვანილი აღვილი, სადაც ლაპარაკია, რომ ავთანდილმა გზაში მოილო მარგალიტი და აკოცაო, ბ. ავალიშვილს მოტყუების საშუალებად მიაჩნია, თითქოს რუსთველმა ის განგებ სთქვა, რომ პირველი, ნამდვილი აქტი მარგალიტის მიცემისა, დაეფარა, რომ მკითხველს ის ვერ გაეგო!

ჩვენ გვიკვირს, თუ შოთას სურდა რომ ის აქტი მკითხველს ვერ გაეგო (და ამისთვის მან მიმართა ისეთ ტყუილს, რომლის დაჯერებაც ძნელია), მაშინ თვით აქტი რადაზედ ჩადენინა? წერილობით ძეგლში ეს გაუგებარია. ცხოვრებაში გვესმის, მაგრამ ლიტერატურულ ნაწარმოებში რადაც ხდება, პოეტი არ გვატკობინებს, პირ იქით, მას უარყოფს (თუ გნებავთ, სტყუის)! რა უფლება გვაქვს, ჩვენ ჩავდვათ იქ რაიმე აზრი!? ბოლო ასე აშკარად თქმული ტყუილი როგორ შეიძლება?! პოეტი პირდაპირ ამბობს:

«მან მარგალიტნი მოიზენა მის მზისა სამეცვისონი,

მის მზისა მკლავსა ნაბამი, მის კბილთა შესატყვისონი,

პირსა დაიდვა, აკოცა, ცრემლი სდის, ვითა ბისონიაო. (701) ტყუილის თქმა გაგონილა, მაგრამ ამისთანა ტყუილი, ისიც ნაწარმოებში, როდესაც მკითხველს არა აქვს უფლება, არ მიიღოს ის, რაც ნათქვამია, — გასაოცარია!...

რაც შეეხება იმ სევდიან ტაეპებს (705 და სხ.), რომელნიც ქვემოდ მოსდევენ, რუსთველის ჩვეულებრივი მოთქმაა ჯელა ამ გვარი შემთხვევების დროს. გადახედეთ ვეფ.-ტყაოსანს, და თითქმის არც ერთი შემთხვევა არ არის, რომ, როდესაც მიჯნური მიჯნურს, ან მეგობარი მეგობარს სცილდება, ამ სახის, საწუთოროსადმი ერთგვარი ჩივილი, თუნდაც რამოდენიმე სტრიქონში,

არ მეორდებოდეს! ეს აზრი იქამდე ნათელია, რომ ყოველი მკითხველი ვეფხის-ტყაოსანისა მას დაინახავს, და ამიტომ იმაზედ სიტყვას არ განვაგრძობთ.

ბ. ზ. ავალიშვილის უკანასკნელი არგუმენტი, თვით ტერმინი „მარგალიტი“ ჯერ ერთი სუსტი საბუთია. ის, რომ მსგავსი შემთხვევა დაგვისახელონ სხვა რომელიმე ნაწარმოებში, სადაც ეს აქტი „მარგალიტის“ მიცემით არის გამოხატული, და მერე ეს ტერმინი საზოგადოდაც რომ მიღებული ყოფილიყო იმ ამბის აღსანიშნავად, არც მაშინ ვხდებით ვალდებული, რუსოველშიც ასე გავიგოთ. ამის საუკეთესო საბუთი თვით ვეფხის-ტყაოსანია. ჯერ უნდა გამოიჩინოს, თვით ვეფხის-ტყაოსანში ო მნიშვნელობით იხმარება ეს ტერმინი.

მას ვეფხის-ტყაოსანში ბევრნაირი მნიშვნელობა აქვს; უმრავლეს შემთხვევაში კი პირდაპირი მნიშვნელობით იხმარება იგი.

მაგალითები: ნესტან-დარეჯანმა მელიქ მეფის სახლითგან გაპარვის დროს მოხსელეები დაქრთამა. ნესტანმა: «შემოიხსა მარგალიტი, შემოერტყა რაცა თვალი» (ტ. 1173). ამას მოწმობს ის ადგილიც, სადაც ფატმანმა ნესტანი მეფეს გადასცა. იქ არის ნახსენები, რომ მან ნესტანს თვალ-მარგალიტი წელს შემოარტყა — დაკარდებაო. როცა ავთანდილმა მენავეთ უშველა, ესენი (1038):

«შექვრუფინვიდიან ავთანდილს, ქებასა შეასხმილიან,

მას მარგალიტსა, მას ყმასა კბილისა ფერსა სძლვნილიან».

ხშირად შედარების დროს მარგალიტი ბაგის, პირის მაგიერი იხმარება. როცა მეფე მელიქ აიძულებს ნესტანს, ხმა გაიღოს, ქალი პირს არ აღებს: «ვარდნი ერთგან შეეწებნა, მარგალიტსა არ აღებდა» (ტ. 1160): ხან კბილების შედარებაა გამოხატული; «ვნახე, ძოწსა მარგალიტი გარე ტურდად მოემაზრა»; (520) «შუა ძოწსა და აყიყსა სჭვირს მარგალიტი ტყუპებია». (1124)

შოთა, ხშირად შედარებებში, ცრემლებსაც უპირისპირებს მარგალიტს; ნესტანმა: «თვალთა, ვითა მარგალიტი, გადმოჰყარა ცრემლი ხშირი» (ტ. 1154). აგრეთვე ყოველ ნაირი ძვირფასი საქმის და სხვა რაიმე მიხწევის გამოსახატადაც რუსთველი მარგალიტს (აგრეთვე ვარდსაც) ხმარობს:

«რა მიჯნური ველთა რბოდეს, მარტო უნდა გასაჭრელად;

მარგალიტი არვის მიპავდეს უსასყიდლო-უვაჭრელად», (161) და სხ. და სხ. აქეთგან სჩანს, რომ ვეფხის-ტაოსანში მარგალიტი სხვა და სხვა მნიშვნელობით იზმარება.

ასევე საინტერესოა ტერმინი «ტკბილი ია». (რათგან ავთან-დილი მიმართავს «ტკბილი სიტყვით»). სიტყვა ტკბილი ვეფხის-ტყაოსანში ასეთ შემთხვევებში ღიპლომატიური მნიშვნელობით იზმარება. ტარიელი ხატაველებზედ ამბობს:

«მე ღილასა მოციქულთა სიტყვა ტკბილი შევუთვალეაო. (423) ცალია, ზემოხსენებულ არგუმენტებს ჩვენთვის ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა; მაგრამ რათგან ისინიც არ შეიცავდენ სიმართლეს, იმიტომ მოკლედ მასზედ შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება.

ამ გვარად დაგრძელებუნდით, რომ ბ. ზ. ავალიშვილის აზრი მცდარია და «ქალმან მისცა მარგალიტია» ნიშნავს ნამდვილ მარგალიტს. სხვა გვარ მოვლენას იქ ადგილი არ ჰქონია.

### 3. ავთანდილ-ფატმანის ურთიერთობა.

ახლა განვიხილოთ ვეფხის-ტყაოსნის ის ამბავი, ავთან-დილს რომ ნამდვილად შეემთხვა:

მისი ფატმანთან ურთიერთობა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ აქტში რუსთველის იღების ერთგვა-რი ლალატი გამოიჩატა. მაგრამ გავსინჯოთ აზლოს, რამდენად დამნაშავეა ავთანდილი.

როდესაც ავთანდილმა ფატმანის პირველი წერილი მიიღო და მისი გამიჯნურების ამბავი შეიტყო, გაოცდა (ტ. 1067) და

«სთქვა: „არ იცის გული ჩემი, ვინ მაშიკობს, ვისსა ვისი!

რომე მიმიჩნ სამიჯნურო, რად ვამგ ზავსო მე მას მისი!“».

«სთქვა: „ქვავი ვარდსა რას აქნევს, ანუ რა მისი ფერია!

მაგრა მასზედა ბულბულსა ჯერ ტკბილად არ უმღერია.

უმსგავსო საქმე-ყოველი მოკლეა, მით ოხერია.

რა უთქვამს, რა მოუჩახავს, რა წიგნი მოუწერია!“» (1068)

ხაზგასმული სტრიქონი კიღვე ამტკიცებს ავალიშვილის ზე-მოჩანებული აზრის მცდარობას. აქ ავთანდილს რუსთველი პირ-და პირ ათქმევინებს, რომ მასთან „ტკბილად“ ჯერ თინათინს არ

„უმლერია“ და ვინაა ფატმანიო! აი როგორ შესვდა ავთანდილი ფატმანის პირველ გაშოწვევას. ამიოთ რუსთველმა დაგვიმტკიცა, რომ ავთანდილი გულის ნებას არ აჰყოლია, და აქ ნათლად სჩანს, რომ გადაცდენა ვადაცდენისათვის, ლალატი ლალატისათვის მის-თვის უცხა ხილია. ის წმიდად იცავს იდეალს და აქაც თინათი-ნი აგონდება. მაგრამ აი რა ხდება: რატომ გადასცდა ავთანდილი?

მართალია ავთანდილ-თინათინის ურთიერთობის სისპეტაკე, მათი მიჯნურობა, მთავარი იდეაა, მაგრამ, აფერ, მეორე, არა ნაკ-ლებ ძლიერი იდეა გამოჩნდა, რომელზეც სრულიად დამოკიდე-ბულია პირველიც. აქ ურთიერთს ეჯახება ორი ძირითადი იდეა რუსთაველის. მეორე მოითხოვს პირველის ნაშილობრივ მსხვერ-პლსა და ეს ცველა ისევ პირველს ემსახურება. მეორე იდეა ამბობს:

«ჰეამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად.

გული მისცეს გულისაოვის, სიყვარული გზად და ხილადააო. (685) ამიტომ ავთანდილი აღარ აყოვნებს და იძულებულია ეს უკანას-კნელი სიტუვები ცხოვრებაში შეასრულოს.

წერილის წაკითხვის შემდეგ ავთანდილი, როგორც ბრძენი, ჩაფიქრდა (ტ. 1069): «... , შენგან კაცი ჩემი შემწე არავინ ა;

რასათვისცა გამოვჭრილვარ, მისი ძებნა რაღვან მინა,

რათაცა ვით ვპოებ, მას ვიქმ, გულმან სხვამცა რა ისმინა!». აქეთგან ნათელია ავთანდილის ბრძნული დასკვნა. მან გადასწევი-ტა, რომ ამ ქალით ისარგებლებს და იქნებ მიზანს მიაღწიოს, საშუალებას კი აღარ არჩევს, „რათაცა ვით ვპოებ, მას ვიქმა!“. ის დარწმუნდა, რომ ფატმანი მრავალი მგზავრების მნაჩველია, ბევრი ამბები ექმნება გაგონილი, როგორც ქალი, ცნობისმოყვა-რეა და, რათგან (ტ. 1071) «სოქვა:

დიაცსა ვინცა უყვარს, გაექვსის და მისცემს გულსა,

რაცა იცის, გაუცრადებს, ხვაშიადსა უთხრობს სრულსა.

მიჯობს, მივყვე, განდახალმე გცნობ საქმესა დაფარულსააო, ამიტომ გადასწყვიტა მიეშვა ეს ქალი, რომელსაც, საპასუხოდ, მეტად ცბიერული წერილი მისწერა: «შენ მოხასწარ, თვარე შენ-გან მე უფრო მჭირს ცეცლთა დებააო (ტ. 1073).

მაშინ კი, რაცა ავთანდილმა მიზანს მიაღწია, — გაიგო ცნობა ნესტანის შესახებ, — უგულობა დაიჩინა და ამავე ლამეს (ტ. 1230):

“ყმა უნდო-გვარად ეხვევის ყელსა ჯელითა ბროლითა,

ჰკუაგს თინათონის გონება, ქრწის იღუმლითა ძრწოლითა,»

და, მიუჩედავად იმისა, რომ ავთანდილმა თავის მიზნის მისაღწევად ეს საშუალება გაამართლა, სინდისმა მას მაინც ქენჯნა და-უწყო და აქ რუსთველმა ისეთი სურათი დაგვიხატა, რომ მკითხველას თვალში ავთანდილასა დამი თანაგრძობამ არ შეიძლება მისი ამ შეცდომის კვალი არ დაჩრდილოს. თინათონზედ იგი ამბობს:

«უმისოდ ნებვთა ზედა გზი ბულბული მზგავსად ცვავისაღ!» (1231)

მიუხედავად იმისა, რომ ავთანდილი ერთი ადამიანის სისხლ-შიც გაისვარა (რას იშამდა, უკვე მოპოებულ საქმეს ხომ კვლავ ვერ დალუპავდა!), მაინც რუსთველმა ეს სცენა ოსტატურად და-სატა: ერთის მშრით ავთანდილ-ნესტანის სიმპატიები და მეორე მშრით ფატმან-ჩაჩნავირის კოშედია და ამ გვარი ხალხის ამქარი ისეთი ურთიერთობით დაგვისურათა, რომ ვ.-ტყაოსნის მკითხველმა არ შეიძლება არ აპატიოს ავთანდილს და არ გაამართლოს იგი, როცა წაიკითხავს 1232 ტაპის მეოთხე სტრიქონს:

«თუ ჯვავი ვარდსა იპოვის, თავი ბულბული ჰგონიაო.

ამ გვარად, ამ მეორე აქტშიც დავრწმუნდით, რომ რუსთაველი აქაც არ იძლევა ისეთ რამეს, რაც მის ძირითად იდეას შელახავს, და ვინ იცის, წინააღმდეგ მრავალთა მტკიცებისა, იქნებ ეს მისი იდეალის განხორციელების აუცილებელი შოვალეობაც იყო!... აი სულ რაც ვიცით ვეფხის-ტყაოსნითგან ავთანდილის ამ გვარ საქციელზედ..

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჭავჭავაძის საუბრის კილო ამ თვალ-საჩინისით მიუღებელია, როცა ის ჩაჩნავირთან დამოკიდებულება-ზედ ესაუბრება ავთანდილს, მაგრამ ესეც შოთას მიერ შეიძლება განვებ იყოს ჩადენილი, რათა ამით დასკეს მკითხველის თვალში ფატმანის ფასი და თავის გმირის საქციელი მიჩქმალოს.

#### 4. ტარიელის „აშიკობის“ ამბავი.

ვეფხის-ტყაოსნის დანარ-  
ჩენ გმირთა შორის სხვა ასე-  
თი შემთხვევა არ ყოფილა. მაგ-  
რამ ერთ ასეთ ამბავს რუსთაველის მკვლევარები ტარიელსაც აძ-

რალებენ. ვინც კი შეეხო ამ საკითხს, ეს ადგილი ყველამ ერთ-ნაირად გაიგო. ნამდვილად კი ტარიელს არაფერი ჩაუდენია და მკვლევართა ეს შეცდომა ტექსტის შეცდომით წაკითხვაზეა დამ-კარებული. თუმცა ისიც მისალებია, რომ ტარიელმა ეს საქმე გა-ნიზრახა და ველარ ჩაიდინა (\*). ჩვენ კი თვით ამ განზრახვასაც შეიძლება პრალი დავდოთ. ჯრ როგორ მოხდა ეს ამბავი.

ერთხელ, სწორედ იმ დროს, როდესაც ტარიელი ნესტანის ნა-ხვის დროს პირველად ბნდება, მორჩენის შემდეგ ის თავის სახ-ლში განისვენებს. ამ დროს მას მოართვეს ასმათის მიერ გოტა-ნილი წერილი, რაზეც ტარიელი ამბობს (ტ. 347):

«შემოვიდა, სააშიკო წიგნი მომცა, წავიკითხე» (და ტ. 348)  
«ო გამიკვირდა, სით ვუყვარ, ანუ ვით მკადრებს თხრობასააო.

(\*) ტარიელის შესახებ, ტექსტის შეცდომით წაკითხვაზედ, ყურადღება მი-გვაქცევია პ. შ. გარ დ ი ძ ე მ, რომელიც გვიმტკიცებს, რომ „ამირბარს ეს ცუ-დი საქციელი და თვით ამის განსრახვაც არ შეიძლება მოვაწვიოთ თავს, რათ-გან გასამართლებელი რაიმე საბუთი არ გვაქვს, შოთას სიტყვების პირველ და ბურებრივ მნიშვნელობას — ი.e ასთის littoral-ს ვადაეს ცდეთა, მით უმეტეს, რომ ტექსტის პირდაპირი აზრი საგვაბით დამაქმაყოფილებელია და სინმდვილეშიც შეეფურება არა მერტო პურის ფიქოლოგიას და მორალსა, არამედ ღირსეულადაც ახასიათებს ტარიას და ამის უმწიველოდ გახელებულ მიჯნურობას“.

ჩვენს ტექსტს ვტოვებთ უცვლელად, როგორც პირველ საფეხურს ამ ადგილის ასე ახსნისა, მაგრამ უ. ვარდიძის აზრიც მისაღებად მივგანია. (ის უფრო უმაგრებს ჩვენს დებულებას რუსთველის მორალური იდეოლოგიის შესახებ). რათ-გან ტარიელი როცა პირველ წერილზედ ამბობს: „მე გამიკვირდა, სით ვუყვარ, ანუ ვით მკადრებს თხრობასა?“ ა. გულისხმობას, რომ ტარიელმა იცის, რომ წერილის ავტორი ნესტანია. ხოლო ნესტანთან მასი ასეთი „განზრახვა“ ეწი-ნამდევება რუსთველის მიჯნურობის თეორიის.

ჩვენ კი ზემოდ ტარიელის საქციელი შევამსუბუქეთ მიტომ, რომ მაშინ ჯერ სიყვარული ვანცხადებული არ ჰქონდა, ის ჯერ არ იყო ოფიციალური მიჯ-ნური. ხოლო თუ იმ გარემოებას მივიღებთ მშეღველობაში, რომ მას უკვე უ-ყვარდა გაგუებით, რომ ეს ბეჭდაც მისით იყო გამოწვეული, ცხადია აქ ოფი-ციალური მიჯნურობის დაუმთავრებლობა ნამდვილ მიჯნურობას ხელს არ უ-შლის. და ასე სიყვარულით გაგიუებულ ტარიელისთვის ასეთი, თუ ნ დ ა ც „განზრახვის“ დაწამება, არა მარტო ეწინაღმდეგება რუსთველის იდე-ოლოგიას, არამედ ის უსიქოლოვანუროდაც ვაუგებერც.

ის დაფიქრდა (ისევე, როგორც ავთანდილი), და იძულებული შეიმძა მიელო ეს აზრი (იქნ):

«მიუყოლობა არ ვაჩიგა, დამწამებს უზრახობასა,  
ჩემგან იმედსა გარდასწყვეტს, მერმე დამიწობს გმობასააო.  
აი რატომ მისწერა რაცაცა პასუხად ჰმართებდა აშიკობასა».

გავიდა დღეები. ტარიელი საწოლის წინ არის. იღებს მეორე წერილს. ამ წერილითვან სჩანს, რომ ქალს ტარიელთან მისვლა უნდა. ტარიელი აქაც იძულებულია დასთანხმდეს, გაგრამ ამავე დროს დასძენს (ტ. 353):

«გულსა ვარქვითუ: ლახვარნი ეგე ვით დაგალონებენ?  
ამირბარი ვარ, ხელმწიფე, სრულ:დ ინდონი მმონებენ;  
აზრად შეიქმენ, საქმესა ათასჯერ შეაწონებენ;  
თუ შეიგვებენ, მე მათთა არ ეთა არ მარონებენ»ო.  
თუმცა ამ გვარი ლიქრების შემდეგ ტარიელმა შაინც განიზრაბჭე  
ეს საქმე, მაგრამ ეს სტრიქონები ჩვენ მცდად სიინტერესო რამეს  
გვატყობინებენ. აქედან სჩანს, რომ მას ამ საქმის წედენის ეში-  
ნია, როგორც სახელმწიფო მოლვაწეს, ერისა და სახელმწიფოს  
წინაშე: «თუ შეიგვებენ, მე მათთა არ ეთა არ მარონებენ»ო. თუ რ-  
მე შესაძლებელი იყოფილა ამ დანაშაულისათვის  
საზელო მწიფოთგანაც განდევნა: «მათთა არ ეთა არ მარო-  
ნებენ»ო. ამ სტრიქონებზედ ჩვენ განვებ შევჩერდით, რათა მკით-  
ხველს უფრო ნათლად დავანახოთ ვეფხის-ტეალსნის მორალი და  
ერთობ შოთას მორალური იდეოლოგია, რომელიც თავისთავად  
მიგვიყვანს იმ ღროინდელ საქართველოს საზოგადოებრივ მორა-  
ლურ ვითარებასთან.

მეორე წერილის შემდეგ, ერთხელ ტარიელი ნადიმად იჯდა:  
მოლარე ყურში ჩუმად ეუბნება მას: «ქალი ვინმე იკითხავსო:  
ინახვისცა აზირბარი? ტარიელი ამბობს, რომ მაშინ: «ვარქვი,  
საწოლს წაიკვანე, ჩემგან არის ნაბმობარი»ო (ტ. 358). აქ ბდე-  
ბა ერთი საიდუმლო ამბავი და ტარიელმა ჯერ არ იცის. ტარი-  
ელი მიდის საწოლს და განემზადება ააუგისა საკრძალველად.

«გამოვე და საწოლს შეველ, მონა დადგა კარსა მცველად;  
გული მივეც თვობა-ქმნათა, აუგისა საკრძალველად». (359)  
«კარსა შევდექ, ქალი წინა მომევება, თაყვანი მცა;

მითხრა: მოსვლა თქენს წინაშე კურთხეულ არს რამან ლირსმცა! გამიკვირდა, მიჯნურისა თაჯვანება ექმნა ვისმცა!»ო, (360) ამბობს ტარიელი.

359 ტაეპის ორი სტრიქონი აქამდე ყველას ისე ესმოდა, თითქო' ტარიელმა ამ ქალთან კავშირი იქონია, რაც ტეჭილია. იგი ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ როცა ტარიელი საწოლს უნდა შესულიყო, მან გული დაიმორჩილა, შეურიგდა კველა იმ დამაბრკოლებელ მიზეზებს; რომელიც ზემოდ იცო გათვალისწინებული, და იცო რა მზად „აუგისა საკრძალველად“, შედის და მას სხვა სურათი სვდება, რაიცა სწანს მიმდევნო 360 ტაეპითგან. როცა ტარიელს ქალმა თაჯვანი სცა, ის გაოცდა, რათგან მას ნესტანი ევონა: «გამიკვირდა, მიჯნურისა თაყვანება ექმნა ვისმცა!»ო. მაგრამ ის უფრო გაკვირვებული დარჩა, როცა ნახა რომ ეს ქალი გადაცმული ასმათი აღმოჩნდა და „აუგისა საკრძალველად“ განმზადებული ტარიელი დარჩა პირზი ჩალა-გაზოჯლებული.

სოლო ასმათმა, რომელმაც რცოდა, რომ ტარიელი, მის მიერ განგებ მოტყუცბული, იმ წუთში ამ განზრაპებით იცო შეკურობილი, მოახსენა: «გვინდია, ჩემგან წინაშე მავისთვის შომავალობა;» (361) ე. ი. მე მაგისთვის არ მოველ, მე თქვენ მოგატყუეთ, მე ვარ განგებ ამ ნაირად ნესტანისგან გამოგზავნილი და ეს წიგნი გეტავის კველადერსო, და გადასცა ნესტანის წიგნი.

ამას ასე უყვება ტარიელი აქთანდრლს (ტ. 362):  
 „ადგა, მითხრა: თქვენსა მკრძალსა ჩემგან ცნობა უბნევია;  
 ნუ მეჭვა, რაცა პატრონისა ბრძანებასა უთქმევია;  
 ეზომ დიდი შემართება გულსა მისსა უთნევია;  
 ამან წიგნმან გაგაგონოს, ჩემთვის ვისცა უთქმევია»ო.  
 მთელი ეს ეშმაკობა ნესტანის მიერ განგებ იცო შოწუობილი. ამას შოთა ლიად აგვიწერს. ტარიელი 369 ტ. ამბობს:

„ასმათ მითხრა: მე მიბრძანა, ესე ვქმნათო, ესე სჯობდეს, — ვინცა გნახოს, ჩემგან მისსა საუბარსა ვერა სცნობდეს;  
 ჩემად ნახვად მოვიდოდეს, შენ ვითამცა გაშიკობდეს;  
 დამცავედრა, ამირბარსა უთხარ, ასრე ნამუსობდეს»ო.

აქეთგან ირკვევა, რომ ნესტან-დარეჯანმა ტარიელთან კავშირის დაჭერისათვის ასეთი ხერხი მოიგონა: ყოველთვის ტარიელ-

თან ივლის გადაცმული ასმათი, როგორც ვინმე არშიცი, და ის იქმნება მათ შორის შუამავალი: ასეთი ხერხით ნესტან-ტარიელის ურთიერთობას ვერავინ გაიგებს. ცხადია, სანამ ტარიელი უკანასკნელი სურათის წინ დადგებოდა, სანამ ის ასმათისგან არ შეიტყობდა ამ ზერხის სარჩულს, მანამდე მან არაფერი იცოდა, ის მოტყუებული იყო და მართლა ეგონა. ქალი მიღიოდა მასთან იმის ასასრულებლად, რასაც სწერდა. და, სამწუხაროდ, ვ.-ტაოსნის მკითხველებიც ასე მოსტყუვდენ; როცა ტარიელს ამ გვარი ცოდვის ჩადენა დააბრალეს, და, ისიც საინტერესოა, ვისთან: ნესტანთან თუ ასმათთან?! ხოლო ტარიელის ერთგვარ დანაშაულს მაინც, რომელიც იმაში გამოიხატა; რომ მან ეს განიზრაპა, აბათილებს ის, რომ ტარიელს მანამდე ნესტანთან სიცვარული განცხადებული არ ჰქონია. და სწორედ ამ ამბის მეორე დღეს (ე. ი. როცა ნესტანმა საიმედო გზა გააჩინა), იღებს ნესტანისგან პირველ სამიჯნურო წერილს, რომელიც შეიცავს სიცვარულის აზსნას.

ნესტან-დარეჯანმა რომ გაიგო ტარიელის დაბნედის ამბავი, შეწუხდა, ამანც ველარ შესძლო სიცვარული დაედირა და გისწერა ტარიელს (ტ. 365):

«მანდა ყველაი მასმია, რაც შენა გარდაგხდომიააო, და უცხადებს: «შენგან ჩემისა ქმრობისა წინასაც ვიცავ მდომია,

მაგრამ აქამდი საუბრად კვლა ყამი არ მომხდომიააო. და სხ. საინტერესო ის არის, რომ ნესტანიც თინათინსავით პირველი უცხადებს სიცვარულს. რუსთველის შემოქმედებისათვის ეს მომენტი ძალიან დამატასიათებელია. მაშინაც და ახლაც თინათინ-ავთანდოლისა და ნესტან-ტარიელის მდგომარეობა ისე ააწეო შოთამ, რომ ორივე შემთხვევაში სიყვარული პირველად ქალს განაცხადებია. ამით ერთხელ კიდევ გაამართლა თავისი თეორია და ლააღასტურა მისი შესაძლებლობა. რომ: «ლეკვი ლომისა სწორია ძუ იცოს თუნდა ხვადია», რაც უთუოდ შედეგია თამარის შთაგონებისაც (\*).

(\*) ჩვენ გვიონია რომ ეს უნდა იყოს შედეგი იმ დროინდელი სამოქალაქო სამართლის, რომლის მიხედვით მეტის ქვეშევრდომნი უსუფლებობის გამო შეფის ქალს პარველნი სიყვარულს ვერ განუცხადებდენ. შაგრამ ტარიელი ხომ შეფის შეიღლი იყო? ამიტომ წემოდ აღნიშნული აზრიც მიერდეთ.

აი რა მაგალითების დასახელება შეიძლება ვეფხის-ტყაოსან-ში, — ისეთის, რომელიც ერთის შეხედვით ანგრევს შოთას წნეობრივ ტაძარს (\*), ხოლო განხილვის დროს დავრწმუნდით, რომ ეს ტაძარი სრულიად დაცულია და აღნიშნული ამბები ოდნავ ჩრდილსაც ვერ აყენებენ მის სიდიადეს. პირიქით, სწორედ ასეთ შემთხვევაში ახერხებს შოთა წოგიერთი თვის გმირთა თვისებების გამოაშკარავებას — განსაკუთრებით დაჯებითი თვისებებისა. წემოალნიშნული ამბავი ტარიელის ცხოვრებითგან რომ არ იცოს ვეფ-ტყაოსანში, შეიძლება მკითხველმა იგულისხმოს, რომ ტარიელი უთუოდ სხვა ქალებთანაც არ შიყობის ქსელში იქმნებოდა ჩაბმულიო. ხოლო ამ შემთხვევის დასახელებამ ცველა სხვა შესაძლებლობაზედ ფიქრიც კი მოსპო. და ბოლოს, ვინ ციის, ეს ადგილი შოთამ იქმნებ აშავე მიზნით ჩაურთო!? სხვაგვარად ჩვენ-თვის იგი გაუვებარიც არის, რათგან ნესტანს ამ ხერხის მოგონებას ღრმას ტარიელის გამოცდა ბომ არ ჰქონდა მიზნად დასახული. ეს ტექატითგან არ სჩანს. მაშინ ამ მომჯნტის გარეშეც აცაობებდა ტარიელს ამ ხერხს.

დასკვნა ჩვენთვის ნათელია:

შოთამ ასე თუ ისე მიაზრია ბაზუინგალე შეზეგს. მან მთლიანად განახორციელა თავისი მიჯნურობის თეორია გმირთა საქციალში და მათი წნეოპის განსვეტაკებული სახე გმირული შარავანდედით შემოსა.

### 5. მეგოპრობა.

ცუტა ხანს უნდა შევჩერდეთ მეგოპრობაზეც. ადამიანს უჭირს ვეფხის-ტყაოსნის მეგოპროპისა და მიჯნურობის შედარება და ურთი-ერთისგან გარჩევა, რათგან ორივე ისეთი სიძლიერით არის ჯაჩატული, რომ

(\*) ერთეულ კიდევ ასეთი რამ შეემთხვა ტარიელს: როდესაც ნესტანის გათხოვებაზედ თათბირის შემდევ ტარიელ-ნესტანმა მოილაპარაკეს და გადასწყვიტეს სასტოს მოკვლე, მაშინ (ტარიელი ამბობს, ტ. 530):

„ერმე ივლევ წამისაგლად, მან დამიწუო ქვე-ქვე წვევა.

მწადდა მაგრამ, ვერ შეემართე შემოჭდომა, შემოხვევა“ო.  
ია, იქაც „ქვე-ქვე“ წვევას რა მნიშვნელობა ჰქონია!

ძნელია, რომელიც მათგანი უფრო მაღლა დააყენო.

ერთი მხრით რუსთველი ამბობს (ტ. 685), რომ:

«კხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,

გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად».

ხოლო მეორე მხრით ყველა ეს ამბები შოთას თავის ქმნილებაში მიტომ სჭირდება, რომ სიყვარულის საგანი დააკმაყოფილოს. წესტანის ძებნა ავთანდილის მიერ, შველა ტარიელისთვის ხომ თინათინმა დაავალა!?

აი, რა ჩიხშია ეს საკითხი მოქცეული და მთელი ის შეცდო-  
მაც, რომელიც დაშვებულია რუსთველის მკვლევართა მიერ ამ  
საკითხების განმარტების დროს; ახსნას მიიღებენ მშოლოდ აქეთ-  
გან. აი, რამ შექმნა ის ორჭოფული მდგომარეობაც, რომელმაც  
ბ. ზ. ავალიშვილი აიძულა ავთანდილ-ტარიელის ურთიერთო-  
ბაში ზე მეგობრული, ეროტიული გრძნობები დაენახა. ჩვენ არ  
შეგვიძლია აქ ამ საკითხზედ შევჩერდეთ. მხოლოდ ვიტავით, რომ  
რუსთველის შემოქმედებაში მიჯნურობისა და მეგობრობის შო-  
რის ძნელია საზღვრის დადეპა. ისინი გადადიან ერთი მეორეში.  
მიჯნურობა ერთია, როგორც ქალ-ვაჟთა შორის ისე ქალთა და  
ვაჟთა შორის. მათი ზოგადი სახელი სიცვარულია. ქალ-ვაჟ-  
თა შორისაც მიჯნურობის საზღვარი ხომ მათ შეულლებასთან  
მდებარეობს. შეულლების შემდეგ მათ მიჯნურნი აღარ ეწოდე-  
ბათ. აქ ათავებს შოთა თავის იდეას. ტექსტშიც ხომ ასე მოიქცა  
შოთა. ასე რომ „,მიჯნურობის“ ცნებას არადერი არა აქვს სა-  
პირდაპირო სქესთა შორის ნიკოიერ ურთიერთობასთან. აქეთგან  
ცხადია, რომ იმავე მოცულობის არის იგი ვაჟთა შორისაც. ავ-  
თანდილ-ტარიელის ასეთი სიყვარული იგივე მეგობრობაა.

მაგრამ, რათგან ადამიანთა გრძნობათა სამფლობელოში არ-  
სებობს რაღაც განმასხვავებელი, რომელიც გვიჩვენებს ქალის  
ვაჟთან მიჯნურობას და ვაჟის ვაჟთან, ან ქალის ქალთან, ამის-  
თვის პირველი ვეფხის-ტყაოსანში გამოიხატება «მიჯნურობის»  
სახელწოდებით, მეორე «მეგობრობის». რუსთველი მეგობარს,  
მეორე სიტყვას «მოყვარეს»აც ტუუილად კი არ უწოდებს.

რუსთველის მიჯნურობა-მეგობრობის ამ გვარი ახსნის შემ-  
დეგ, ადვილი გასაგები ხდება მისი სატრუიალო ლექსის ის თა-

ვისებურებაც, ომელიც მიჯნურობისა და მეგობრობის, ორივე შემთხვევის შემკობაში, ერთი სტილით, ერთ გვარი სინაზითა და ფორმებით გამოიხატება.

ტექსტით შევამოწმოთ მოკლედ აღნიშნული აზრი მეგობრობაზედ და აღვნიშნოთ რუსთველის მეგობრობის წოგიერთი და მახასიათებელი ნიშნები, რომელიც გაგვიადვილებს მეგობართა შორის ურთიერთობისა და მოქმედების ახსნას.

როდესაც მეფე როსტევან და დიდებულები ესკეწებიან ავთან-დილს ნუ წახვალო, ის მიუგებს (ტ. 715):

«მის ყმისა ცეცხლი მედების, წვა მჭირს მისისა, მწველისა;

მკლავს სურვილი და ვერ ნაწვა ჩემისა სასურველისა;

ჰემს სიცვარული მოყვრისა უხვისა, უშურველისა».

ამის შემდეგ ავთანდილის საუბარში შოთას თეორია მთლიანად გამოთქმულია. ავთანდილს არ შეუძლია შეისმინოს მეფისა და დიდებულების ხვეწნა რათგან: «ოდეს წამოველ, შევიტე ფი-ცითა საშინელითა» (ტ. 717). ამიტომ «ვერ გაუტეს წენაარსა, ვერ გავწირავ წელი სელსა. რამცა საღა გაუმარჯვდა ჭაცა, ფიცთა გამტერელსა» (ტ. 718); ან თუ «ვერას გარგებ, გულსა დავდებ, ჩემი ფიცი არ გატცდებისა» (ტ. 721). ამას ხომ თინათინიც ადასტურებს, როცა ეუბნება (ტ. 688):

«შენ არ გატეხა კარგი გჭირს წენაარისა ფიცისა».

ვაზირთან მეორედ საუბარში, ავთანდილი პირდაპირ ამბობს:

«ოდეს კაცსა დაჭიროს, მაშინ უნდა და ძმა თვისია» (754).

რუსთველი მეგობრობის დამამტკიცებელ თვისებად სამს ასა-ზელებს (ტ. 758):

«სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა:

პირველ ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ მოთმენა,

მიცემა და არას შური, ჩუქებისა არ მოწყენა,

გავლენა და მოხმარება, მისაღ რგებად ველთა რბენა».

ჩვენ გვგონია რომ ეს სტრიქონები ყველასათვის ადვილი გა-საგებია და განმარტებას აღარ საჭიროებს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მთელ ტექსტში რუსთველის ეს შეხედულება ყველგან და-ცულია და დადასტურებული. ის გმირების მიერ სრულებით გან-ზორციელებულია.

**6. ფიცი.** რუსთველის მეგობრობის თეორიის აზრის გაგებისათვის და გმირთა მოქმედბის სწორი შეფასებისთვის კიდევ საინტერესოა ფიცის საკითხი ვეფხისტყაოსაბმისი.

იშვიათია საერთოდ, და კერძოდ აღმოსავლეთის ლიტერატურაში, ფიცის ისეთი მტკიცედ დაცვა და შესრულება, რომელსაც ადგილი აქვს ვეფხის-ტყაოსანში. ამ მხრითაც ის მსოფლიო ლიტერატურაში განმარტოებული სდგას. «არ გატეხა ზენაარისა ფიცისა» მოითხოვს უწინარეს ყოვლისა დიდსა და ძლიერ ნების ყოფას. სუსტი ნებისყოფის ადამიანი ვერ გაასრულებს მას. ამიტომ იყო რომ რუსთველი თავისი მიჯნურის დახასიათებაში ხანგასმით ალწიშნავს, რომ მიჯნურს ხამს; «ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებროლთა მძლეობა» (ტ. 8). რუსთველისებური სახტიკი და მტკიცე ფიცი თვით ქართულ ლიტერატურაშიც მხოლოდ ყასბეგმა მოგვცა. ყასბეგის შემოქმედება იკვებებოდა მთის ზეობრივი არეთი, მაგრამ ის მოკლებული არ ყოფილა რუსთველის სულიერ წაროსაც.

ჩვენ მოვიყვანთ აგრეთვე ფიცის მაგალითებს. ვ.-ტყაოსნითვან და სანიმუშოდ შევადარებთ ვის-რამიანს.

როცა ტარიელს ნესტანმა პირველად განუცხადა სიცვარული, მეორედ შეყრისას ხატაველებთან ბრძოლის წარმოების დავალების შემდეგ იგი შას ასე შევფიცავს (ტ. 399):

«ერთმანერთისა მას აქეთ რაცა ორთავე ვიცითა,  
აწცა მიცოდი საშენოდ მითვე პირითა მტკიცითა;  
ამას შევჯერდი დიდითა ზენარითა და ფიცითა!  
გეცრუვო, ღმერთმან მიწა მქმნას, ნუმცა ცხრითავე  
ვზი ცითა!» ამაზედ ტარიელი ამბობს (ტ. 402):  
«ზედან წიცნება საჟიცარსა (\*), შევფიცე და შემოზიცა:  
— მისგან ჩემი სიყვარული ამით უფრო დაამტკიცა —» ღ.

(\*) პატივცემულ ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით: «წერილობითი პირობა, რომელშიაც ფიცი და ოღონება იყო დადებული, გარკვეული წესით შედგენილი, „საფიცრის წიგნის“ სახელით იყო ცნობილი». (იხ. მისი «ქართული სიგელთა მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა» გვ. 45).

ხატაველებზედ გამარჯვების შემდეგ ტარიელს ნესტანი ასე სწერს:

«ღმერთმან თუ მცა ენა ჩემი ქებად შენდა უშენოსა,

შენთვის მკვდარი, აღარ ვიტყვი, მაშა მომკლავ უშენოსა;

მზემან ლომსა, ვარდ-გიშერი ბალჩას ბალად უშენოსა, —

შენმან მზემან, თავი ჩემი არვის ჰმართებს უშენოსაა! (478)

ხოლო იმ საზარელ წერილში, რომლიც ნესტანმა ქაჯეთის ცი-  
ზითვან გამოუგზავნა ტარიელს, აი რას სწერს (ტ. 1279):

«შენმან მზემან, უშენოსა არვის მისპედეს მთვარე შენი,

შენმან მზემან, ვერგის მისნებდეს, მოცაფილენ სამნი მზენი;

აქა თავსა გარდავიქცევ, ახლოს მანლავნ დიღი კლდენიაო;

და რა ბრწყინვალედ შეასრულა ნესტანმა ყველაფერი!

ვეფხის-ტყაოსანში ცველაზედ დიღი სახიფათო შემთხვევები  
ნესტანს ხვდა წილად, და დიღმა ოსტატმა რუსთველმა ყველან  
და ყოველთვის ყველაფერი რსე მოაწყო, რომ ეს ნაზი არსება ბო-  
ლომდის უმწილოდ დაჩჩა. ნესტანმა თავისი ფიცი ბოლომდის  
წმიდად დაიცვა, ხოლო რუსთველმა თავისი იღეა ნათლით შემოსა.  
ასევე ველად გაჭრილი, ხელ-ქმნილი ტარიელი მთელ თავის სი-  
უცხლეს სწირავს ამ საქმეს, სანამ ბოლოს არ გაიმარჯვებს.

სხვათა შორის ფიცის ძალა უურო მკაფიოდ გამოჩნდა ნესტან-  
ტარიელს შორის მამჩდარ ერთ ვაუგებრობაში.

როცა ტარიელი მიიჩმეს ნესტანის მშობლებმა სათათბიროდ  
ქალის გათბოვების შესახებ, ამის შემდეგ ტარიელი შეჩვდება  
ნესტანს, და ეს რა რისხვით დაუხვდება, თვით ტარიელი გვეტავის:

«მიბრძანა: მიკვირს, რად მოხველ მშლელი მტკიცისა ფიცისა,  
გამშირავი. და მუხთალი, შენ, გამტებელი ფიცისა;

მაგრა ნაცვალსა პასუხსა მოგცემს ზენა მის ცისა. (507)  
ფიცის გატეხისათვის გუშინდელ მიჯნურს ასეთი შუქარით მიმარ-  
თავს: «ცოცხალ ვიცო, შენ ინდოეთს, ღმერთო, ხანი ვერა დაჲყო,

თუ ეცადო დაყოფასა, ხორცთა შენთა სული გაჲყოაო! (512)  
განრისსებული ნესტანი ამ ლალატისთვის ტარიელს სასიკვდილო-  
დაც კი სწირავს! მაგრამ მერე ნესტანი მალე დარწმუნდება, რომ  
ტარიელს მისთვის არ ულალატია, რომ ის თურმე განგებ მოქ-  
ცეულა ისე თათბირზედ, სხვა და სხვა მოსაზრებით, რასაც გაც-  
ნობის შემდეგ ნესტანიც დაეთანხმა და მერე სასიძოს შურის ძი-

ების გეგმაც ერთად შეიმუშავეს. შოთამ კი ამ მოვლენით თავისი ზნეობრივი იდეალის დაცვის სიძლიერე დაგვანახა.

ასეთივე სიძლიერით არის დახატული თინათინ-ავთანდილის სიყვარულის ფიცი. აქაც იგივეა განმეორებული.

როცა თინათინი დაგალებას აძლევს ავთანდილს, შეპძიცავს:

«ფიცით გითხრობ: შენგან კიდე თუ შევირთო რაცა ქმარი,

მზეცა მომჩნდეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი.

სრულად მოვწყდე სამოთხესა, ქვესკნელს გიყო დასანთქმარი;

შენი მკლევდეს სიუვარული, გულსა დაზა ასაქმარი». (132)

რასაკვირველია ასევე შეპფიცა ავთანდილმა და, როგორც ვიცით, მათაც აგრეთვე, მსგავსად ნესტან-ტარიელისა, ღირსეულად შეასრულეს ბოლომდე თავიანთი ფიცი.

ამ მხრით საინტერესოა შევადაროთ მას ფიცი ვისის და რამინის. აქ პირველ რიგში თვალში გვეცემა ის გარემოება, რომ პირველად ფიცს აძლევს ვაჟი, რამინი, ვეფხის-ტყაოსანში კი პირიქით, ვაჟები ამ შემთხვევაში პასიურ როლს ასრულებენ.

აი ეს ფიცი: «მერმე შეპფიცა რამინ, მტკიცითა საფიცრითა, ყოვლისა დაბადებულისა ღმრთისა ძალითა და სახელითა, ელვარითა მზითა და მთვარითა, რაცაცასა ზედა არის,—ყველათა; ცითა და ქვეყანითა, ღმრთის სჯულითა და ყოვლითა საფიცითა, რომელ, ვიდრე სულნი ედგნენ, ვიდრე მთათა ზედა ქარი ქროლეს, ცათა შიგან ვარსკვლავი იპოებოდეს და კაცსა სული ტანსა შიგან უყუალდეს,— ვისის სიყვარულს არ ინანდეს რამინ, არცა მისი ფიცი გატეხოს არცა მისისა პირისაგან კიდე სხვა არსი მოეწონას, არცა ვინ სხვა მისგან კიდე უნდეს, არცა ვინ სიყვარულისა თვალითა შეხედოს და არცა ვინ ვისის უნებელი ქნას»:

მერე ვისიც შეპფიცავს, მისცემს ნიშნად ის კონას და სხ. თუ შევადარებთ ამას ვეფხის-ტყაოსნის გმირთა ფიცს, დავრწმუნდებით, რომ უკანასკნელი არა ნაკლები სიმტკიცით არის გამოთქმული, და მეტი გრძნობიერებითაც. მაგრამ რა მოხდა? რამინი მას მაინც ღალატობს.

ვის-რამიანში მკითხველი ვერ ნახავს ნებისყოფას. იქ არ სჩანს მოვალეობის შესრულების შეგნებაც. ხოლო ყველა გმირები სულიერად ისე სუსტნი არიან, რომ საკმარისია ოდნავ წინალმდევობა და იგინი ასეთ სასტიკ ფიცს მაშინათვე გასტეხენ. რამინის ამგვარი ფიცი პირველი ხომ არ არის! ასევე სხვა გმირების. შავრომაც ხომ გასტეხა ფიცი. ასევე იქცევა თვით ვისი შავრმოაბადთან არა ერთგზის. და როდესაც ქართველი მკითხველი ვეფხის-ტყაოსნისა წაიკითხავს ვისრამიანს, არ შეიძლება არ მოსწყინდეს, არ შეიძლება არ შეეზიზლოს ამდენი სიღაბლე, გმირთა ყოვლად უხასიათობა. ვეფხის-ტყაოსნის სულიერ და მორალურ სამკვიდროზედ აღზრდილი ქართველი მკითხველის სულისა და გემოვნებისათვის, ცხადია, უცნაურია ეს მოვლენა.

ასეთი გარდაუალი ზღუდეა ამ ორ, დაახლოებით ერთი ეპოქის ქართულ-სპარსულ ქმნილებათა გმირების ხასიათთა შორის!

რუსთველმა ფიცის ტრადიცია უფრო ლამაზი, მომხიბლავი და ამასთანვე გმირულ-რაინდული აბჯრით მოსილი დაგვიხატა ორ მეგობრის, ტარიელ-ავთანდილს შორის.

აი, რა იყო ის. ქალა, რომელიც ავთანდილს ყველა ფერს ავიწყებდა, ღლონდ ტარიელისად მი მიცემული ფიცი, სიტყვა გაესრულებინა ბოლო მღე.

შოთას საკუთარი ფილოსოფია აქვს, გარკვეული სისტემა. შემუშავებული. მისი მოქმედება არ არის შედეგი წუთიერი გატაცების, განზრახვისა და სხ. ყველაფერი მისი მსოფლმხედველობით დასაბუთებულია. მას არაოდეს არ გადაუდგამს ერთი ნაბიჯიც კი ამ დასაბუთების გარეშე. ამას ასეთ შემთხვევებში თვით შოთა მკაფიოდ გამოსთქვამს ხოლმე. და აი, ძმათა მიერ ფიცის არ გატეხა, სიტყის შესრულება, არ მოტყუება, მისივე სისტემით არის შეფასებული და ის ყოველთვის ამ მიმართულებით მოქმედებს. რუსთველის აზრით: «კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა»; იცის რა რომ «სიცრულე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერე სულსა!» (ტ. 770). აქ მთელი ფილოსოფია მოცემული, და ქვემოდ (ტ. 771) ამას უკეთ განმარტავს.

«რადგან თავია სიცრულე ყოვლისა უბედობისა,

მე რად გავწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა?

აჩა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილასოფოსთა ბრძნობისა:

ეით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა მწყობრისა». აქ შოთამ დაასაბუთა სიცრუვის მნიშვნელობა და ამიტომ: «ვერ ვაცრუვები, ვერ ვუზამ საქმესა საძაბუნოსა.

პირის-პირ მარცხვენს, ორნივე მივალთ მას საუკუნოსა». (778) და მიუხედავათ როსტევანის სამეფო სასახლის და დიდებულთა დიუი წინაღმდეგაბის, ავთანდილი თავის პრინციპს მაინც ვერ უღალატებს. ტარიელთან დადებულ ფიცს თუ არ შეასრულებს, მისთვის სიცოცხლე არ არსებობს. ის შეპყრობილია ამ ძლიერი ცაცხლით. მეცეს ეუბნება (ტ. 718):

«ვერ ვაცუტეს ზენაარსა, ვერ ვავწირავ ხელი ხელსა,

რამცა სადა გაუმარჯვდა კაცსა ფიცა გამტეხელსა!»ო.

ასე ძლიერი იყო მნიშვნელობა ფიცისა ავთანდილისათვის, რომლის შესრულებას ყველაფერს სწირავდა. და, ბოლოს, ისიც ვიცით, რომ თავისი ძვირფასი იდეალი კეთილად და უვნებლად შეასრულა.

ჩვენ აქ აღარ გამოუდგებით სხვა ამონაწერთა მოყვანას, რაც აუაზებელია ვეუზის-ტყაოსანში, უკეთესი ადგილებიც კი, და ეს მკითხველმაც იცის. ამ მხრით ყველაზედ საინტერესო ადგილი ვეფხის-ტყაოსანში ორია: ავთანდილის ანდერძი და ნესტანის წერილი. ტარიელისადმი, ქაჯეთის ციხითვან მოწერილი.

თუ მკითხველი ყველა სხვებთან ერთად ამ მეტად მნიშვნელოვან მოვლენასაც კარგად ჩაუკვირდება, კიდევ ერთხელ დარწმუნდება. ავთანდილის მოქმედების სიმართლეში. მისთვის ნათელი შეიქმნება არა მარტო ეს სიმართლე, არამედ, რუსთველის იდეის თვალსაზრისით, აუცილებლობაც ავთანდილ-ტარიელის ისეთი ურთიერთობისა, რომელიც წარმოდგენილია ვეფხის-ტყაოსანში. ხოლო ყველა ამის შემდეგ, რასაკვირველია, ყველა გაუგებრობანი, რაც ბ. ჭ. ავალიშვილის მიერ იყო გამოთქმული, პერებიან ვით ლამის ლანდები დღის სინათლეზედ.

7. ბ. ჭ. ავალიშვილის  
მიერ გამოქვეშული აზრი.

შოთას მიჯნურობასა და შეგობრობაზედ ამ მცირე შენიშვნების შემდეგ, გავიცნოთ ბ. ჭ.

ავალიშვილის დებულებები და შევაფასოთ.

1. ბ. ზ. ავალიშვილის აზრით „მეგობრობა ზოგჯერ მიჯნურობაზედ ისე აღამალლა შოთამ, რომ ძნელია გაგება, ვისი სიყვარული სჭარბობს ავთანდილის გულში: თინათინისა თუ ტარიელისა“ (იხ. ვფხ.-ტყ.-ის საკითხები გვ. 149)?

როცა ავთანდილი გაპარვისას ქვაბში ტარიელს ვერ ნახავს, მოსთქვამს: «იტყვის: ლმერთო, რა შეგცოდე შენ უფალსა, არსთა მხედსა, რად გამყარე მოყვარეთა, რად შემასწარ ამა ბედსა? ერთი ორთა მგონებელი, ვარ საქმესა წასაწყმედსა!» (841) მერე: «მოყვარემან ვარდის კონა გულსა მკრა და დამიწლულა,

იგი ფიცი, ჩემგან სრული, მან აღარა გამისრულა;

მას თუ გამყრი, საწუთოროვი, ჩემი ლხინი გარდასრულა,

სხვა მოყვარე თვალსა ჩემსა გაკიცხულა, გაბასრულა!» (842) აქ „სხვა მოყვარედ“ ისიც „გაკიცხულად“, ვშიშობ, თინათინი უნდა ვიცნათა! ეს იმითაც მტკიცდება, რომ ბოლოს, როცა ნესტანი ქაჯეთის ციხითგან გაანთავისუფლეს, ავთანდილი მაშინაც არ სცილდება ტარიელს, და ბოლოს, ფრიდონის საშუალებით, ძლივს მოახერხა ეს ტარიელმათ, ამბობს ბ. ზ. ავალიშვილი.

ამიტომ აქეთგან ის დაასკვნის, რომ თითქოს ავთანდილი ტარიელის სიყვარულს თინათინისაზედ მაღლა აყენებდა. ე. ი. აქ სჩანს მეგობრობისადმი უპირატესობის მინიჭება შოთას მიერო.

2. „ორ ძმათ-ნაფიცა მეგობრული სიყვარული რუსთველის მიერ თითქმის იმავე საზითა დასურათებული, როგორც ნამდვილი, კარგი მიჯნურობა“ (იხ. ვ.-ტყ.-ის საკითხები გვ. 150).

მოვიგონოთ ავთანდილის ტარიელზედ ნათქვამი (ტ. 715):

«მის ყმისა ცეცხლი მედების, წვა მჭირს მისისა მწველისა;

ჩელავს სურვილი და ვერ ნახვა ჩემისა სასურველისააო.

ახლა შევადაროთ, რასაც თინათინზედ ამბობს 151 ტაეპში:

«მოუკლავარ თინათინის სურვილსა და სიყვარულსააო.

კიდევ ავთანდილი ტარიელზე: «მის ყმისა ცეცხლი მედების, დამწვა ცეცხლითა ცხელითა; შემებრალნეს და გავშმაგდი, გავხე გულითა ხელითააო (981 ტ.). ხოლო მეორე მზრით ხომ შოთას აზრითაც: «მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა». (29)

ასეთივე კილოთი მიუგებს ავთანდილს ტარიელიც (648 ტ.):

«მან მიუგო: უცხოს უცხო ეგრე ვითა შეგიცვარდი? გასაყრელად გეძნელები, იადონსა ვითა ვარდისა და სხ. ამ ორმა მოვლენამ ეჭვში შეიცვანა ბ. ზ. ავალიშვილი.

3. და ეს ეჭვი გააძლიერა მესამე გარემოებამ: ეს გაზლავსთ ავთანდილ-ტარიელის ღამე ერთად დაძინების შემთხვევები, რაც გვხვდება სულ სამჯერ (ბ. ზ. ა. აზოით). პირველად, როდესაც მეგობრობის ფიცი დასდეს: «მას ღამესა ერთგან იცვნეს შენი-ერნი ამხანაგნი» (650). ეს შემთხვევა, ნ. მარრის ღამოწმებით, ვთქვათ მეგობრული ფიცის წესი იყოსო, ამბობს ავალიშვილი, მაგრამ ასეთი შემთხვევა ხელმეორდება მეორედ, როცა ტარიელი ლომ-ვეუზთა შარის ღაბნელილი ნახა ავთანდილმა, მაშინაც «მას ღამესა ერთგან იცვნეს იგი ღომა, იგი გმირნი (905), და მცხა-მედაც, როცა ტარიელზა ავთანდილი ფრიდონისას გააცილა, აქაც 『მას ღამესა ერთგან იცვნეს, ერთგ ნ მიწვეს ხისა ძირსა』 (928) ბ. ავალიშვილის შეხედულებით «შეუძლებელია რომ აქ ჯველგან ფიცის რიტუალი იგულისხმებოდესო» (იხ. გ-ტ. საკითხ. გვ. 152).

4. ვანითვან ეს 『არაბ-სპარსული სიტყვიცრების ჰანგი შემ-დეგ მსოფლიო ლიტერატურის გარედ არ რჩება», ამიტომ ბ. ზ. ავალიშვილი ფიქრობს, რომ 『ამისი ხსენება, თუნდაც რომ გაკ-ვრით, როცა რუსთველზედ ვწერთ არაა ზედმეტი. ზემოდ ნაგუ-ლისხმევი ჰანგი თვალსაჩინოა აღმოსავლეთში, და შოთა არაბულ-სპარსულ მსოფლიოსთან ხომ დაკავშირებულია თავისი განათლე-ბითაც და იმ 『ამბითაც», რომელს შეეძლო ამ მხრით ისეთი რამ ჰქონდა, რაც წაშლილია და დაკარგული თვით ვ.-ტრანსანში. ორიოდე მკრთალი ნიშანი კი დარჩებოდათ』 (იგივე წიგ. გვ. 153)-

ეს სულისკვეთება აღბეჭდილია ავთანდილის ქებაში:

«ფრიდონ დადგა, ყმა წავიდა, შემხედველთა მკვლელი ტანია. ამ გვარად, გარდა ამ 1003 ტაეპისა და ზემოდ აღნიშნული ავ-თანდილ-ტარიელის ურთიერთობისა, ბ. ზ. ავალიშვლი ფიქრობს, რომ „ამ „ტრადიციის“ ერთი სავა გამოძახილიც მოიპოება, თა-ვისთავად მკრთალი და უმნიშვნელო, როსტევანის და იმავე ავ-თანდილის ერთ დახასიათებაში』 (იხ. ბ. ა. ვ.-ტრანსნის საკით, გვ. 154). ნაღირობაში შეჯიბრების დროს (ტაეპი 83):

«შეფეხსა ესე ამბავი უჩნს, ვითა შლერა ნარდისა,

უხარის ეგრე სიკეთე მისისა განაზარდისა,  
აქვს მიჯნურობა ამისი, ვითა ბულბულსა ვარდისა;  
სიცილით ლალობს, მიეცა გულით ამოსვლა დარღისა».

თუმცა „მართალია, როსტევან-ავთანდილის სცენაში პატრი-  
არქალური კილო იმდენად სჭარბობს, რომ ხსენებული ჰანგის  
კვალი აქ თითქმის წაშლილია, საგულისხმოა კი, რომ მიჯნუ-  
რობის ხსენება პოემაში აქაც შენაბულია“ (იქვე: გვ. 155).

ასეთია ამ საკითხზედ ავალიშვილის შეხედულება და არგუ-  
მენტები, რომელთ შეფასებას აქვე შევეცდებით.

- 8. ბ. ჟ. ავალიშვილის  
შეხედულების კრიტიკა.**
1. რომ თითქოს ავთანდილი  
ტარიელის სიცვარულს მაღლა  
აყენებდეს თინათინისაზედ, ეს  
არ არის მართალი. ყოველ შემთხვევაში ამ ადგილითგან, რომელ-  
ზეც ეყრდნობა მკვლევარი, ეს არ სჩანს.  
«მოყვარემან ვარდის კონა გულსა მკრა და დამიწყლულა;  
იგი ფიცი, ჩემგან სრული, მან აღარა გამისრულა.  
მას თუ გამყრი, საწუთროო, ჩემი ლხინი გარდასრულა,  
სხვა მოყვარე თვალსა ჩემსა გაკიცულა, გამასრულა!» (842)  
აქ „სხვა მოყვარედ“ ბ. ზ. ავალიშვილი რომ თინათინს გულის-  
ხმობს, შეცდომაა, რათგან ჯერ თინათინი აჩას წინედ ტარიელ-  
თან ერთად მოიგონა („ერთი ორთა მგონებელი“ და ს. და,  
სხვათა შორის, ყოველთვის, როდესაც ავთანდილი შეცილებულია  
თინათინს, სადაც არ უნდა იყოს ის, რა განსაცდელსა და საქმი-  
ანობაშიც, — მას თინათინის აჩრდილი ელანდება. იქ, სადაც გამ-  
ხნევებაა საჭირო, იგი მას ამზნევებს; წოლო როდესაც დანაშა-  
ულს სჩადის, ძრწოლა იპყრობს მას. ეს თითქმის ცველა შემთ-  
ხვევებში არის აწერილი და ავთანდილის მიერ თინათინის გახსე-  
ნების მომენტებიც იშვიათი გრძნობიური ლექსით არის გამოთ-  
ქმული. აღნიშნულ ტაეპში კი მხოლოდ ტარიელზეა ლაპარაკი  
და „სხვა მოყვარედ“ ტარიელის მოპირდაპირედ ვინმე სხვა მე-  
გობარი (განყენებულად) იგულისხმება და აქ თინათინი რა შუ-  
აშია! ამას თვით ტერმინოლოგიაც ამტკიცებს. შოთა სხვათა შო-

რის, „მჟყვარეს“, მეგობარს ეძახის. ვეფხის-ტყაოსანში ყველგან ტერმინს „მეგობარს“ ენაცვლება „მოყვარე“: «ვინ მო- ყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია» (ტ. 834). «პხამს მოყვა- რე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად» (ტ. 685) და სხვა მრავალი. ხოლო არ არის ისეთი შემთხვევა, სადაც სატრაქოს, „მიჯნურს“, „მოყვარე“ შეცვალოს!

რომ თითქოს ავთანდილისთვის თინათინი არ არსებობს, თუ ტარიელს ვერ შეხვდა, (ჩვენ კი გვგონია პირიქით, რომ თუ ტა- რიელს ვერ შეხვდა, მაშინ თვით ავთანდილი არ არსებობს თი- ნათინისთვის, როგორც დავალების ვერ შემსრულებელი, პირშა- ვად დარჩენილი!) ე. ი. უტარიელოდ მისთვის თინათინიც «გა- ბასრულა, გაკიცხულა», — ეს აზრი კოვლად შეუწყნარებელია და რუსთველის იდეოლოგიის თვალსაზრისით გაუგებარი.

პირიქით, კოველივე ესე: ტარიელის გაცნობა, მისი დამეგობ- რება და სხვ., ავთანდილის სიყვარულის საგანმა, ე. ი. თინა- თინ მა გამოიწვია. ვაშინაც, როცა ავთანდილი პირველი ნახვის შემდეგ თინათინს გააცნობს ტარიელის ამბავს, თინათინივე ურ- ჩევს (ისე როგორც ხალხურ ვეფხის-ტყაოსანშიც):

„შენ არ გატეხა კარგი გჭირს ზენაარისა ფიცისა.

პხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა,

ძებნა წამლისა მისისა — ცოდნა ხამს, უი იცისააო. (688)

და ამ დავალების შეუსრულებლობა ავთანდილისთვის, ვითარცა თინათინის მიჯნურისათვის, არც ისე ადვილი საქმე იყო. არ, უ- ტარიელოდ სხვა მოყვარე ჩირად რატომ უჩნდა. მაგრამ, ცხადია, მარტო თინათინის დავალების შედეგად როდი უნდა ვიცნათ ის.

ტარიელი მეორე ვაუკაცია, ავთანდილის შემდეგ, მთელ იმ მსოფლიოში, რომელსაც ვეფხის-ტყაოსანი იცნობს. მოხდა მათი დამეგობრება და გასაკვირველი არაფერია, რომ ტარიელი ავ- თანდილისთვის ფრიად საპატიო სიყვარულისა და თანაგრძნობის ლირსი გამხდარიყო. და ავთანდილის მიერ გაწეული ზრუნვაც გან- ხორციელებაა შოთას მეგობრობის თეორიისა, — „მისად რგებად ველთა რბენა“. თუმცა ამაში თვით ბ. ჭ. ავალიშვილიც ეჭვდება და ამბობს: „მართალია, იმის თქმა შეიძლება, რომ მეგობრო- ბის ამ გვარი უპირატესობა ტარიელის მნიშვნელობით აიხსნე-

ბა და არ გმირის გაწვიადებას ემსახურება“ ღ. (იქვე: გვ. 149).

რაც შეეხება იმ აზრს, რომ ავთანდილი ბოლოსაც არ ეშვება ტარიელს, მაინც და მაინც ინდოეთში წამოვიდეო, ესეც შვენიერი მაგალითით შოთას თეორიის და მისი ახსნაც ამავე მეგობრობის სფეროში მოინახება.

რუსთველის მეგობრობის ჯრთი მთავარი ატრიბუტთაგანი ხომ, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, შემდეგია: «გავლენა და მოსმარება, მისად რგებად ველთა რბენა» (ტ. 758). და ამას ავთანდილი, როგორც მკითხველს მოეხსენება, ბრწყინვალედ ასრულებს. აგრეთვე, შოთას მეგობრობის თვალსაზრისით, მარტო «ველთა რბენა» არ კმარა, — დაწყებული საქმის ბოლომდის მიყვანაა საჭირო, მას «პხამს გასრულება». და მის გმირებსაც ამის მეტი არა ჩაუდენიათ რა. ავთანდილს არც ერთი ნაბიჯი არ გაღაუდგამს რუსთველის ბრძანების გარეშე.

და აი, მაშინ, როდესაც ქაჯეთის ციხითგან ნესტან-დარეჯანი გაანთავისუფლეს «მათ სამთა გმირთა მნათობთა», ზ. ავალი-შვილი მაინც და მაინც მოითხოვს, რომ ავთანდილს და ფრიდონს თავი უნდა დაეკრათ ტარიელისთვის; გზა მშევიდობისა ეთქვათ და თავ-თავის სახლში წასულიდვნენ!

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ამ გვარი თავგადასავალის შემდეგ, ასე უბრალოდ დლევანდელი „ძმა-ბიჭებიც“ არ დასცილდებოდენ ურთი-ერთს და ამას ტარიელ-ავთანდილს როგორ მოვსთავთ. ჯერ ერთი, გმირი ავთანდილი ვერ ურიგდება სინდისს, — მან ტარიელისთვის ამდენი უბედურობა გამოიარა, ქალი იხსნა ტყვეობითაც, და ახლა რა მისი შესაფერი საქციელი იქმნებოდა, შუა გზაზედ მიეტოვებინა!? რა საკვირველია ავთანდილში იმ წუთს ამაზედ ფიქრი უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო, ვიდრე იმაზედ, რომ მას თინათინი უცდიდა, — მით უმეტეს, რომ თინათინი ნესტანიგით ტყვედ არ იყო, როგორც თვითანაც ამბობს!

რუსთველის იდეის მიხედვით, ავთანდილს სამსახური ტარიელისადმი აქ დამთავრებულად არ მიაჩნდა და, ცხადია, ავთანდილი, როგორც ბრძენი და ფილოსოფოსი, ამ საქმეს ბოლომდე მიუყვანელს ვერ დასტოვებდა. ამას უბრალო ვაკეცობა და რაინდული ჩვულებაც მოითხოვდა.

მიუხედავათ ამისა, მეორე მხრით ტარიელის წინადაღებაც ჩეალური და მიზან-შეწონილი იყო. სჯობს ეს აგბავი გავიხსენოთ. ოდესაც ნესტანის განთავისუფლების შემდეგ ფრიდონმა ტარიელს ქორწილი გადაუხადა, ტარიელმა ფრიდონის პირით ავთანდილს შეუთვალა (ტ. 1447):

«უთხარ: „,ძმაო, რა გარდიხდის შენგან ჩემსა ჭირნახულსა!“

ლმერთი მოგცემს წყალობასა მისსა, ზეცით შენახულსა!

თუ ვერა ვიქ საწადელსა შენსა, შენთვის განზრახულსა

არა ვნახავ სახლსა ჩემსა, არ დარბაზსა, არც სულსა”».

აი რატომ მისცა წინადაღება ტარიელმა ავთანდილს. ტარიელსაც ულრენდა გული მეგობრობის. მასაც სწვავდა ავთანდილის თინათინისადმი ცეცხლი, თვითონ „,მიხვდა საწადელსა“ და ახლა უნდოდა ავთანდილის საწადელიც აესრულებინა. მასაც უნდოდა ენახა ისინი ერთად შეცრილი. ეს აზრი არც ულოლიკო იყო და ბოლოს რუსთველმაც ხომ ასე ჩაადენინა. მაგრამ არც ავთანდილი იყო თავის პასუხში მცდარი, რათვან ჯერ, როგორც ალენიშვნეთ, მას საქმე დამთავრებულად არ მიაჩნდა, და მერე ამ გვარ წინადაღებაში შეუტაცხყოფაც დაინახა. აი რა უპასუხა ავთანდილმა (ტ. 1454): დესეა ჩემი საწადი და ჩემი მოსანდომარე:

ინდოეთს გნახო მორჭმული, საჯდომთა ზედა მჯდომარე;

გვერდავე გიჯდეს მნათობი, პირი ელვათა მკრთომარე;

მებრძოლნი თქვენნი მოგესრნეს, არ ვინ ჩნდეს მუნ მეომარე».

აი თურმე რა მიაჩნდა ავთანდილს თავის საქმის „,გასრულებად“.

(ამ დროს ტარიელის სამეფოს მტრები იკლებდენ, ამიტომ საინტერესოა ავთანდილის ის აზრიც, რომელიც გამოთქმულია უკანასკნელ სტრიქონში. ამაზედ მერეც ვნახავთ). და მერე (ტ. 1455):

«რა გამისრულდეს ესენი ჩენი გულისა ნებანი,

მაშინდა მიგალ არაბეთს, მომზევდეს მის მზისა ხლებანი».

აქეთგან ყველასათვის აღვილი გასგებია, რა იცო აზრი ავთანდილის დაუინების, რა იყო მისი გულის ნება, და არა ის, რაც ბ. ზ. ავალიშვილს ჰგონია.

ხოლო ოდესაც ავთანდილმა ტარიელის სიტკვები იუკადარისა კიდეც, აქაც მას ის საბუთი ჰქონდა, რომ ტარიელის შველა თავისთვის დიდად საჭიროდ არ მიაჩნდა. აი, ამაზეც რას ამ-

ბობს ის: «სთქვა თუ: „მეშველი რად მინდა, მწირს არავისგან წყლულობა; ჩემი მზე არცა ქაჯთა ჰყავთ, არცა სჭირს ლხინ-ნაკლულობა“»ო (ტ. 1449).

მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ტარიელის წინადადება მიიღეს. ავთანდილი აქ ტარიელს დაეთანხმა და წავიღენ არაბეთს (\*).

და ბოლოს, როდესაც „მიხვდა მათი საწადელიც“, თინათინს 『გვერდსა დაუსვეს ავთანდილ, სურვილსა მოყკლა ვისსა』. (1519) რომ მეგობრული მოვალეობა ასე ძლიერი იყო, ე. ი. რომ აქ ავთანდილი ცათამდის მართალი იყო ამ მოვალეობის თვალსაზ-რისით, ამას ესეც ამტკიცებს: როცა ტარიელი მივიდა არაბეთს და თინათინ-ავთანდილსაც ქორწილი გადაუხადეს, როცა პოეტის თქმით, «რას ვაგრძელებდეს გარდაპჲდეს დლენი ერთისა თვისა-ნი.» (1536 ტ.) და ტარიელი კიდევ იქ ქეიფობდა, მაშინ მის სამეფოს მტერი აოხრებდა და მშველელს ითხოვდა დროზედ. ხო-ლო ერთი თვის შემდეგ შეუთვალა ტარიელმა ავთანდილის პი-რით როსტევანს: «... შენი სიახლე კმა ჩემად ლხინად ყოველად; მტერთა აქვთ ჩემი სამეფო, ვიცი მუნ შიგან მძოველად. (1537)

წავიდე, ავი არ მიყოს მე აქა დაყოვნებამან»ო. (1538)

ეს როგორდა მოგწონსთ? მიუხედავად იმისა, რომ ტარიელის სამეფო მტერსა აქვს ხელთ, მაინც მეგობრობის მოვალე-ობის მოსახდელად დაივიწყა მან სამშობლოს უბედურება და ერთი თვე გაჩერდა. და ამის შემდეგ ასეთივე საქცი-ელი ავთანდილისა რად უნდა გვიკირდეს!?

აქეთგან ერთხელ კიდევ ირკვევა, რომ სხვა რამ აზრის გა-მოთქმა ამ უკანასკნელ შემთხვევაზედ ყოვლად შეუძლებელია!

(\*) ხედავთ, რა ოსტატურად არის ყველაფერი მოწყობილი: იქ, სადაც ტა-რიელის საქმე კეთხებოდა, ავთანდილი ბრძენის და დამრიგებელის როლს ას-რულებდა და ტარიელიც მას უსმენდა და ემორჩილებოდა. როცა ჯერი ავ-თანდილის საქმეზედ მიდგა, ანლა უკულმა: ტარიელს ემორჩილება ავთანდი-ლი, რათგან შოთას სწამდა, რომ: „სხვისი სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი“ ო.

2. ის, რომ რუსთაველი მეგობრობისა და მიჯნურობის ხოტბას ერთგვარი ფრაზეოლოგიით გამოსახავს, მართალია.

თუ შოთა ავთანდილის პირით ტარიელს ისევე უგადობს, როგორც თინათენს, ეს კიდევ არ არის დამამტკიცებელი ავთანდილ-ტარიელის რაიმე უცნაური ურთიერთობის. ეს რომ მართალი იყოს, მაშინ ვეფხის-ტყაოსნის ყველა გმირები ავთანდილ-ტარიელის ამგვარი კორპორაციის ლირსეულ წევრებად უნდა ჩავთვალოთ, რათგან ვეფხის-ტყაოსნის ყველა გმირი შოთას ერთნაირად აქვს შექებული, ერთნაირი ფერადებით და ერთგვარივე სინაჲით, — განსხვავება მხოლოდ მათ როლებშია. კიდევ მეტიც. შოთა ქალების და ვაჲების დახასიათების ღრღსაც ერთნაირ სიტყვებს და შედარებებს მიმართავს, ერთნაირი ეპითეტებით ამკობს მათ. ეს რუსთველის სტილის დამახასიათებელი თვისებაა.

ჩვენ ზემოდ ალვნიშნეთ შოთას მიჯნურობისა და მეგობრობის ხასიათი და დავრწმუნდით, რომ მისი გაგების შიხედვით მას ხელს არ უშლის ამ გვარი იგივეობითი გამოხატვა სამიჯნურო და მეგობრობის გრძნობებისა და ამას თვით ბ. ჭ. ავალიშვილიც ადასტურებს, როცა ამბობს: „ორ ძმად-ნაფიცთა მეგობრული სიყვარული რუსთველის მიერ თითქმის იმავე სახითაა დასურათებული, როგორც ნამდვილი, კარგი მიჯნურობა. და არც გასაკვირველია, ვინაითგან იდეალური, პლატონისებური მეგობრობა და რუსთველისფერ მიერ ნაქები უხორცო, კარგი მიჯნურობა ახლო ნათესავებია“ ო (იქვე გვ. 150).

ჩვენ, მაინც, ზემოდ თქმულის დასამტკიცებლად, უამრავი მაგალითებითგან მოვიყვანთ მხოლოდ წოგიერთს და ვნახავთ, რომ ერთგვარი ხორცით მარტო ტარიელ-თინათინი კი არაა შესხმული, არამედ არც ერთი გმირი არ არის შოთას მიერ ამავე სტილით შექების გარეშე დატოვებული. აი ამისი მაგალითები, რაც ნათქვამია სხვა და სხვა გმირებშედ პოეტის მიერ, ან ამ გმირთაგან ურთი-ერთზედ, ან მათგანვე პირადად თავიანთ თავზედ.

### ტარიელ ზედ

პოეტი ამბობს:

იქ, საღაც «ნახეს უცხო მოყმე ვინმე» (ტ. 84)  
«ცრემლსა ვარდი დაეთროვილა, გულსა მდულრად ანატირსა».

როცა ტარიელი შმას არ იღებს:

«არცა გახლიჩნა ბაგეთად თავი ვარდისა კონამან». (89)

ხატაელთა ჯაშუში ტარიელს ეუბნება:

«მკვდარი მამდიმს სანახავად, ტანი მჭევრი, პირი ვარდი». (418)

ტარიელივე ამბობს:

«ხუთისა წლისა შევიქენ, მსგავსი ვარდისა შლილისა». (310)

«შზესა შე ვჯობდი შვენებით, ვით ბინდსა უამი დილისა;

იტყოდეს ჩემნი მნახავნი: მსგავსია ედემს ზრდილისა». (311)

«ძალად ლომსა, თვალად მზესა, ტანად ვგვანდო ედემს ზრდილსა» (321).

### ავთანდილ ზედ

პოეტი ამბობს:

«საროსა მჯობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა.

ჯერ უწერული, საღარო ბროლ-მინა საცნობარისა». (40)

«თავსა პწის პირ-მზე ავთანდილ, მჭვრეტოაგან მოსანდომია,

სპათა სპასპეტი, ჩაუქი ვითა ვეფხი და ლომია». (57)

«ყმა მეფისა ბრძანებასა, ლალი, წყნარად მოისმენდა.

თავ-მოდრეკით გაიღიმა», გაცინება დაუშვენდა,

თეთრთა კბილთა გამომქრთალსა შუქსა ველთა მოაფენდა». (64)

«დილასა ადრე მოვიდა იგი ნაზარდი სოსანი,

ძოწეულითა მოსილი, პირად ბროლ-ბადას შოსანი». (72)

ნადირობის დროს:

«ავთანდილის შემხედველთა: ჰგავსო ალვას, ედემის ხეს». (77)

როცა ავთანდილი ნადირობის დროს იმარჯვებს, მეფეს:

«უხარის ეგრე სიკეთე მისისა განაზარდისა,

აქვს მიჯნურობა ამისი, ვითა ბულბულსა ვარდისა». (82)

როცა ავთანდილი პირველად სტოვებს თინათინს და მიდის;

«კანდი მის მზისა გაყრილი უფრო და უფრო სკუნებოდა». (179)

როცა ტარიელი ნახა, დაბრუნდა და თინათინთან ერთად იყო: «მუნ ბროლი და ვარდ-გიშერი გაეტურფა სინაზესა». (667)

### ფ რ ი დ ო ნ ზ ე დ

ტარიელი ამბობს:

«მუნ მომეწონა ღრიდონის სიქველე-სიფიცხენია: იბჩევის ლომი და პირად მზე, იგი ალვისაც ხენია». (599)

სამივე გმირზედ ნათქვამია:

«ჰეგვანდა, თუმცა შეყრილ-იყვნეს ორნი მზენი, ერთი მთვარე» (ტ. 1358) და სხ.

ნესტან-თანათინზედ აღარაფერს ვამბობთ, რათგან მთელი ნაწარმავები მათი ხოტბითაა (მსგავსივე ტერმინოლოგიით გამოთქმული) სავსე. არც სხვა დანარჩენ გმირებზედ განვაგრძობთ სიტყვას, რათგან ყველა მათთაგანი თავთავიანთი როლის მიხედვით ნაწარმავებში ასევე არიან შემკულნი, და დავკმაყოფილდებით მხოლოდ მთავარი გმირების შესახები მაგალითებით.

როგორც დავინახე, ეს გალობა ხან ლომ-გმირობის ფრაზე-ოლოგიით იხატება, ხან ნაზი და მსუბუქი ვარდ-გიშერის ენით ითქმის. რუსთველმა როგორც დიდმა ფსიქოლოგმა და სიტყვის ღსტატმა, იცის დრო, როდის რომელი სტილი მოუხდება. სევ-დისა და მელანქოლის ან რაიმე იდილიური სურათების ღახატვის დროს ის ნაზად მუსიკობს. ბრძოლისა და „საგმირო საქმეთა“ დროს ის ლომ-გმირის ენით მეტველებს (\*).

ამავე წესს ემორჩილებიან რუსთველის უშესანიშნავესნა შედარებანი, სიბრძნით სავსე აფორიზმები, ხანდა-ხან მოსწრებული სიტყვებიც კი. და მართლაც, იმის-და მიხედვით თუ ვის უგალიზს, რუსთველი ერთნაირს დროს და ერთნაირი სურათის დასატვისას წშირად ერთნაირი აზრის გარდა ერთსა და იმავე სიტ-

(\*) ამიტომ ბ. ზ. ავალიშვილს შოთას მიერ აფთანდილის ხანდისხან ისჭნაზი შემცირა არ უნდა უკვირდეს!

ყვებს ცმარობს. აგრეთვე მსგავს ადგილებში რუსთაველი მთელ სტრიქონებსაც იმეორებს ხოლმე, ან ზოგჯერ ფრაჩაში მხოლოდ ზოგიერთ სიტყვებს სცვლის. წემოდ მოყვანილი სამი შემთხვევა, ავთანდილ-ტარიელზედ რომ ნათქვამია: «მას ღამესა ერთგან იყვნეს...» და სხ. ერთი საუკეთესო მაგალითია ამისი და სხვაც მრავალი ამისთანა.

ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ ორ უშვენიერეს ადგილს ვეფხის-ტყაოსნითგან.

ა) ავთანდილ-ასმათის შესვედრაზედ აი რას ამბობს შოთა:

«ამარტის ფერად შესცვალა ბროლის ცრემლისა ბანამან.

დიდხან იტირეს ყმამან და მან ქალმან შაოსანამან» და. (269)

ბ) ხოლო მაშინ, როცა ტარიელი ავთანდილს უყვება იმ ამ-ბავს, როდესაც პირველად დაბნდა:

«ზაფრანის ფერად შესცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან,

გული უფროორე დამიჭრა ათიათასმან დანამან;» და სხ. (346)

აქეთგან კიდევ ერთხელ ცხადი სღება ბ. ზ. ავალიშვილის შეცდომა, რომ რუსთაველის მიერ ტარიელ-თინათინზედ ერთნა-ირი ფრაზების განმეორება კი არ აღნიშნავს რაიმე განსაკუთ-რებულ მოვლენას, რომელიც თითქოს ავთანდილის ტარიელთან «სამიჯნურო» ურთიერთობით აიხსნებოდეს, არამედ ეს არის თვით შოთას სტილისა და საერთოდ მისი შემოქმედების ძირი-თადი თვისება (\*).

(\*) არა მარტო შოთას საერთოდ იმ ეპოქის სხვა ლიტერატურის ძეგლებ-შიც უხვად ნახავს კაცი ისეთ სტილისტიკურ გამოთქმებს, რაც ვეფხის-ტყაო. სანს ახასიათებს, ასე რომ ამ შემთხვევაში ეს სტილი უკვე ეპოქის დამახასიათებელიც არის. აი მავ. ივანე შავთელის აბდულ-მესია ში რას ვკრთხულობთ:

“... მეფევ მაღალო, ქცევა მდაბალო;

— ლომისა მსგავსო ძალად და გულად,

— ალვისა რტოო ყოვლად მარტოო,

— მჭვრეტო სასურველო მოსარხეველი დ

— ვარდზედ გაშლილო ყორნისა ბოლო,

— ქმილო სუნელთა მოსატრქვეველად”.

იქაც ხომ იგივე სტილია. ერთ და იმივე დროს პოეტი დ. ალმაშენებელს ლომისაც აღარებს და ვარდისაც. მაშ აქ რაღა უნდა ვიფიქროთ!?

3. მესამე არგუმენტი ბ. ზ. ავალიშვილისა ისე სუსტია, რომ მასზე არსებითად შეჩერება არ ლირდა, მაგრამ მაინც გავსინ-ჯოთ, რათა მისი უნიადაგობაც ნათელი გახდეს.

მოვიყვანოთ ყველა შემთხვევები ავთანდილ-ტირიელის ერთად დაძინებისა:

ა) როდესაც ტარიელმა უამბო თავისი თავგადასავალი, მაშინ უთხრა ავთანდილს:

ჯგიამბე ჩემი ამბავი სიცოცხლე-გაარმებულმან!

აწ წადი, ნახე შენი მზე, ნახვისა მოუამებულმან»ო, (642) ავთანდილი აძლევს მას მთელ რიგ დარიგებებს: «ასი გმართებს გაგონება, არ გეყოფის არ ერთხელი» და მერე ფიცს მისცემს, რომ ის წავა ჯერ თინათინთან: «აწ მე მინდა ნახვა მისი, ვისგან დამწვავს ცეცხლი ცხელი»ო (645). და მერე (647 ტაქტი):

«კვლავ მოვიდე შენად ნახვად, შენთვის მოვკვდე, შენთვის ვირო, ლმერთსა უნდეს, ვისთვის ჰკვდები, მისთვის აგრე არ გატირო»ო. და აი, ამ ამბის შემდეგ უკვე დალამებულიც იყო და იმ ფიცის წესსაც რომ თავი დავანებოთ, სად უნდა წასულიყო ავთანდილი! საღლაც ველად გაჭრილი ორი მეგობარი, თუნდაც ორიადამიანი, უკაცრიელ სივრცეში, რომ «მას ლამესა ერთგან იყვნეს შვენი-ერნი ამხანაგნი» — რა გასაკვირველია! — სრულიად ბუნებრივია, და შოთა სწორედ მაშინ უღლატებდა თავის იდეას, რომ ავთან-დილი იმავე ლამით ვაესტუმრებინა, რათგან ავთანდილს საძება-რი ალარაფერი ჰქონდა ჯერჯერობით, და, როგორც ყოველთვის, განსაკუთრებით ასეთ შემთხვევაში ავთინდილს აჩქარება არ უყ-ვარდა და ეს სიღინჯე და დაყოვნება ზომიერად ყველგან დაცუ-ლი და გამართლებულია.

ბ) მეორედ ერთად დაძინების შემთხვევა გვხვდება მაშინ, როდესაც ავთანდილი ტარიელს ნახავს დახოცილ ვეფხ-ლომის შუა დაბნედილს, გამოაფხიზლებს მას და მივლენ ქვაბს:

«მას ლამესა ერთგან იყვნეს იგი ლომნი, იგი გმირნი,

იუბნეს და გააცხადეს თავ-თავისად მათი ჭირნი»ო. (905) ამ ადგილს ცუდი რამის ამოკითხვა შეუძლებელია, რათგან ავ-თანდილი ის იყო შეხვდა, წაიყვანა ტარიელი ქვაბს, და მას შეხ-ვედრამდე ხომ ვერ დატოვებდა?! და კიდევ მეტი, მათ ერთად

სავაგლახებელიც ჰქოდათ. ამას შოთაც აცხადებს ზემოდ მოყვანილ მეორე სტრიქონში.

გ) მესამე შემთხვევაც აი როდის მოხდა.

ავთანდილი დიდი მუდარისა და რჩევების შემდეგ დაიცალიებს ტარიელს მისი სატრფოს ძებნის საქმეში. ტარიელი აცილებს მას ფრიდონისაკენ. გზაში შემოაღამდათ, ამიტომ: აარ გაიცარნეს მას ლამით, კვლავ ცეცხლი გაიზიარესა. (425) მეორე დღესაც, როცა ავთანდილი გააცილა და უკან უნდა დაბრუნდეს ტარიელი, აქაც (428 ტ.).

«მას ლამესა ერთგან იყვნეს, ერთგან მიწვნეს ხისა ძირსა» (\*).

და აქაც გაუგებარია სხვა გვარი აზრი... მაში როგორ მოქცეულიყვნენ? წასულიცვნენ თითო დღის სავალზედ, ცალკე დაეძინათ მეგობრებს და დილათ ისევ შეყრილიყვნენ? ზნეობის და რაინდობის მჯადაგებელ რუსთველს რომ სცოდნოდა, რომ შვიდასი წლის შემდეგ მის გმირებს ასეთ რასმე დასწამებდენ, შეიძლება ასეც მოაქციოდა და მევოპრებს ერთად აროდეს დააძინებდა.

ეს გაუგებრობაც იხსნება, როცა გავიხსენებთ ავთანდილის მოთქმას ტარიელის გაცილებისა და მისგან გაყრისას. აი რას ამბობს შოთა ამ წუთში ავთანდილის განწყობილებაზედ:

«ველს მაშინ მჩეცნი ძლებოდეს ცრემლითა მუნ ნატირითა;

ვერ დაივსებდა სახმილსა, იწვის ცეცხლითა ხშირითა;

კვლავ თინათინის გონება ავსებს უფრორე ჭირითააო. (933)

ამ საკითხზედ საუბარს ვამთავრებთ შემდეგი კითხვით:

ტარიელ - ავთან დილს ასეთი საქმისათვის რაღ სჭირდებოდათ მაინც და მაინც ლამე ერთად ყოფნა?! ისინი ჩომ ამ უზარმაზარ, თვით თუ წლით სავალ სივრცეში მარტონი იყვნენ, და დღეს გერ გამოიყენებდენ (\*\*)?!

(\*) აქ უკვე ორი შემთხვევაა პ. ავალიშვილის მიერ დახახელებული სამის მაგიერ.

(\*\*) როდესაც ტარიელი ხატაველებზედ გალაშქრების წინ სამასი კაცით დაპარაკებულა იყო, მოდიან რამაზ მეფის შოციქულები ტარიელის მოხატულ-

4. რომ აღნიშნული პანგი მსოფლიო ლიტერატურის გარედარ რჩება, ამის ნიმუშებს ვხედავთ შექსპირის სონეტებსა და გუეტეს „დივანშიცა“, და მაშასადამე ვეფხის-ტუალსანშიაც შეიძლებოდა ამის კვალი აღმოჩენილიყო, ამბობს ბ. ზ. ავალიშვილი. ამაზედ ჩვენ მოკლედ ვუპასუხებთ: რომ ანალოგია მეთოდოლოგიაში ყველაზედ უსუსტეს მეთოდად არის ცნობილი და ის ძალიან იშვიათ შემთხვევაში გამოდგება ხოლმე საბუთად.

და ისიც, რომ ბ. ზ. ავალიშვილი ამ გვარ კვალს როსტევან-ავთანდილის ურთიერთობაშიც ხედავს, დამცარებულია გაუგებრობაზედ, რათგან, როკორც ყველა შემთხვევაში, აქაც შოთა დიდი სიყვარულის გამოსახატად, თუნდაც მშობლიურისა, იმ გვარსავე გამოთქმებს მიმართავს, როგორც მიჯნურობის გამოხატვის დროს.

მაგრამ ის მშობული სითბო, რომელიც ამ გვარ სიყვარულთა შორის ერთგვარ მზღვარს აჩნდვს, საჩინო ზოლივით მიღვება როსტევან-ავთანდილის ურთიერთობის გამომჩატველ ადგილებს.

როსტევანს ავთანდილი შვილივით უცვარდა, რათგან ჯერ ის მისი გაზრდილი იყო და მერე, (მიუსედავად უჭვისა, რომელიც მას აწუხებდა ადრე) თავის შემდეგ ერთად ერთ გმირად მიაჩნდა იგი მთელს საბრძანებელში. ის ამბობს (ტ. 63):

«ცურტასა შემწევს ავთანდილ ჩემგანვე განაზრდობითააო. მაშინ კი, როცა ავთანდილმა დაამტკიცა ვაჟკაცობა, როსტევანს ის ეჭვიც გაებნა და (ტ. 82):

«უზარის ეგრე სიკეთე მისისა ფანაზარდისა, აქვს ვიჯნურობა ამისი, ვითა ბულბულსა ვარდისააო. ეს ტერმინოლოგია რომ მხოლოდ მამაშვილური სიყვარულის სიძლიერის გამოსაჩინად არის ნახმარი, ამას სხვა ადგილებიც ამტკიცებს.

როდესაც ავთანდილი პირველად მიდის ტარიელის საძებრად,

ებრაუდ «მითხრეს: მეფე მოგახსენებს, მეტა შენ კერძ ვიარები და სხ.

შეტად ამოდ ვუალერსე, ერთგან დაწვნეს ვით შაყრები».

აქევან სჩანს, რომ ეს მოციქულები ერთად დაუძინებია ტარიელს და ცხადა „ერთად დაწვნეს“ პირდაპირი მნიშვნელობით იხმარება.

გამომშვიდობისას (ტ. 145):

«მეფე ყელსა მოეკიდა, გარდაჭიროცნა ვითა შვილი,  
საგა მათებრი არ ყოფილა, არ გამზრდელი, არ გაზრდილი».  
აქეთგან ნათელია, რომ ყოველივე ესე ემსახურება მათ შორის  
სიყვარულის გაწვიადებას, რაც ამაღლებულია ნამდვილ მამაშვი-  
ლურ სიყვარულამდე და აქ სხვა ურთიერთობის ძებნა ღიღი შეც-  
დომა იქმნებოდა.

გვეონია აქ ყველაფერი ნათელი უნდა იყოს და ბ. ზ. ავალი-  
შვილის არგუმენტებზედ საუბარს შევსწავეტო და საბოლოოდ  
გადავალო საკითხის მთლიანად განხილვაზედ.

**9. რამდენიმე გამოთქმა.**  
რუსთველის გმირთა ურ-  
თიერთობის საკითხი.

მაგრამ ჯერ კიდევ რამდე-  
ნიმე ტერმინის მნიშვნელობა  
უნდა გამოვარკვიოთ, რათგან  
ხშირად ბ. ზ. ავალიშვილის  
შეხედულება ამ ტერმინების იმ გვარად გაგებაზეა დამყარებული,  
რომელიც ხელს უწყობს მის ძირითად შეხედულობას.

ჩვენ ზემოდ გამოვარკვიეთ «მარგალიტის» და «ტკბილის»  
მაიშვნელობა საკა და საკა შემთხვევაში. აქ კიდევ გვაინტერესებს:

1. «ნდომა», 2. «სურვილი» და 3. «საწადელი გულისა».

ვეფხის-ტყაოსანში «ნდომა» ყველგან ზოგადი ცნების მნიშ-  
ვნელობით იხმარება, კონკრეტულ შემთხვევებში კი ფრაზის მი-  
ხედვით უნდა კონკრეტული აზრი ვიგულისხმოთ. ის ყველგან  
ნიშნავს: სურვილს, წადილს გისახწევად, განზრახვის შესასრუ-  
ლებლად და სხ.

მაგალითად, როცა ხატაველთა ზედა გამარჯვებული ტარი-  
ელი ბრუნდება, ხალხი თავს იყრის და სტკბება მისი ჭვრეტით,  
ამაზედ ამბობს (ტ. 451):

«დგანან ტურფანი კარავნი მოედანს ჩამოდგომილსა,  
საუპრისა და ჭვრეტისა ჩემისა მას მონდომილსა»ო.

ფატმანზედ ნათქეამია (ტ. 1060):

«ფატმან-ხათუნს ავთანდილის გულსა ნდომა შეუვიდა,  
სიყვარული მეტის-მეტი მიემატა, ცეცხლებრ სწვიდა»ო.

აქ შეიძლება «ნდომა» ცატა სჩვა გვარადაც გავიგოთ, თუმცა აქ მისი გულის ღაპყრობაც იგულისხმება, რათვან ავთანდილის სიყვარული ჩაუვარდა გულში, «გულსა ნდომა შეუჭიდა»:

ჩვეულებრივი მნიშვნელობით იხმარება სიტცვა «ნდომა» ვის-რამიანშიც. მაგალითად, როცა შაპრომ გადასწყვიტა ვისის ვირასათვის შეზოვა, მაშინ მიმართა ვისის მისი სურველის შესატყობად და, როცა თანხმობა მიიღო, ამაზედ მწერალი ამბობს: «რა დაუდასტურდა ქალისაგან ნდომა ვიროსი, მასვე წაშა უჩვნა, რაცა მისსა ბრძანებასა და ფარმანსა ქვეშე...» იყო და ს. აქაც ვხედავთ, რომ ეს ტერმინი სურვილის მიღების, კმარიფილების გამომხატველია.

ასევე საწადელი გულისაც ზოგაჯი მნიშვნელობით იხმარება. მაგალითად, როდესაც ავთანდილმა დაიკოლია ასმათი და ტარიელის ვიწაობა გამოთქმევია, ნათქვამია (ტ. 244):

«ავთანდილს ღმერთმან წადილი მისცა, გულისა ლჩინება» და როცა თინაკინშა შეიტყო ავთანდილისაგან ტარიელის აგბავი, პოეტი ამბობს (ტ. 683):

«ქალსა რა ესმა ამბავი, მიკრვდა წადილი ნებისააო. აქ ჩვენ ვიცა, რა იყო ეს წადილი: ტარიელის ამბავის შეტყობა. და გასაგებია აღნიშნული ფრაზის მნიშვნელობაც. და სხვაც.

ამ ვამოთქმათა განმარტების შემდეგ კიდევ ერთხელ აშკარა ხდება, რომ მაშინაც კი, ყველა დანარჩენი უსაფუძვლობაც რომ ჩამოვაცილოთ ბ. ზ. ავალიშვილის აზრს, ეს ფაქტიც სრულებით უარ ყოფი მას.

ახლა განვიხილოთ გმირთა ურთიერთობა ჩუსთველის გამოთქმების მიხედვით.

ჩვენ ჩაუკვირდით ბ. ზ. ავალიშვილის აზრს, გავყევით მის ლელიკურ ხაზს და მეტად უცნაური სურათი გადიშალა ჩვენს წინ.

თუ ბ. ავალიშვილი ვეფ-ტყაოსანში ხედავს მხოლოდ პატარა კვალს „ბერძნული“ ტრადიციისა, სახელმობრ ავთანდილ-ტარიელისა და ავთანდილ-როსტევანის ურთიერთობაში, ჩვენ, თუ მისივე მეთოდით ძიებას განვაგრძობთ, იმ დასკვნამდე მივაღთ, რომ უნდა აღვიაროთ: ვეფხის-ტყაოსანში მცირე კვალი კი არა, აველა გმირები ამ ფერხულში არიან ჩაბმულნი და ჩვენს წინ რჩე-

ლება სურათი, სადაც ვეფხის-ტყაოსნის გმირთა მთელი ამქარი, უველა გამოუკლებლად, მღერის ამ ჰანგზედ, ხოლო დიდი კომპოზიტორი რუსთველი დირიქორის ჯოხით ხელში და ბრძანებლობს მათ!

მკითხველის ყურადღებას ცოტა ხნით შევაჩერებთ და ვაჩვენებთ, რომ ბ. ზ. ავალიშვილის ლოდიკურ ხაზს მართლა აქამდე მივყევართ.

თუ ვეფხის-ტყაოსანში ასეთი კვალი აღმოაჩინა ბ. ზ. ავალიშვილმა და თავისი აზრი დამყარა განსაკუთრებულ გამოოქმედზედ მკითხველი დაინახვას, რომ შოთა ყველა გმირებს ამ გვარ ენაზედ ალაპარაკებს და კველას ასეთივე სიტაციებით ასხამს ქებას.

ვეფხის-ტყაოსანში არც ერთი, როგორც პირველი ისე შეორე თუ მესამე ხარისხოვანი გმირი არ მოიპოება, რომლის შესახებაც წემოქსენებული აზრი არ გამართლდებოდეს! თოთქმის ჯველა გმირების ურთიერთობა უნდა გავიგოთ ბ. ზ. ავალიშვილის აზრით!

შოთას მთავარ გმირთა ურთიერთობა აი როგორ აქვს დაზარული არა მარტო ერთმანეთთან, მათ პატრიან-გამზრდელებთან და მათ სწავლა ნაცნობ-მეგობრებთან, არამედ ისეთ ხალხთანაც, რომელსაც ცხოვრებაში შემთხვევით შესვედრიან სადმე.

### ა. ავთან დილის ურთიერთობა.

1. **ავთან დილ-ჩოსტევანი.** როსტევანს ავთან დილზედ:

«უხარის ეგრე სიკეთე მისისა განაზარდისა,  
აქვს მიჯნურობა ამისი, ვითა ბულბულსა ვარდისა». (82)

ავთან დილი როსტევანს სწერს ანდერძში:

«წესი არის მამათაგან მოჭირვება, ჭირთა თმენა». (ს. 776)

დავა, გამზრდელი, მოგშორდი, წაველ გულითა ხელითა! (788).

2. **ავთან.-ტარიელი.** პირველად როკა შესვდა, ავთან დილი ეუბნება ტარიელს:

«იაგუნდი უგრეცა სჯობს, ათასჯერცა მინა მინდა,—

შენ გიახლო სიკედილამდის, ამას მეტი არა მინდა». (292)

როცა ტარიელმა ავთან დილს უამბო თავგადასავალი და სთხოვა ახლა სახლში დაბრუნებულიყო;

ავთანდილ უთხრა: მე შენი გაყრა არ მომეთმინების;  
 «თუ გაგეყრები, თვალთაგან ცრემლიცა დამედინებისაა. (642)  
 ავთანდილი თინათინს ასე უხასიათებს ტარიელსა:  
 «მუნ პირი მსგავსი ვარდისა, მაგრააწ ფერ-ნაკლულისა». (678)  
 «ნუ მკითხავ, ქება რა გკადრო, ჩემგან არ გაგეგონების:  
 მისია მნაზავსა ნახული აღარა მოეწონებისაა. (681)  
 «აჲა, მაქვსმცა უმისობა ლხინი არმად, თავი ფლილად»! (685)  
 ავთანდილი ტარიელზედ ამბობს (ტ. 707):  
 «წევს, იტყვის: გულსა სალხინო რამცალა დავუსახეო?  
 მოგშორდი ედემს ნაზარდო, ტანო ლერწამო და ხეო,  
 შენთა მჭვრეტელთა ნიშატო, ვერ-მჭვრეტთა სავაგლახეო;  
 ტადად ნახვასა არ ლირსყარ, ნეტარმცა სიშმრივ გნახეო!»  
 როცა ავთანდილს მეფე და დიდებულნი ეხვერებიან, ნუ წახ-  
 ვალი, ავთანდილი ამბობს (ტ. 715):  
 «მის ყმისა ცეცხლი მედების, წვა მჭირს მისისა მწველისა!  
 მკლავს სურვილი და ვერ ნახვა ჩემისა სასურველისა».  
 «ერთი ორთა მგონებელი, ვარ საქმესა წასაწყდედსა». (841)  
 ა3 ტაევში იგულისხმება ტარიელი და თინათინი.  
 «მოყვარემან ვარდის კონა გულსა მკრა და დამიწყლულა,  
 იგი ფიცი, ჩემგან სრული, ზან აღარა გამისრულა;  
 მას თუ გამყრი, საწუთროო, ჩემი ლხინი გარდასრულა,  
 სხვა მოყვარე თვალსა ჩემსა გაკიცხულა, გაბასრულა». (842)  
 როცა ავთანდილმა ვეფხვ-ლომთან ნახა დაბნედილი ტარია:  
 «მაშინდა იცნა, აკოცა, მოეჭდო, მოეძმობილა». (852)  
 ავთანდილი ეუბნება ტარიელს (ტ. 912):  
 «თუ რა გესმის, გაიგონე; ესე კმაა სწავლა სწავლად:  
 ჩემსა მზესა დავეთხოვე თქვენს წინაშე წამოსავლად;  
 მოვაჩსენე: რადგან ჩემი შეუქმნია გული ავლად,  
 არას გარებ, არ დავდგები; სხვა ვიუბნო რაღა მრავლად»?  
 როცა ავთანდილი ფრიდონს უყვება ტარიელის პირველ გაც-  
 ნობას: «დავა ვარდი მოყვითანე, შუქ-მქრთალი და ფერ-მიხდი-  
 ლი; შემიტკბო და შემიყვარა, ვითა ძმა და ვითა შვილი». (976)  
 კიდევ ავთანდილი ტარიელზედ (ტ. 981):  
 დრის ყმისა ცეცხლი მედების, დამწვა ცეცხლითა ცხელითა;

შემებრალნეს და გავშმაგდი, გავხე გულითა ჟელითა;  
მომინდა მისთა წამალთა ძებნა ზღვითა და ხმელითა».  
და სხვაც მრავალი ავთანდილ-ტარიელია ურთიერთობისათვის  
ეს გაგალითები ვიკიშაროთ.

3. ავთან.-ფრიდონი. როცა შეხვდენ, პირველადვე (ტ. 967):  
«თვით უსახოდ ფრიდონს ყმა და მოეწონა ყმასა ფრიდონ».  
რათგან ნესტანის საძებრად მიეჩქარებოდა, ფრიდონს ეტავის:  
«მე თქვენი გაყრა სიკვდილად მიჩნს და მით თავსა ვევნები,  
მაგრა არა მცალს დლე-კრულსა, ცეცხლი მე სხვაცა მედები». (994)  
ფრიდონი უპასუხებს ავთანდილს (ტ. 996):

«მაგრა სთქვი, თუ უშენოსა ჩემგან ვითა დაეთმობისა?»

4. ავთან.-შერმადინი. მიუხედავად მათი უდიდეს მეგობრო-  
ბისა, ნაწარმოებში მათი ურთიერთობა მხოლოდ ავთანდილის  
გაპარვის წინ იჩატება, ანდერძსა და მეფესთან საუბარში. და აქა  
შერმადინი ავთანდილს შემდეგი სიტყვებით მიმართავს:

დაგრა არა ვქმნა უშენომან, დამეცემის გულსა ბინდია! (762)

5. ავთან.-სოგრატი. ავთანდილთან საუბარში გაპარვის წინ  
(ტ. 733) როსტევან მეფის, მოხუცებულმა

«ვეზირმან სთქვა: შენი ცეცხლი მეცა ცეცხლად მომცდების,  
ველარ ვუჭვრეტ ცრემლთა შენთა, სოფელიცა გაქარდების;  
ვიტყვი: მოვავდე, არა მგამა,—ჩემი მზეცა შენ მოგხვდებისა».

6. ავთან.-ვეზნის-ტყაოსნის საზოგადოება. ვ.-ტაოსანში,  
სადაც კი რაიმე საზოგადოება გვხვდება, ვველგან და კოველ-  
თვის, პირველ დანახვაზევე უმიჯნუ რდებიან ავთანდილს,  
ყველა ბნება მისი მზერით, ყველა ამ გვარი სურვილით შეს-  
ტერის მას. აი როგორ შეხვდენ ავთანდილს გაპარვის წინ მე-  
ფე, ვეზირი და დიდებულნი (ტ. 713):

«დასჯდა, მისთა შემხედველთა გული მათი მართლად ჰელეს,  
მისთა მჭვრეტთა მისთვის ბნედა თავისათვის ისახელესაო.

როდესაც ავთანდილი ფრიდონის საძებრად მიღის, ნახა ერ-  
თგან მუხავენი და მათ ჰელითხა ფრიდონის შესახებ, მენავეთ:

«მათ მოახსენეს: ტურფაო სახით და ანაგებითა» (949)

ჩვენცა, ვისი ვართ, გიამბობთ, თუ ჭვრეტით არ დავბრდებითაა.

როცა სანადიროდ გაშლილმა ფრიდონის მხლებლებმა ავთან-

დილი დაინახეს (ტ. 960):

«ალყა დაჭმალეს, მოვიდეს, მოქვევოდეს, ბნებოდეს»ო.  
მეფე გაბრაზდა, რა იქნა ხალხი, ალყა რად დაშალესო, და გაგ-  
ზავნა ცნობის მოსატანად კაცი, რომელიც (ტ. 962):

«დადგა, თვალნი გაურეტდეს, დავიწყდეს სიტყვის თქმანი».

ხოლო როცა ქალაქში შევიდა ავთანდილი, მთელი მცხოვრებლები:

«შექფრინვიჲიან ავთანდილს გულითა სულ-წასულითა». (989)  
სუფრაზეც ფრიდონისას (ტ. 991):

«მაგრა მის ყმისა მჭვრეტელთა, გული მიეცა გლახ ალსა».

ავთანდილი როცა გულანშაროს ქალაქს მივიდა და მიიწვია  
ფატმანმა, მას აუარებელი ხალხი შემოეხვია გარს და (ტ. 1053):

«ზოგნი ნდომით შექფრინვიდეს; ზოგნი იცვნეს სულ-წასულად.

მათთა ცოლთა შოიჯულება, ქმარნი დარჩეს გაბასრულად».

ფატმანიც თავის პირველ სამიჯნურო წერილში ასე სწერს ავ-  
თანდილს: «შენ გტრფიალობენ მჭვრეტელნი, შენთვის საბრა-  
ლოდ ბნდებიან»ო (ტ. 064). და ბოლოს თვით რუსთაველი  
ამბობს ავთანდილზედ (ტ. 955):

«ვინც გზასა ჰქანის უცხონი, მსახურებდიან, ყმობდიან,

მოვიდოდიან საჭვრეტლად, მას ზედა ტრფიალობდიან,

«ეძნელებოდის გაშვება, გაცრასა ძლივ დასომობდიან».

### ბ. ტარიელის ურთიერთობა.

1. ტარიელ-ფრიდონი. ფრიდონი, როცა მას ავთანდილი  
შეხვდა, მოსთქვამს ტარიელზედ:

«რა მოგეშორე, მას აქათ სიცოცხლე მომძულვებია;

თუცა შენ ჩემად არა გცალს, მე შენთვის მომსურვებია;

შენ უჩემობა ლხინად გჩანს, მე დია მომჭირვებია;

ოხერ სიცოცხლე უშენოდ, სოფელი გამარმებია»ო! (987)

ხოლო, როცა ფრიდონმა ტარიელს ქორწილი გადუხადა და  
ქვაბს გაიარეს, იქ ტარიელმა ფრიდონს დიდალი საჩუქარი შეს-  
თავაზა, ფრიდონმა კი ეს ჯველა ჩალად მიიჩნია და უთხრა:

«ჩემი ლხინი მუნამდისა, ვიდრე ვიყო შენი ეჭრეტია! (1377)

2. ტარიელ-როსტევანი. ტარიელი როსტევანს შეხვდა მხო-  
ლოდ ერთხელ, და იქაც მოხუცი როსტევანი თავის „ეროტიულ“

ბუნებას ვერ გალავს. და ოოდესაც ტარიელი შიესალმება:  
 «მეფე ყელსა აკოცებდა მართ ბაგისა დასამოდა», და ეუბნება:  
 «შენ მზე ხარო, შენი ვაყრა არის დღისა შესალამოდ»ო. (1491)

ტარიელმა კი, შემდეგ მეფისგან «დასათხოველად», ავთანდილის  
 მოციქულობით (ტ. 1538):

«შესთვალა: შენი სიახლე კმა ჩემად ლხინად ყოველად»ო.

3. ტარიელ-ფარსადანი. სხვათა შორის ასეთივე რამ უნდა  
 ვიგულისხმოთ ტარიელ-ფარსადანს შორისაც, რათგან ამაზედ  
 ასეთი ცნობაა შენახული ვეზეის-ტყაოსანში. ოოდესაც ხატვე-  
 ლებზედ გამარჯვებული ტარიელი ნადიმად ჯდა ფარსადან მე-  
 ფესთან ერთად, ამან (ტ. 460):

«იდუმალ ცოლსა ეუბნა, მართ ჩემგან უცოდნელია:

ომით მოსული ტარიელ საჭვრეტელად სასურველია.

მან განანალოს მჭვრეტელთა გული, რაზომტა ბნელია»ო.

და სხვაც. ამაზე თვით ტარიელის სიტცვებიც იწვევს ეჭვს, ოო-  
 დესაც ის ავთანდილს უცვება პირველად:

«თხუთმეტისა წლისა ვიყავ, მეფე მზრდიდა ვითა შეილსა:

დღისით ვიყავ მის წინაშე, გამიშვებდის არცა ტილსა». (321)

4. ტარიელ-ხატაველი ჭვაშუში. ასეთივე „სამიჯნურო“  
 თვალით შეხედა ტარიელს ხატაველთა ჯაშუშმა. ის ეუბნება  
 ტარიელს (ტ. 418):

«მკვდარი მიმქიმს სანახავად ტანი მჭევრი, პირი ვარდია»ო.

5. ტარიელ-ზღვაჲა მეფე. ასე მოუვიდა ტარიელს ზღვათა  
 მეფესთან, მელიქ სურხავთანაც. როცა მასთან მოსვლისას მელიქ  
 შეფე ტარიელს ქორწილს უხდის, ეუბნება (ტ. 1418):

«მოახლეთა სიცოცხლეო, ვერ-მჭვრეტელთა შორით მკვლელო,  
 რა მოგშორდე, რა მერგების, საჭვრეტელად სასურველო»ო?!

6. ტარიელ-ფატმანი. ასე ექცეოდა მას ფატმანიც. როცა გა-  
 შოსალმების წინ ტარიელი მაღლობას სწირავს, ფატმანი ეტავის:

«მე, მეფეო, შენი გაცრა მიდებს ცეცხლსა დაუშრეტსა;

რა მოგშორდე, რა ვიქმნები, მე დამაგდებ ვითა რეტსა». (1420)

7. ტარიელ-ვეფხის-ტყაოსნის საზოვალოება. ტარიელსაც,  
 როგორც ავთანდილს, მთელი საზოგადოება «შეფრთინვით» უც-  
 ქეროდა. როცა როსტევანთან მისვლისას მწვანე მდელოზედ:

«დასტდენ მეფენი, მოადგა გარე სიმრავლე რაზმისა.

ჭვრეტა ახელებს მჭვრეტელთა ყოფა-ქცევისა და ზმისა». (1495)

ტარიელს ასევე უცქეროდენ თავის ქვეყანაშიც. ის ეუბნება ავთანდილს:

«ჩემთა მჭვრეტელთა მოეცვა ქალაქი, შუკა და ბანი». (463)

აქ გაკვრით, ტარიელ-ასმათის ურთიერობაც არ შეიძლება საეჭვო არ გავხადოთ. მოვიგონოთ მათი ერად ყოფნა ქვაბში!..

### გ. მეორე ხარისხოვან გმირთა ურთიერთობა.

რუსთაველი იმით კიდევ არ დაკმაყოფილდა, რომ მთავარი გმირები ერთმანეთზედ და მთელი საზოგადოება მათზედ «გაა-მიჯნურა», ის უფრო შორს წავიდა და სხვა, ნაკლებ მნიშვნელოვან გმირთა შორისაც ამ გვარივე ურთიერთობა დაამყარა.

მაგალითად, მელიქ სურხავის სამეფო სახლშიც იმავე «პანგ-ზედ მღერის ყველა, რათგან მეფე და მისი არიტი, ფატმანის «მჭლე» ქმარი უსენი, ამ საქმის მამამთავრებია, და უსენი უთუოდ მეთაურია ამ ორდენისა!

აი ვეფხის-ტყაოსანში მათ შესახებ რას ვხვდებით. როცა უსენი შეიტყობს ნესტანის ამბავს და მიდის მეფესთან:

«უსენ მივიჲა, ხელმწიფე დაპხვდა ნადიმად მჯდომელი.

უსენ, არიტი მეფის ა და მეფე მისი ნდომელი». (1143)

ბ. ზ. ავალიშვილის თვალსაზრისით თუ ავხსნით, „ბერძნული“ ტრადიციის „პანგი“ აქ უფრო მკაფიოდაც უნდა იყოს გამოთქმული.

### დ. დედაკაცთა ურთიერთობა.

მაგრამ ვეფხის-ტყაოსანში გარდა მამაკაცთა ქალთა შორისაც რაღაც ცოდვა უნდა ტრიალობდეს! გავიხსენოთ ნესტანის ყოფნა ფატმანთან. ფატმანს რომ ამ გვარი გაქნილობა არ აკლდა და რომ ისინი ამდენ ხანს ურთად იყვენ ისეთ პირობებში, რომ თვით ფატმანის ქმარმაც არ იცოდა ეს ამბავი, ცოტა არ იყოს ეჭვს ბადებს და ეს ეჭვი უფრო ძლიერდება მაშინ, როცა ფატმანი ავთანდილს უამბობს ნესტანის ამბავს: «მისი მჭვრეტელი დავიწვი, გავხე გულითა მკვდარითავო (ტ. 1118). ან კიდევ (ტ. 1123)

“ამ უმისოდ ვით ცოცხალ-ვარ, პაი ჩემთვის, ვაგლახ, მე ვა»!  
და რაც მოშორდა, მას აქეთ: «ვერ გავახმე წყარო ცრემლთა,  
თვალთა ჩემთა გადმომღვრელთა უო (ტ. 1192).

თავის წერილშიც ასე სწერს ფატმანი ნესტანს (ტ. 1248):

« . . . . აქა, მნათობო, სოფლისა მჩეო ზენაო,

შენთა შორს-მყოფთა ყოველთა დამწველო, ამაზრზენაო».

და ფატმანის „მონა გრძნეული“ როცა „წავიდა ვითა ისარი, ქა-  
ჯეთს შეპხდა“ და „უჩინოდ შევლო“ ციხის კარნი, ეუბნა „მას  
მზესა“ ნესტან-დარეჯანს:

«ფატმანის გული მას აქათ, ლაზვრითა შენაზევიააო. (1259)  
ხოლო მაშინ კი, როცა ნესტანი თავისუფლდება ქაჯეთის ციხი-  
დან (ტ. 1412): «მზემან შუქნი შემომადგნა, ვარდი მით ვჩან არ  
დამზრალიაო. და სხ.

ამის შემდეგ. როცა დავრწმუნდით, რომ შოთა რუსთა-  
ველი ავთანდილ-ტარიელს გარდა თითქმის ყველა გმირთა,  
როგორც მამაჭაცთა, ისე ქალთა ურთიერთობას ერთნაირი  
ფრაზეოლოგით გვიხატავს, და თუ ცოტა ხნით დავივიწყებთ  
წემოდ დასაბუთებულს ბ. ჭ. ავალიშვილის შეხედულების უსა-  
ფუძვლობას,— უნდა აღვიარეთ: რომ ვეფხის-ტყაოსნის ყველა  
გმირებრ და მთელი საზოგადოება ჩაბმუ-  
ლია ამ ფერსულ ში. ყველა ის ქვეყნები: ინდოეთი,  
არაბეთი, ხატაეთი, ფრიდონის ქვეყანა, მე-  
ლიქ სურბავის სახელმწიფო (ამას ალბად არც ქა-  
ჯთა სამეფო ჩამორჩებოდა), მეფენი მთელი სასაზღის  
ერით, დიდებულნი, მხედრობა, არის ტოკრა-  
ტია, ყმებიც კი, და ასე ამ გვარად ვეფხის-  
ტყაოსნაში წარმოდგენილი მთელი მიწიე-  
რი სამყარო შეკვრობილია, ამ «ბერძნულია»  
სენით.

აი რა უნდა ითქვას, თუ ბ. ჭ. ავალიშვილის ლოდიკურ ხაზს  
ბოლომდე მივყვებით. ასეთი დასკვნა აუცილებელია. მაგრამ თვით  
ავტორისათვის ხომ მიუღებელია ეს, რათგან მისი აზრით ვეფხის-  
ტყაოსნაში მხოლოდ კვალი შეიძლებოდა დარჩენილიყო, რაც მან  
შეამჩნია, ისიც ნაკლები სიცხადით, ორიოდე შემთხვევაში!

კიდევ საინტერესო ის არის, რომ ამგვარი ძიების შემდეგ მკითხველის ეჭვი უფრო ძლიერდება და სრულიად საფუძვლიანადაც.

ვეფხის-ტყაოსნის მკითხველს არ შეიძლება თვალში არ ეცეს ის ამბავი, რომ შოთა ყველა ამ ამბებს ისეთი განმაცვითრებელი გრძნობიერებით უგალობს, რომ ვეფხის-ტყაოსნის წერის ღრმს რუსთაველს, უდაოთ, ცრემლის ღვარი ჩამოსდიოდა თვალთაგან. სწვა გვარად შეუძლებელი იყო მისი გამოთქმა, და თუ ეს ყველაფერი, ე. ი. ავთანდილ-ტარიელის და სხვათა «მიჯნურობა» მართალია, შეუძლებელია, თვით შოთაც არ თანაუგრძობდეს ამ საქმეს, — თავის ხოტბის საგანს!

როდესაც ვეფხ-ლომის შორის დაბნედილ ტარიელს ნაჩავს და გამოფხიზლების შემდეგ ავთანდილი ეხვევა მას და ჰეოცნის, შოთაც თვრება ამ სურათით და 852 ტაეპში ამბობს:

«ეიმოწმებ ლმერთსა ცხოველსა, მისებრივ არვინ შობილაკა. სჩანს შოთაც აგამიჯნურებულა ავთანდილისათვის!»

და თუ გაგიოვალისწინებთ კიდევ იმას, რომ შოთა იმ ღრმინდელი ქართველი მოწინავე საზოგადოების ერთი რჩეული პირი უნდა ყოფილიყო, და მისი ქმნილება შეუძლებელია ყოფილიყო ისეთი ხასიათის, რომელიც, თუნდაც ამ მოწინავე საზოგადოების გემოვნებას არ დააკმაყოფილებდა, უნდა დავასკვნათ, რომ იმ ღრმინდელი ჩვენი მოწინავე საზოგადოება, მეფის სასახლე, ფეოდალური არისტოკრატია, ანალი სავაჭრო ბურჟუაზია; მოშელეობა და სხ. უნდა ჩამოყლი ყოფილიყო ამავე ამქარში, რომის მეფე-ხელმძღვანელიც, ცხადია, რუსთაველი იქნებოდა!.. (\*)».

მაგრამ ზემოდებული გამოვარკვიეთ, რომ ამის მსგავსი რამ ისტორიამ არ იცის, და რაც არ ყოფილა, მას ვერც კვლევა-ძიებით და ვერც სურვილებით ვერ აღმოვაჩენთ, როგორც იგივე შოთა რუსთაველი ამბობს:

«განგებასა ვერგინ შესცვლის, არ საქმნებისაო.

(\*) გუშინ პ. ინგოროვაშ შოთა „მანის“ ორდენის მეთაურიად აღიარა, ამდე მას „ბერძნული“ ტრადიციის მეფედ ვაცხადებთ!

## დასკვნა:

ამ გვარად, დაერწმუნდით რა ბ. ზ. ავალიშვილის შეხედულობის უსაფუძვლობაში, ალვიარებთ, რომ ვეფხის-ტყაოსნის შესწავლის საქმე ჯერ კიდევ არ არის იმ ღონემდის მისული, რომ ამ გვარი აზრების გამოთქმებისაგან სრულებით დაზღვეული ვიყოთ. თუმცა უფრო პრიმიტიულმა ხანამ კვლევარობისამ განვლო, მაგრამ ვეფხის-ტყაოსნის ლირსეული შეფასების დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა. ამისთვის მთელი ეპოქაა საჭირო, და ამ დაფასების ნიადაგს მხოლოდ საქართველოს ბრწყინვალე მომავალი შექმნის,

ამიტომ ყოველივე ის, რაც აქამდე ვეფხის-ტყაოსნის გარშემო თქმულა, ისიც, რაც ბ. ზ. ავალიშვილმა გამოსთქვა, ალბათ არ გააკვირვებს მომავალ თაობას.

განსაკუთრებით ჩვენ უბედურ ემიგრანტულ პირობებშია ძნელი ვეფხის-ტყაოსნის დაფასება. იმ ადამიანებისთვის, რომელნიც ლუკმა-პურის ძიებას ძუნწად საათებს პპარავენ და მამა-პაპური ტრადიციით ეროვნულ-კულტურულ საქმეს არ ღალატობენ, რა-საკვირველია არ არის აღვილი ამ საქმის ლირსეული შესრულება. ჩვენც ამ ნაირად: არც სიტყვა, არც აზრი, არც გრძნობა და არც საშუალება არ გვყოფნის რუსთველის სრული შეფასების წარმოდგენისათვის. ვშიშობთ, ამ გვარი ცდის დროს მისი ლირსება უფრო არ დავსცეთ. ჩვენ დავკმაყოფილდებით რუსთველის სავე ერთი სტრიქონის მოყვანით (ტ. 741), რომელიც სავსებით გამოხატავს ავტორის და მისი ქმნილების შეფასებას:

«შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე, მისგან ქმნილი!»

ხოლო ის წარუხოცველი როლი, რომელიც ვეფხის-ტყაოსან-მა შეასრულა ქართველი ერის ძლიერი ეროვნული გრძნობის შენახვის სფეროში, ღაუვიწყარი იქნება შთამომავლობის მიერ.

«სული მიკვნესის, გული ჩემი მწარედ ღონდება,

რა საქართველოს მწარე ბედი მომავონდება!»

ამბობდა ვახტანგ ორბელიანი. და ამ მწარე ბედის დროს ვეფხის-ტყაოსანი ყოველთვის მანათობელ ლამპრად ევლინებოდა ქართველის გულს და გზას უნათებდა მის გრძნობა-გონებას,

ვიმეორებთ, განუზომელია რს ამაგი, რომელიც ვეჯხის-ტყა-  
ოსანმა დასდო ქართველი ერის აღზრდის საქმეს. კიდევ საკით-  
ხია, მან მეტი გააკეთა ქართველი ერისთვის შეიძასი წლის გან-  
მავლობაში, თუ იმ თავ-დადებულ გმირთა წევბამ, მათი მჭრე-  
ლი მახვილით, რომელიც ამ დროის განმავლობაში ევლინებოდა  
მჩსნელად საქართველოს? ვინ დასდოს ისტორიის „სასწორსა  
სიმართლისასა“ ეს ორი შოვლენა, ვინ მოგვცეს ჰასუნი?...

ზოლო ის შვენიერება, უშვენიერესი მსოფლიო პია-  
ზიის ჯველა მნათობთა შორის, ხოტბა ძლიერი და წარმტაცი  
გარდაუგალ მოტივებისა,— მიჯნურობის, მეგობრობის, რომე-  
ლიც შოთამ წუთი სოფლის პრინციპებად აღიარა, დარ-  
ჩება შთამომავლობას, როგორც უჭინობი ცვავი=  
ლი, რჩეული ნიმუში ადამიანთა მოდგმის  
შემოქმედებისა და ბრწყინვალე სა-

ზომი ქართველი ერის

ეროვნულ - კულტუ-

რული ღირე-

ბულე-

ბი-

სა



## სარჩევი.

ავტორისაგან . . . . .	83. 3
-----------------------	-------

1. საქართველოს კულტურული ურთიერთობა მეზო- ბელ ერებთან . . . . .	83. 5
2. ჰელადა, ბიზანტია და საქართველო . . . . .	,, 6
3. არაბეთი და საქართველო . . . . .	,, 9
4. სპარსეთ-ინდოეთი და საქართველო . . . . .	,, 11
5. ჩინეთ-მონღოლეთი და საქართველო . . . . .	,, 13
6. ქართული კულტურის გავლენა უცხოელებზედ. უცხოელთა თქმულებანი . . . . .	,, 15
7. ვეფხის-ტყაოსანი, გილგამეში, ფაუსტი . . . . .	,, 17
8. ვე-XII ს. სიქართველო . . . . .	,, 19
9. პომირასი, რუსთაველი, დანტე და შექსვირი . . . . .	,, 21
10. ქრისტიანული მორალი და მამათ-მაწლობის სკითხი საქართველოში . . . . .	,, 23
11. ძველთა შეხედულებანი ვეფხის-ტყაოსანზედ . . . . .	,, 26
12. ძველი «ამბავი» და ხალხური ვ.-ტყაოსანი . . . . .	,, 28
13. უცხო მასალით სარგებლობის და თარგმა- ნების საკითხი . . . . .	,, 30
14. დასკვნა . . . . .	,, 32

## ||

1. მიჯნურობა . . . . .	,, 33
2. «მარგალიტის» ამბავი . . . . .	,, 36
3. ავთანდილ-ფატმანის ურთიერთობა . . . . .	,, 45
4. ტარიელის «აშიკობის» ამბავი . . . . .	,, 47

5. მეგობრობა . . . . .	83.	52
6. ფიცი . . . . .	"	55
7. პ. ზ. ავალიშვილის მიერ გამოთქმული აზრი . . . . .	"	59
	1. . . . .	62
8. ბ. ზ. ავალიშვილის შეხედუ- ლების კრიტიკა . . . . .	2. . . . .	67
	3. . . . .	71
	4. . . . .	73
9. რავდენიმე გამოთქმა. ოუსთველის გმირთა ურთიერთობის საკითხი . . . . .	"	74
ა. ავთანდილის ურთიერთობა . . . . .	"	76
ბ. ტარიელის . . . . .	"	79
გ. მეორე ხარისხის გმირთა ურთიერთობა . . . . .	"	81
დ. დედაკაცთა ურთიერთობა . . . . .	"	81
დასკვნა . . . . .	"	84



განსრულდა მკათხათვის 10-ს.

ქ. სტაბბოლში.

15226.

ଜୀବି 15 ତର.